

დასტურდა საქართველო



საქართველოს მხარეთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

14 თებერვალი, 2014 წ.

№6 (3692)

გამოცემის 78-ე წელი

ფასი 1 ლარი



<p>გივი ალსაჯიშვილი დანაშაულით მკვდარი</p> <p>გვ. 2-3</p>	 <p>რაულ ჩილჩივა კოეზი</p> <p>გვ. 7</p>	 <p>ზურაბ თორია მრავალთავან ერთი</p> <p>გვ. 11-12</p>	 <p>ანზორ გამარაშვილი ილია და ფირსემანი</p> <p>გვ. 14</p>	
---	--	---	--	---

დაიჭირეთ აქტივისტები და კოორდინატორები ისე, რომ არჩევნებისას საპარტიოში ეყარონ. არავითარი მონიტორების შიში. სადაც უნდა, გაასაჩივრონ. ნურას უკაცრავად. დაიჭირეთ და ჩასვით მათი საარჩევნო კომისიის წევრები. სვანეთში ორასკაციანი სამხედრო ნაწილის დაფიქსირებაზე ვინც ხელი შეგვიშალა, ახლავე დაიჭირეთ. ყველას, ვინც ხელს უშლის ჩვენს თავისუფლებას, პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა შეუფარდეთ და ჩააყუდეთ. მანამდე კი ჩვენ არჩევნებს მოვივებთ და მერე ისევ მოვალთ და სხვებსაც ფეხებით დავკიდებთ. დუჟი ჩამოსდიოდა. თან, რაც ხელში მოხვდებოდა, სანსლაგადა, ლეჭავადა, ნორღნებოდა და, რასაც ჭამდა, ეს მისი წარმოსახული მტერი იყო და არა რაიმე საკვები. ასე უფრო იოლად ინელებდა მტერს. დროებით სიმშვიდეში გადადიოდა, თან მლიქვნელ თანამოაზრეთა აღფრთოვანებულ თანხმობის კრუტუნს და დანაწევრებული ბგერები ჩაესმოდა. ერთი შეკვრა ქათვითა ხელსანმენდი ისე გადასანსლა, რომ პატარა ნაგლეჯიც არ დარჩენილა. გადანვდა სინით მორთმეულ ხილს და ყველაფერი ხუთ ნუთში დაფქვა. კარალიოკის კურკებს ხელისგულში აგროვებდა, თეფშზე ყრიდა გამალებით.

ვინმე დაიჯერებდა თუ არა, ეს არ იყო მთავარი. ვინმესთვის უნდა გადაებრალე ბინათ გლდანის საპრობილეუმი მომხდარი საშინელებები და საუკეთესო საშუალებად, ერთადერთ გამოსავლად ცილისწამება დასახეს. ახლა სხედან და თავიანთ შეთხზულს ტელევიზიებისთვის ამზადებენ. უფროსმა უკვე მოიფიქრა სცენარი, კუდმა და სოდმა ცრუვერსია, რომელიც ივანიშვილს უნდა დააბრლონ, თითქოს მან მოისყიდა გლდანის ციხის ჯალათები, ვიდუოკამერით გადააღებინა პატიმართა სერიული წამების, გაუპატიურების, არაადამიანური მოპყრობის სცენები მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცმოდრობისთვის დაერტყათ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. გაჩნდა ვერსია და რეჟიმი შეუდგა მის შესრულებას. რეჟისორი, მთავარი სცენარისტი და პროდიუსერიც სააკაშვილი და მისი სამივე ლაქია გახლდნენ. ეს ჯგუფი ერთსულდენად მუშაობს და კოლექტიური მეს თხზავს, როგორც მისტიკურ რეალობას, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა და ყოველივე. ნაკლებად აღლევებთ დამაჯერებელი იქნება თუ არა მათი „მტიკცებულებანი“. მთავარია, ცილი დასწამო, მერე ამ ყოველფერის ჯიბის სასამართლო „გააპრავებს“. ვშიშობ, კადაფის ხვედრი არ გაიზაროს. მწყობრიდან გამოჰყავს ხალხი ამდენ სიცრუეს და უსამართლობას. გროვდება პროტესტი, ჯერ სტუდენტური, უფლებადამცველები რომ ამოუდგნენ მხარში, მერე კი მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება.

ამათ არც ეს ანუხებთ, რუზინის ტყვიებს და მიტინგის დასარბევ ნებისმიერ საშუალებას ეზიდებიან დასავლეთ ევროპიდან გემებით, სხვა ტრანსპორტითაც, ისევ რომ დაგვადუმონ, მონამლული ჰაერი გვასუნთქონ, თავები გაგვიტეხონ და ა.შ. ერთმა სპეცრაზმელმა ოფიცერმა დატოვა ნაწილი პროტესტის ნიშნად და „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა, განაცხადა თურმე, ჩემს ხალხს ვერ დავარბევო.

როგორც გაირკვა, დარბევისთვის ემზადებიან, მაგრამ როდის აპირებენ ამას, არჩევნებამდე თუ არჩევნების მეორე დღეს? ეს საკითხი ახლა წყდება შეფიცულ დამნაშავეთა ავადმყოფ და გლუვ ტვინში.

ორი მინისტრის გათავისუფლება საკმარისიაო, თქვა მთავარმა რეჟისორმა, თან გულში გაიფიქრა, ასე რომ გაგრძელდეს, ჩემს გადადგომასაც მოინდომებენო და მომტირებებს მთავარი დამნაშავეებისკენ მიმავალი გზა ჩაუკეტა, მაგრამ იმას კი ვერ ხვდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფაჩიკოს გარმონივით დაიშლება ეს ყველაფერი. მართლა, ნეტავ, ვინ იყო ფაჩიკო?.. ბავშვობიდან მახსოვს. ერთხელ ამიხსნა ბებიარჩემმა და გადამაჩინაყდა.

ახლა ვანო მიადგება მიშას ციბაძის

მოხვერივით. ეს ციბაძე ვინდა იყო? როგორ რჩება მესხიერებაში გახალხურებული მხატვრული სიტყვა-თქმანი. მთელი ისტორიაა ჩანწებილი ასეთ გამონათქვამებში. ამათხვე შეითხვებება უარყოფითი კონტექსტის კალამბურები.

– მიშა გონიოშია?
– არა, აგონიაშია!

გადამრევს ეს კაცი. გაბრაზებულია იმით, რომ გლდანის საპრობილეუმი გამოაშკარავდა საშინელი წამების ფაქტები და მოედო მთელ მსოფლიოს ახლა უცბად მონდობა, თავისი პასუხისმგებლობა ბიძინა ივანიშვილს გადააბრალოს. მთავარია, ცილი დასწამო და გაიარო, მერე საკუთარი ტელეეარხებით სიცრუე ჭეშმარიტებად გაასალო. არა, ეს ტიპი ნამდვილი შუღლე-

დანაშაულით აკვლარი

რია და ისეთივე მორწმუნეა, როგორც პირვერის გარდამსახველი. პირვერის გარდასახვისას შუბლის ნაცვლად მხარზე უაზროდ იცაცუნებს ხელს... რატომ მებრალეება დროდადრო ეს ტიპი?! ვფიქრობ და ვერ ვხვდები, ზოგჯერ რად მიჩნდება მის მიმართ სიბრალულის განცდა?! ერთადერთი, რაც იცის, ვირტუალური სივრცის გამოყენებაა და ფიარი – თეთრი და შავი... დაბლა შემოჰკარ რბილოსა... ჰოდა, ამირანიც შემოჰკარავს რბილოსა და დაამარცხებს მტარვალს. აი, ეს დაბლა შემოკვრა სცოდნია ბიძინას. კიდევ შემოჰკარ რბილოსა... ხალხური სიბრძნე გვირჩევს, ვიცოდეთ, რომ თუ მტრის დამარცხება გვინდა, მისი სუსტი წერტილები უნდა გავიგოთ და იქ დავკრათ, სადაც „რბილოსა“. ეს ხომ ისედაც სუსტი წერტილები ჯაბია, ერთი დიდი, სუსტი წერტილია. ძალაუფლებას თუ მოაშორებ და ტელევიზიას ჩამოართმევ, ერთი მომჩერული ლაჩარი შეგრჩება ხელთ. ძალაუფლებით აღჭურვილი, ტელევიზიებზე მომჯდარი და დაფინანსებული კი უკვე ბუტაფორიაა, რადგან პაროდიად იქცა მთელი მისი მოქმედებანი და უაზრო ყბედობა. საშინელი მიზანთროპია. ადამიანები სძულს, ეზიზღება. ამიტომ არის, გამწარებული რომ შეექცევა „სალფეტს“, სინამდვილეში ეს ხელსანმენდი მის წარმოსახვაში მტერია, რომელსაც სანსლავს და ანადგურებს. არ არსებობს ყავლგასული სიტყვა, არსებობს ყავლგასული, უზნეო არსება, რომლის ნათქვამს არავითარი ფასი არ აქვს. ასეთია ზნეობრივად გაკოტრებული ტიპის დამსახურებული ხვედრი – სრული დევალაცია. სამწუხაროდ, ასეა და ამიტომაც მებრალეება, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ? ლაჯებში რომ გამოიმწყვდია მთელი ქვეყანა და გვაჭქნებს?! მისი ისტერიკა ელვის სისწრაფით ვრცელდება მთელს ქვეყანაში და აფორიაქებული, დანევრობებული ხალხი კედლებს აწყდება, არავინ იცის, რა ქნას, გარდა იმ ჩიორებისა, ათას ცილისწამებაში რომ გაიწაფნენ და „პარტიის სიმტიკიცეში“ შეაქვთ თავიანთი წვლილი. ეს პალიკო სადღა გაქრა? რაც მოსაჩხიბი იყო, მოჩხიბა კანონები, გამოიგონა რეგულაციები, დააგო ხაფანგები, კაკანათები, გათხარა ორმოები და ახლა ამუშავებს უსამართლო კანონები და პალიკო განზე გადა, შორიდან შესტრფოს, როგორ მუშაობს მისი მოჩხიბული, არაადამიანური, ერთი მონინალმდევის დასამარცხებლად გამზადებული საკონსტიტუციო და სხვა კოდექსებში შეტანილი ცვლილებები. პალიკოს და სხვათა შეთხზული კანონების უმრავლესობა მახეება, რომელშიც უნდა გაეხას მხოლოდ მონინალმდევე. აი, როგორ იყენებენ ნინასაარჩევნო დღეებში ამ სამართლებრივ ნორმებს?!

უამრავი ადამიანი დაიჭირეს და ერთადერთი მუხლი მიუსადაგეს: პოლიციისთვის წინააღმდეგობის განევა. ასე ჩამოაცილეს საარჩევნო კომისიის 40 დღით დაპატიმრებული ჟორჟოლიანი და ბევრი სხვა. გექცემა პოლიციელი, დაგაპირებს იარაღის ან ნარკოტიკის ჩადებას, შენ შეენინალმდევები, აბა, რას იზამ, მერე იმ მიზეზით, რომ შეენინალმდევე, ჩაგაყუდებენ. არვინ შეგეკითხება, რას და რა-

ტომ შეენინალმდევე. არაადამიანური რეჟიმი გააბატონეს სააკაშვილმა და მისმა ბანდამ. ცოტაც და, მთელი არანაციონალური საქართველო გაქრება, მათი მიზანიც ეს არის. ნუ მიესადაგები ხელისუფალს, ნუ ითანამშრომლებ მასთან. ერთი მწარე ხუმრობა მახსენდება ჩემი სკვირიდან: „აძლია კეისარს კეისრისა და ბოლოს თვითონ გეისრისა.“

სად არის ლალი, ღიმილიანი, კეთილი და მოსიყვარულე საქართველო, სად და როგორ გადაგვიმალეს ამ ბარბაროსებმა? პეტრე მამრადე: „საკაშვილი ურეკავდა მერაბიშვილს და წამების დეტალებს კითხულობდა, თუ როგორ აწამეს, რას ყვიროდა, როგორ კვნესოდა პატიმარი“. რაც შეეხება გადაღებას, პეტრე მამრადე ამბობს,

ბიძი ალხაიზივილი

ქუჩაში რომ გამოჩნდეთ ჩვეულებრივი მოკვდავივით, ადამიანები ძალღებავით დაგესვიან, დაგგლეჯენ დაგგლეჯენ მარია დელ ალტარში გამართული ხოცვა-ჟლეტისთვის, პატიმრები ცოცხლად რომ ჩაუყარეთ ნიანგებს წყლით სავსე ორმოში. იმისათვის, ადამიანებს ცოცხლად რომ გააძვრეთ ტყავი და მერე ამ უბედურთა ოჯახებს გაუგზავნეთ, აქაოდა, ვინც ჭკუით არ იქნება, ყველას ასე მოუვარო იმისთვის... არაგონებმა დაგუბებულ წყენას გზა მისცა, მოგონებათა უძირო ჭიდან ქაჩა და ქაჩა საზარელი ამბების კრიალოსანი და ისე მარცვლავდა, თითქოს სათითაოდ ალუფენდა ლოცვას კაცობაშია რეჟიმის მსხვერპლთ (მარკესი. „პატრიარქის შემოდგომა“).

ბოლო დროის გააფრთხილებულ რეპრესიებს მთელ საქართველოში, თავის გატყვევებს, ნიღბიანების თავდასხმებს, დაპატიმრებებს ჰყავს ერთი მბრძანებელი და ათასი შემსრულებელი. ყველანაირად ცდილობს სამოქალაქო ომის დაწყებას და ჯერ ბოლომდე ვერ ბედავს. ვერ გადაფარა გლდანის საპრობილეუმიდან გამოღწეული უსასტიკესი და სადისტური კადრებით გამოწვეული აღშფოთება – მოედო მთელ მსოფლიოს და დემოკრატიის შუქურას ავტორი იქცა ურჩხულად. აი, რას ფიქრობს ბრიტანელი პარლამენტარი დენის მაკჟინი თბილისის საპრობილეუმი მომხდარ შემზარავ ფაქტებზე:

„ყოველი ერი ფასდება იმით თუ როგორ ეპყრობიან იქ მოქალაქეებს და განსაკუთრებით ტუსალებს. ვიდრე ამჩვენსა, რომ საქართველომ ვერ გაიარა ეს გამოცდა და კარგი იქნებოდა, თუ ყველა პოლიტიკოსი – მიუხედავად პოლიტიკური პლატფორმისა – რომლებიც ერთმანეთს ძალაუფლებისთვის ებრძვიან, შეჩერდებოდა და დაუფიქრებოდა იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართული სინამდვილე სრულად შეესაბამებოდეს ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას.“

შეზღუდვების მხარდამჭერი პარტიები (ცესკო ბრძანებას ასრულებს)

24 სექტემბერს ცესკოს სხდომამ, გამოგონილი რეგულაციების მომიზეზებით, ფაქტობრივად, აკრძალა საარჩევნო უბნებში ვიდუოკამერის შეტანა, ფოტოგადაღება, იქვე ინტერვიუს ჩანერა, რაიმე კომენტარის გაკეთება. შეზღუდვები დაწესდა თითქმის ყველაფერზე, რაც მანამდე კანონით დაშვებული გახლდათ, და ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სიბნელებაში აპირებენ არჩევნების ჩატარებას, ანუ გაყალბებას. გარყვნილი ბიჭი ძალადობს... ვერ იძალადებდა, რომ არ ეხმარებოდნენ მისი მორჩილი ხარატიშვილი, ქდმ და მემარჯვენეები. ცესკოში უმრავლესობა დაშვებული ქდმ-სა და მემარჯვენეების მხარდამჭერი გაფორმდა და დაანესეს ის შეზღუდვები, რასაც კანონი არ ითვალისწინებს და ამიტომაც იყენებენ ამ ჯადოსნურ სიტყვას: რეგულაცია. ყველამ დაინახა, ვინ არიან უმრავლესობის მომხრე სატელევიზიო პარტიები, უმრავლესობის მდუმარე მხარდამჭერები.

თუ ალლო არ მალაატობს, ეგერი საერთოდ პარლამენტს გარეთ დარჩებიან და უშიშოდ რა ხმებსაც მოიპოვებენ, დავინახავთ. ასეთ უზნეობას რომ ვხვდავ, ვლიზიანდები, მაგრამ პოლიტიკაში, ზოგიერთი ფსევდოპოლიტიკოსებისთვის მოსულა ასეთი თვალთმაქცობა. ვითომ ნაციონალურ მოძრაობას აკრიტიკებენ, თითქოს რეალური ოპოზიციაა და არა მოსყიდული სუბიექტები. პარლამენტში თბილა და მიჩვივნენ იქ ყოფნას, იქ შესაღწევად კი აუცილებელია მიშას მხარდამჭერა და გარიგების პირობების შესრულება.

ცესკოს თავმჯდომარემ, ზურაბ ხარატიშვილმა განაცხადა, ფოტო და ვიდუოგადაღებისთვის დასაწყისიდან 10 წუთის განმავლობაში გადაადგილება თავისუფალი იქნება, ხოლო 10 წუთის შემდეგ კამერები განთავსდება მინიმუმ 3 მეტრის მანძილზე,

▶▶ მინანერი: ინგა გრიგოლიამ გლდანის მაჟორიტარულ ოლქში არჩევნებიდან მოხსნა თავისი კანდიდატურა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მისმა პარტიამ მხარი დაუჭირა ცესკოს გადაწყვეტილებას საარჩევნო უბნებში ფოტო და ვიდეოგადაღების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ინგა გრიგოლიას პროტესტი თანაპარტიელების მიმართ სრულიად გასაგები და ზნეობრივია.

P.S. ინგა, როგორც მისი პარტიელები გვაუწყებენ, აღელდა, ფსიქოლოგიურმა ზენოლამ აანერვიულა და, როგორც ჩანს, გააგრძელებს გლდანში მაჟორიტარი დეპუტატობისთვის ბრძოლას.

ან ნასვლა რა იყო, ან დაბრუნება?! ბავშვურ თამაშს დაემგვანა ეს ყველაფერი.

2012 წლის 24 სექტემბერს (ნინო მიქიაშვილი)

ივარის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში შეკრებილ მრევლს ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, ანუ 21 სექტემბერს, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ილარიონმა (ქიტიაშვილი) ქადაგებით მიმართა.

მეუფე ილარიონის თქმით, ქართველი ერის დაჩოქება და განადგურება უნდა. ეს ხელისუფლება არის ბოროტება და ამიტომ ბოროტებამ თავისი არსებობა უნდა დაამთავროს.

მეუფე ილარიონი მმართველი პარტიის მხარდამჭერებს კეთროვანებს, წყულებს, უზნეობს უწოდებს; ქადაგებისას ეპისკოპოსი წყევლის ამ ბოროტ ძალას და მრევლს უსურვებს ბედნიერებას და უკეთეს დღეებს.

წყევლა რომ გავიგონე, შეგვრთი, შევშინდი. გურიის წინამძღვარი ოპოზიციის მომხრე მრევლს წყევლის აქ, სვანეთში კი, პირიქით, ხელისუფლების მომხრე ადამიანებს წყევლიან, განა შეიძლება ამ აბსურდის დაფიქრება?! ეს გახლავთ ჩვენი ეკლესიის და ქვეყნის გახლეჩილი, გაორებული და გამრუდებული სახე. ეს იყო უკიდურესად გამწვანებული ადამიანის წყევლა, როცა სხვა გზა არ რჩება და გაბატონებულ ბოროტებას წყევლის, თითქოს ყოველ სიტყვას დამინებთ გზავნის ადრესატისკენ.

საკა გაეროში სიტყვით უნდა გამოვიდეს. გაფრინდა. დავალება ნასვლამდე შეუსრულეს. ხვალაც გააგრძელებენ პოლიცია და ნაცმოძრაობის ნიღბიანები... სტუდენტთა აქციების ერთ-ერთი ლიდერი ცაგარელი დაპატიმრეს სრულიად უმიზეზოდ. ისევე პოლიციისთვის დაუპირისპირებლობას იმიზეზებენ. დანაშაული არ არსებობს, მაგრამ არის ბრალდება, მერე რა, რომ ცრუ ბრალდებაა, უფროსს ასეთი ხომ აქვს. 400 ლარით დააჯარიმეს. ზრუნავს პრეზიდენტი ბიუჯეტის შევსებაზე. ერთი, ვინმე დაითვლიდეს, რამდენს შეადგენს ჯარიმებით შემოსული თანხის ოდენობა.

მერე რა, რომ ბრალი არ მიუძღვის?! კანონში ხომ წერია? წერია! მე დავაბრალე დაუმორჩილებლობას და, ვისაც მინდა, დავაპატიმრებ და დავაჯარიმებ. ჩავაყუდე. ჰოდა, ჩააყუდა კიდეც. ერთ რამეს ვერ ითვალისწინებს ეს ოხერი: მისი აღარავის ეშინია. იგი დამთავრდა მთელი ქვეყნის თვალწინ, იქცა კარიკატურად და, როგორც ნამდვილს, აღარავინ აღიქვამს. მოკლულთა და ნანამებთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება და რეჟიმის ავტორი არ აპირებს, პასუხი აგოს. უნდა გადაიგინყოს, მიჩქმალვოს მკვლელობები, სადისტური ნამებები, არც კი სჯერა რომ რამე დააშავა. „ახალ სახელმწიფოს ვაშენებდი და მსხვერპლის გარეშე როგორ ამეშენებინა?! ვიღაცა შემოგვაკვდება, ვიღაცას ქონებას ჩამოვართმევთ, ზოგს დავიჭერთ, მივემარებოთ, ადამიანად იქცეს.“ რითი მიეხმარება, პროჭიდან სულს ამოხდის? ისევე „დუბინკის“ იმედად ხარ?! ნადი ახლა შენს საკანში და საკუთარი გამაგების დათვლას შეუდექი. არ დაითვლი და თვითონ გამოგეცხადებინა ცალცალკე, მორიგეობით, ზოგჯერ ერთად...

იმ დღეების ზეპირსიტყვიერება:

საპრობილეში აღმოჩნდა მარკიზ დე სადის დესანტი... მიშა, იმასვე მომიკი, რასაც ციხეში თესავდი...

25. 9. 2012

გრძელდება „ქართული ოცნების“ საუბნო კომისიის წევრების დაპატიმრება, სხვა წევრებზე ჯგუფური თავდასხმა და მათი სასტიკი ცემა. ნაწილს აპატიმრებენ, სასტიკად ნაცემები კი საავადმყოფოში გადაჰყავთ. ამ ყველაფრის უკან დგას ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც რახანია ცდილობს სამოქალაქო ომის გაჩაღებას, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ არ გამოსდის მეორე მხარის თავშეკავების და სიფრთხილის გამო.

უკვე გამოქვეყნდა ეუთო-ს დამკვირვებელთა შუალედური დასკვნა, სადაც ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილი მკვეთრად უარყოფითი ფაქტებია წარმოდგენილი. ბოლო დღეების შედეგებიც დაიდება ზუსტად და ვნახავთ ეუთო-ს მორიგ დასკვნას. არჩევნები, ალბათ, უარესი ცემა-ტყეპისა და ძალადობის ფონზე ჩატარდება. ომი გააძვირებს და გაკოტრებულმა მხარემ და ურცხვად ძალადობს. წინასწარ ვგრძნობ, თუ ამ ტოტალურ დარღვევებს გაყალბებაც დაემატა, არჩევნებს ეუთო და სხვა მონიტორები ლეგიტიმურად არ ჩათვლიან.

ამის მერე იწყება ჩიხი, რომელშიც ჩარჩება სააკაშვილი თავისი მომხრეებით, ძალოვნებით და უდანაშაულო ხალხით. დასავლეთი თავის პოზიციას გაახმოვანებს და საქართველოს დამეჭრება იზოლაცია და ეკონომიკური სიდუხჭირე. სააკაშვილი ამას მოიმკის და ყველაზე მეტად დაზარალდება ჩვენი ხალხი და სახელმწიფო. სააკაშვილმა ეს იცის და ამიტომ იმუქრება – ვისაც უკან, სიბნელეში დაბრუნება გინდათ, გაჰყევით ხაინდრავას, ხოლო ვინც პერსპექტივაზე ფიქრობს – აირჩიეთ ზღუდად და ყოფილი სახალხო დამცველი.

ამ კონტექსტში იკითხება – თუ მხარს დაუჭერთ ნაციონალურ მოძრაობას, სიბნელეში არ დაბრუნდებით, ხოლო, თუ მიემხრობით იმით, ვისაც უჭერთ მხარს, დედა გეტყვობათ.

აი, ვინ არის რეალური მგრეველი და აკვირების მონა. ჩვენი მღვდლების ერთი ნაწილი სულ მაგის წყევლაშია.

ეს ნეობოლშევიკური ძალა სიძულვილზე აღმოცენდა და მის მოჩვენებით ძალასაც სიძულვილი ასაზრდოებს. ძალაუფლების შენარჩუნებას სააკაშვილი ვეღარ შეძლებს – ის უკვე თიხის ფეხებზე დგას და ცდილობს, საკუთარ დანაშაული ბიძინას გადააბრალოს და ასე „გააპრაოს“ თავისი ტანჯვა-წამების და დუბინკით გაუპატიურების უმაღლესი სკოლა, რომლის აღმშენებელი პრეზიდენტმა დააჯილდოვა სახელფასო პრემიით, სახელმწიფო სარგოები და დაცვა დაუტოვა და ბიზნესის ხელშეუხებლობას შეპირდა. როდემდე შეძლებს სააკა ბაჩოს და სხვა დანაშაულთა პატრონების და სამშვიდობოს გაცლიებას, როცა მის თავზე შეიკრა საშინელი ღრუბელი, რომელიც ისე იქუხებს, რომ შეშინებული პირქვე დაემხოება, როგორც ეს შუაგულ ქართლში 2008 წელს დაემართა. ეს ფაფხური დიდხანს ვერ გასტანს, საამისო რესურსი აღარ გააჩნიათ. გემის ჩაძირვის მერე დაიწყება ვირთხების გაქცევა და წინ უტყბად იხუვლებს ერთიანად, თუ უკვე არ დაიწყეს საბანკო ანგარიშებისა და გასატანი ნივთების მონესრიგება, ბინის დასავლეთში შეგულება, ვისაც ჯერ არ გააჩნია. ეს პროცესი თავისთვის მიმდინარეობს მაშინაც კი, როცა ოცნების აქტივისტებს არბევენ, იჭერენ და სცემენ. ასე ისანგრძლივებენ დროს, რათა ყველაფრის გატანა მოახსრონ, თან იღრინებიან ან ბოროტად სღუმან. მხოლოდ ის თუ გამოხტება თანმდევ ტრიბუნასთან ერთად და მორიგ სიჭკვიანეს დააბრეხვებს, მაგალითად, ასეთს: ვინც უფლებათა დარღვევაზე ცრემლებს აღვარდვარებდა, ნარკობარიგა ტაბატაძის მეგობრები არიან და მათ შესვლას მთელი საქართველო ნემსზე. მსგავსი ჭკვიანური არაფერი გამოიგონია. უფლებათა დარღვევაზე ცრემლების ღვარღვარი კი არა, მიხე, საშინელებათა ვიდუროფერი ნახა მთელმა საქართველომ და მოკუმი ჩავარდა. საიდან, ასეთი ცინიზმი? ე. ი. ვინც ცრემლებს აღვარდვარებდა ნანახი საშინელების გამო, ყველა დაცინვის ობიექტია ქვეყნის პრეზიდენ-

ტისთვის??? თვითონ და მისი ამფსონები ხომ ერთობოდნენ ამ ფირების ყურებით?! ყოველ ნაბიჯზე ჩანს, რომ მას ადამიანურობის დეფიციტი აქვს, საშინელი ეგოისტი და მიზანთროპია და სისასტიკის გარეშე ვერ წარმოუდგენია პენიტენციალური სისტემა და საკუთარი არსებობა. მისი იდეები განახორციელა ბაჩო ახალაიამ, შამკინიც იქ გაამსესა და გამოწონა, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა პრეზიდენტის ხელდასხმული. საჯალათო სკოლის გაუფლელად წარმატებას ვერ მიაღწევია, ერთი საპრობილეუც ააშენე, უფრო თანამედროვე, ვიდრე გლდანის დაწესებულებაა. და, საერთოდ, უმაღლესი სკოლა ხომ არ აგეშენებინა, სადაც ჯალათის პროფესიას აითვისებენ. რექტორად ბაჩო დანიშნეთ. ამ საგანმანათლებლო სკოლაში ასიოდ სტუდენტი ისწავლის და საუკეთესოებს, ენასაც თუ დაუფლებიან, საფრანგეთში გაგზავნიან ჯალათური ნოვაციების დასაწარმოად და გასაზიარებლად. სხვა ევროპული ქვეყნებშიც მოითხოვდნენ კვალიფიციურ კადრებს და... ისე, რა კარგია, არა, რომ გკითხავენ:

- სად ჩააბარა თქვენმა შვილმა?!
- საჯალათოზე...
- რომელ სპეციალობას ეუფლება?
- უკანაიდან სულის ამორთმევის ტექნოლოგიას. ეს ძალიან რთული პროფესიაა და თეორიული სწავლების შემდეგ ეწყებათ პრაქტიკული მეცადინეობა: ჯერ ცოცხის, ხოლო ბოლო კურსზე „დუბინკის“ შეყვანაში დაოსტატდებიან. ახლა უკვე ვახელის იყენებენ და ისეთი მკვიცნეული აღარ არის, იოლად უძლებენ...
- ასეთი დიალოგი მომესმა იმ მომავლიდან, რომელსაც მე ვერ მოვესწრები და ღმერთმა თქვენც ნუ მოგასწროთ, მეგობრებო. ისე, რა დამსახურება ჰქონია ბაჩოს „იქიდან“ სულის ამოხდის საქმეში, ასე რომ დააფასა მისი ალალი შრომა ქვეყნის პრეზიდენტმა?!

ბოლო დღეებში გამძვინვარებული ტერორი სააკაშვილის ხელწერაა, პასუხია გამოაშკარავებული ნამების ფაქტებზე უფლებადამცველების და საზოგადოების უმკაცრეს რეაქციას, გამონევეა მონიტორებისა და ეუთო-ს და, საერთოდ, ყველას, ვისაც ევალება ამ ვითარების შესწავლა და დასვენის გამოქვეყნება. სამოთხ დღეში ასამდე ადამიანია დაკავებული პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხრის გამო. საინტერესოა, რომ ყველა დაპატიმრებული პირი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია, ყველა მათგანი ან საოლქო, ან საუბნო კომისის წევრია. ასე ორგანიზებულად გრძელდება „ქართული ოცნების“ წევრების დაპატიმრება მთელ საქართველოში. დამდგმელი რეჟისორი და მთავარი პოლიცმანისტერი სააკაშვილია. გადწყვიტა არჩევნების გაყალბება „ქართული ოცნების“ საარჩევნო კომისიების წევრების მასობრივი დაპატიმრების და ცესკოში ახალი რეგულაციების დამტკიცებით, რაც ითვალისწინებს ვიდეო და ფოტოგადაღების შეზღუდვას, ინტერვიუს ჩანერის აკრძალვას, რაც თავისთავად ნიშნავს სიბნელეს და გაყალბებისთვის ხელშეწყობას. ძალადობს სააკაშვილის რეჟიმს ყოველ ნაბიჯზე და არც ერთდღიან ყალბისმქნელობას. ჩემთვის ფიქრობ, ვინ ყოფილა ეს სააკაშვილი?! მართალია ჩემი მეგობარი, ბოროტი დემონია, რომ თქვა. მე კი დავეთანხმე, ბოროტი დემონია, მაგრამ მაინც სულელია-მეთქი. ყველაზე უკეთ იცის, რომ ნაგებული აქვს არჩევნები, მაგრამ ცდილობს, შეუძლებელს შეხედოს, შეურაცხყოფილი არ დარჩეს საკუთარ მეგალომანურ სურვილებთან, ამიტომ გაშლევებული მიდის ყოველგვარ დარღვევაზე, რომელსაც აღწუხსავენ მონიტორები და წინასწარწევნი შუალედურ დასკვნას დადებენ, რასაც მოჰყვება მთავარი დასკვნა არჩევნების ჩატარების მერე და, დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი თავს გამარჯვებულად სასწრაფოდ გამოაცხადებს. რალაც ხრიკს მოიგონებს და გამოაცხადებს. მთავარია ეუთოს და სხვა დამკვირვებლების შეფასება. მაქვებს ბელორუსი დამკვირვებლების ობიექტურობა – მიშამ მონინა ბელორუსები.

წინასწარ მკითხაობას რა აზრი აქვს? არაფერი. მე ერთი ვიცი, თუ ეს ხელი-სუფლება დარჩა – რასაც გამოვირცხავ – ქვეყნის ბედი უაღრესად დამძიმდება.

მერე ნახეთ რეპრესიები და ექსპერიმენტული ნამებები ციხეებში და შემინული პოლიციის შნობებში. რომ დასცალდეს, შუშის ციხესაც ააშენებს და დაიფიცებს, რომ გამჭვირვალა მისი შუშის ციხე.

არა, გიჟი არ არის, შლეგია. რამეს რომ აიკვირებ, უეჭველად უნდა შეასრულოს, თორემ კონფუსიები ეწყება, ნადგურდება, იმჩვარება, დუჟი გადმოსდის პირიდან. ასეთი შერეული სურვილი და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა კარნახობს, წარმოსახვაში სწრაფად დაალაგოს მოსახდენი მოვლენები და დადოს მოქმედების გეგმა. იხმობს შემსრულებლებს და დეტალურად გააცნობს სამოქმედო გეგმას. გეგმაში განმსაზღვრელია არა რეალობა, არამედ სურვილის სიძლიერე, რომელიც იზომება არა ლოგიკით, არამედ მიზნით და აქვე ჩასაფრებულა მაკიაველის ფრაზა – „მიზანი ამართლებს საშუალებას“, რაც ძალიან კარგად აქვს გათავისებული და ძირითადად ამ აფორიზმით საზრდობს, მაგრამ სურვილი იმდენად ძლიერია, რომ ასწრებს საქმის დასრულებას და ამჯერად უკვე ვეჭვობ, ეუთო-მ, ყველაზე სერიოზულმა ორგანიზაციამ, გაყალბება სამართლიანად ჩათვალს. რასაც მე ვვარაუდობ, მასაც დათვლილი აქვს, მაგრამ ურჩევნია, უკიდურეს შემთხვევაში არჩევნები გადავადდეს, ვიდრე მშვიდობიან და სამართლიან არჩევნებში დამარცხდეს. ამბიციის ტყვეა და საკუთარ თავს ვერსად გაექცევა, მაგრამ დამარცხება მაინც მოუწევს.

არ იცის თავისი მომავალი, თუმცა ყველა ვერსია გათვლილი აქვს. ჯერ – ლაზიკა მაქვს ასაშენებელი, მერე კი – მანამდე ვიქნები, ვიდრე ლაზიკა შავიზღვისპირეთში ყველაზე ბრწყინვალე ქალაქი არ იქნება. იგი სიმულაციებით საზრდობს და ტყუილი მისი ცხოვრების წესია, აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ, იგი ჯერ თავს იტყუებს, მერე თავის ტყუილს სიმართლედ ასაღებს და მთელი პათოსით გაჰყვირის თუ დაჰყვირის ძალით მორეკილ საწყალ პედაგოგებს და საბიუჯეტო სამსახურების თანამშრომლებს. მათაც ყელში აქვთ ამოსული ამ ტიპის შემანუხებელი სუპერაქტიურობა. მიუხედავად ჩვენი შეხედულებებისა, ის ნამდვილად ტრავიკული ტიპია, რადგან უწევს ცხოვრება სიმულაციის და რეალობის ზღვარზე, ამ ორი ნაპირის გამუდმებული მონაცვლეობის რიტმში, და ამიტომაც დახტის მისი ფიქრები ურთიერთგამომრიცხავ უკიდურესობებში. ეშინია განმარტოებული ფიქრის და სიმშვიდის. არ შეუძლია საკუთარ მეში ჩაეტოს. მისი ბუნებრივი მდგომარეობა კოლექტიური მეს დამორჩილება და მასზე დაყრდნობით მეგალომანიის დაოკებაა, დროებით მაინც. ახლა კი დადის ორ ნერტილს შორის გაბმულ თოკზე, როდის განწყდება, რომ არ იცის, და შიშით უწინდება გულში, რადგან იცის მონინააღმდეგის დიდი უპირატესობა და ეჭვიც ეპარება ძალადობით თუ მი-აღწევს სანადელს, მაგრამ იხტობარს არ იტეხს და აგრძელებს რეპრესიებს. თვითონ გაეროშია, მისი ზონდერები და პოლიციელები კი დაძრწიან „ქართული ოცნების“ შტაბებთან, ქუჩებში და ოცნების მაისურთან დიდსა და პატარას სცემენ და იჭერენ. ასეთი რამ არასოდეს მინახავს, კინოშიც კი, რადგან, რაც ჩვენში ხდება, ეს რეპრესიაც კი როგორღაც პაროდის თუ კარიკატურული სტილისტიკის ელფერს იღებს და, ალბათ, იმიტომ, რომ იგი ამბიციამ და მისმა ქაქანმა გააშარჟა მრავალი ადამიანის თვალსა და ფიქრში. მთელი უცნაურობა სწორედ ის გახლავთ, რომ იგი თითქოს იმეორებს რომელიღაც ნერონის მრავალ თვისებას, მაგრამ მაინც არ არის ნამდვილი ნერონი – უფრო ნერონის კარიკატურაა, თუნდაც იმიტომ, რომ იმპერიის კი არა, ჩვენი ბედრული ქვეყნის დირექტორია და თამაშობს იმპერატორს, თავის გამოჩენის მასშტაბებიც არ აკმაყოფილებს და მსოფლიო პოლიტიკის ელიტასთან სურს მიახლოება, თან ცდილობს, როგორმე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხედვს და საამისოდ ათასნაირ ხრიკს იგონებს.

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

დღე არ გავა, რომ საქართველოს უამრავი საჭირობო საკითხებიდან ერთ-ერთმა არ ნამოყოს თავი და არ ააფორი-აქოს ჩვენი ხიფათებითა და ტრაგიკული თავგადასავლებით ისედაც დაზაფრული საზოგადოება. გუშინ რომ გენერალური პროკურორის, როგორც „თავდასხმე-ლისა და ყაჩაღის“ შესახებ ინფორმაცი-ებმა დაგვცა თავზარი, დღეს არანაკ-ლები ამბების მსმენელი და მხილველი ვხდებით. ახლახან გამოშვებულმა სკანდალურმა ვიდეომ, რომელიც მუხ-როვანის „აჯანყების“ დაბურდული ძა-ფის გორგალს შეეხება, გაუგებრობით სავსე დღეები და რისთვის და რატომ და-ხოცილი სამხედროები გავცახსენა, გუ-ფილტიკილი განგვიახლა, კიდევ უფრო დაძაბა საზოგადოება... ასე მიდის ჩვენი დღეები – რომელ სტრესს გავუმკლავ-დეთ, რაზე შევაჩეროთ ყურადღება, რო-მელ მოვლენას გააუჭკეთოთ ანალიზი, რა დავგმით და რა მივიჩნიოთ დასაშ-ვებად – ამაზე ფიქრის დრო აღარ გვრჩება. აი, ასე ცვალებადობს დრო საქართველოში და, ალბათ, მსოფლიოშიც – ყველგან თავისე-ბურად! მაგრამ დავიჯეროთ, რომ დრო თავისთავად ცვალებადობს და მას მოაქვს ცვლილებები? რა თქმა უნდა, მთლად ასე როდია. დროც და ეპოქაც თავისი ელფე-რით ჩვენ – ადამიანებს მოგვყავს, მაგრამ ადამიანები ხომ დროს მოჰყავს! ერთი სიტყვით, მე მინდა გავიხსენო ოცი წლის წინანდელი ამბები, როდესაც „ლიტერა-ტურული საქართველოს“ ფურცლებზე, მაშინდელი სოციალური და პოლიტიკუ-რი ვითარებიდან გამომდინარე, ჩემთვის და ალბათ ყველასთვის თუ არა, ბევრი მკითხველისთვის პირუთვნელობითა და გაბედულებით თვალშისაცემი რედაქ-ტორის სტატიები იბეჭდებოდა, სტატიე-ბი, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო არა მხოლოდ იმდროინდელი პოლიტიკური წყობილების თანმხლები უკუღმართო-ბები ზოგადად, არამედ ქვეყნის სათავე-ში მდგომი პირი იყო, ასე რომ ვთქვათ, „შეჩვენებული“ და ეს „შეჩვენება“, ფრ-თხილიც და გაბედულებაც, ისეთი მოზომი-ლი იუმორ-სატირით იყო დატვირთული, ისეთი გულწრფელობით, სამშობლოს ბედ-იღბალზე მზრუნველი კაცის პირდა-პირობითა და ამავე დროს გაკრიტიკებუ-ლი პირისადმი მეგობრული თანადგომით იყო სავსე, რომ არ შეიძლებოდა, ჭკვიან კაცს სათვალავში არ ჩაეგდო. ჭკუა კი ნამდვილად არ აკლდა ადრესატს! მაგრამ რად გინდა, დრონი მეფობდნენ, მეფენი კი ხელმოცარულნი რჩებოდნენ, მეფენი, რომელთაც ხშირად თავად მოჰყავთ უც-ნაური დრო...

საქვეყნო საზრუნავი, იცოცხლე, უამრავი დაგროვება ჩვენს მთავრობას და, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკ დროში ვცხოვრობთ, დროში, სადაც ადამიანის სიცოცხლესაც კი ფასი დაჰკარგვია, მე მაინც ისეთ საკითხზე მინდა მკითხველს ვესაუბრო, რომელიც თითქოს უმნიშვნე-ლოა იმ მოვლენებთან შედარებით, თავ-საყრელად რომ დაგვგროვებია, მაგრამ რომელსაც, თუ დაუჭვირდებით, ადა-მიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხელყოფასთან მივყავართ. საქართველო დემოკრატიული გზით უნდა განვითარ-დესო და დაინახუნენ, ევროპელებისგან ვისწავლოთ, როგორ დავადგეთ ამ გზასო. თუ ყოფილი მთავრობის წევრებს დავუ-ჯერებთ, მათ უკვე 2012 წლამდე „მოკირ-წყლეს“ ეს გზა, მაგრამ ხალხმა ხომ უნდა იგრძნოს, გზა რომ ევროპულად არის მო-კირწყლული და მასზე გავლა შეიძლება, აბა, სად არის! ჯერჯერობით არანაირი ელფერი არ დაგვდებია ევროპისა, თუმცა ცდილობს დღევანდელი მთავრობა, მაგ-რამ არ ვიცით, რას აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო სწორ გზას დაადგეს. არც ის ვიცით, როგორია ეს სწორი გზა სამ-ნახევარმილიონიანი ქვეყნისთვის. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სად, რომელი მხრიდან თუ რომელი წერტილი-დან ჩანს უკეთესობა, მაინცდამაინც არ არის თვალსაჩინო. სასწაულია, მაგრამ დღეს ბევრი კომუნისტების დროინდელ ყოფას ამჯობინებს ჩვენს ამჟამინდელ

ყოფას... ეს ხომ სირცხვილია, არადა, რა არგუმენტებით უნდა დაარწმუნო უმუშე-ვარი, ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამი-ანი კომუნისტების უფარგისობაში?

ხალხზე, ქალაქებზე, სოფლებზე, ადა-მიანის უფლებების დაცვაზე, მათი სა-კუთრების ხელშეუხებლობაზე, სამარ-თლიანობაზე ვინ უნდა იზრუნოს? ჩვენ ვზრუნავდითო, გვიმტკიცებენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და ახლაც იგივე გაიმეორა დედაქალაქის მერიამ, როცა ვაკის პარკში შვიდსართუ-ლიანი სასტუმროს მშენებლობაზე მიდგა საქმე. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მიზნით ვაკის პარკის რესტავრაცია კი დაიწყეს 2013 წლის სექტემბრიდან. როგორც შემ-დგომში საქმე დაგვანახა, ვაკის პარკის გამშენიერება კი არადა, თურმე ნუ იტყ-ვით და, აინტერესებდათ საბოლოოდ გა-დაეჭრათ აღნიშნული სასტუმროს მშე-ნებლობის საკითხი და თავგამოდებით

პოლიტიკური თაბაშები ჟანბადგამოცლილ ქალაქში

დაცვათ ვინმე მესაკუთრის უფლებები, რომელსაც თითქმის შუა ვაკის პარკ-ში ეკუთვნოდა ნაკვეთი! სხვათა შორის, ამ ნაკვეთზე გასულ წლებში აშენებული იყო მცირე მოცულობის, ორსართულია-ნი რესტორანი „ბუდაპეშტი“, რომელიც ბოლო წლებში უპატრონობისა და მო-უვლელობისგან დაინგრა. ვაკის პარკის მოყვარულთ არც უნინდელი, მოქმედი რესტორანი მონონდათ თავისი მოქიფე-ებით და არც ამჟამინდელი დანგრეული... მაგრამ იმის იმედი კი ჰქონდათ, რახან სა-რესტავრაციო სამუშაოები დაიწყეს, ტე-რიტორია გასუფთავდებოდა, გამწვანდ-ებოდა და პარკი პარკს დაემსგავსებოდა.

არა მგონია, თბილისში ცხოვრობდეს ადამიანი და ამ პარკში არ იყოს ნამყო-ფი. არ იცოდეს, რომ საზოგადოებისთვის განკუთვნილ პარკს მართლაც რომ ათეუ-ლი წლების განმავლობაში საზოგადოება უვლიდა. რამდენი „შაბათობა“ ჩავგიტა-რებია, დავისუფთავებია, გავგილამაზე-ბია, ხეებიც დაგვირგავსა. რა თქმა უნდა, ქალაქის საბჭოს თუ მერიის ხელშეწყო-ბაც ჰქონდა პარკს – ხანდახან მოძველე-ბულ, მორყეულ სკამებს შეაკეთებდნენ, გადაღებავდნენ, აბა, როგორ, მთავრობა ჩამოსული სტუმრებისთვის სავიზიტო ბარათად უკეთესს რას გამოიყენებდა!.. ევროპულ სტუმარს ამ პარკით როგორ გააკვირვებდნენ, მაგრამ, ასე რომ იყო, ეს კი ნამდვილი ამბავია!

ბოლო ათი წელი (შეიძლება მეტიც!) ქალაქის მთავრობამ მეტისმეტად „შეი-წუნა თავი“ ვაკის პარკის შემოზღუდვით.. მოსაშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების მხრიდან ჩინური კედელი აუშენეს, თუ ვი-დაცებს ააშენებინეს! ოღონდ ეს კედლები ნამდვილად ქართულია (ჩინელი ან ევრო-პელი ამას როგორ მოიფიქრებდა!) ნახეთ, როგორ კედლებზე ვლასპარაკობ! ერთი აყლაყუდა, მრავალსართულიანი უშნო შენობით რომ დაიწყეს, იქვე ახალი რეს-ტორანიც მოუშენეს, მერე უკვე საზღვარს აცდნენ და ცოტა კი არა, პარკის სიღრმე-ში კარგად შეიჭრნენ და ამერიკული გოლ-ფის მოედანიც ააშენეს. მისი, ვინ იცის, საიდან და როგორ მოვლენილი უცხოელი მეპატრონე ასეთი მშენებლობებით გა-ლიზანებულ ხალხს არწმუნებდა, ამ ტე-რიტორიას კიდევ უფრო გავამწვანებთო. გამწვანებისა რა მოგახსენოთ და კარგი, მაღალი ღობით კი ნამდვილად შემოი-ფარგლეს პარკის ტერიტორია. მერე, ეს გოლფის მოედანი, როგორც ჩანს, არცთუ დიდად მომგებიანი აღმოჩნდა – ქართვე-ლები ამ ამერიკულ თამაშს რატომღაც ვერ შეეწყვიტნენ, დაანგრეს თავისი ლო-ბით და პანია შენობებით და ახლა იქ ეგ-რეთ ნოდებული მედიათეკა ააშენეს. კი ბატონო, მედიათეკა რესტორანთან შედა-რებით უწყინარი შენობაა, თუ არ ჩავთვ-ლით, რომ იგი პარკის ტერიტორიაზეა და

ნაძვებისა და ნიწვების როლს ნამდვილად ვერ შეასრულებს, არადა, აშკარაა, რომ ვილაცას ნაძვებსა და ნიწვნარში, სუფ-თა ჰაერზე, სიმყუდროვეში კარგი, სამუ-შაო ადგილი გამოუნახეს სახელისუფლო ძალაუფლებაში მოსულებმა ... კერძოდ, მერიამ. საინტერესო ის არის, რომ იმავე მერიამ ეს ადგილი, როცა დაჭირდა, ვი-ლაცას მიჰყიდა, როცა დაჭირდა, შეისყი-და და (თუ რა ვიცი, დანყველოს ეშმაკმა! დაიბნევი) მედიათეკა ააშენა.

გავაგრძელოთ გზა, უხმაუროდ, კო-მენტარის გარეშე ჩაფურთო პარკის ტე-რიტორიაზე შეჭრილ საბავშვო ბაღს და ბაღის გვერდით, ჩვენ თუ არ დავინახავთ, თავად დაგვანახებს თავს საჩაიე, კა-ფე თუ მისი მსგავსი ხუჭულა, რომელიც ამ ოთხი თუ ხუთიოდე წლის წინათ ჯერ პარკის შესასვლელთან მორიდებულად დადგა ვილაცამ, მუყაოს ყუთების მასა-ლით შემოზღუდული, მერე ცოტა პარ-

კშიც შეინია და გაუმჯობესებული კედ-ლებითა და სარკმელით წარმოგვიდგა, ახლა კი, პარკში უფრო ღრმად შეჭრილი, ბუნგალოს მსგავსი სახლი ასრულებს სასადილოს როლს. აქ დილაადრიან იყ-რიან თავს საუზმეზე მოსული ყვითელი ავტობუსების მძღოლები, მერე, ალბათ, სადილობენ და ვაშობენ კიდევ... ამ ნა-გებობას მოსდევს არა ფაბრიკატულად, არამედ კაპიტალურად ნაგები დიდი რეს-ტორანი, რომელიც მართლაც გაფიქრე-ბინებს, რომ ეს არის პარკის „დამცველი კედელი“. პარკის გასწვრივ, მესამე შე-სასვლელამდე (აბაშიძის ქუჩა), რეს-ტორანი პარკს გარედან კი არ ერტყმის, არამედ შიგნიდან (ბევრი ხე გაიჩხა მი-სი აშენებთვის!). ასე რომ, ჩვენ უკვე ვი-ცით, პარკს სამი შესასვლელი აქვს: ერთი – ცენტრალური, რომელიც მართლაც მიგახვედრებს სხვა ტერიტორიებისა და შენობებისგან განსხვავებული ადგილის არსებობას; მერე, პარკში შემოსულმა, თუ ფალიაშვილის ან აბაშიძის ქუჩაზე გასვლა გინდათ,, ამ შემთხვევაში, ჩვენს მიერ აღწერილი მეორე და მესამე შემო-სასვლელ-გასასვლელი უნდა ისარგებ-ლოთ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ პარკის დათვალეობის შემდეგ მიღებული არც-თუ ისე დიდებული, მაგრამ მაინც სიმწვა-ნეში გავლით მიღებული განწყობა საბო-ლოოდ გაგიქრებათ...

არ ვიცი, მოვახერხე თუ არა სურა-თის სრულყოფილად წარმოჩენა, მაგრამ მერწმუნეთ, რომ პარკის დღევანდელი ნამდვილი სახე მართლაც გააოცებთ ბუ-ნებისა და ბაღ-პარკების მოყვარულებს. კერ ვიტყვი, რომ საზღვარგარეთ პარ-კებში შენობებს ვერ ნახავთ. ნახავთ, რასაკვირველია! გარკვეული რაოდენო-ბა ევროპული პარკებისა მეფეთა ძველი სასახლეების ტერიტორიებია, უზარმა-ზარი და უნიკალური ხეებითა და მცე-ნარეებით დამშვენებული. მეტისმეტად საუცხოო ფლორისა და ფაუნას იხილავს ასეთ პარკებში დამთავლებული. მე-ფის ყოფილი სასახლე კი მუზეუმად არის გადაქცეული და არა რესტორნად! საერ-თოდ, დემოკრატიისკენ ევროპული გზით მიმავლებმა უნდა ვიცოდეთ, როგორ უე-ლიან ევროპელები ტყე-პარკებს, როგორ ზრუნავენ ქალაქების, დასახლებების, უბნების, ეზოების გამწვანებაზე. როგორ უნერგავენ ბავშვობიდანვე აღსაზრდე-ლებს ნარგავებისადმი სიყვარულს... მშე-ნებლობები? რა თქმა უნდა, სახლებსაც აშენებენ, მაგრამ იციან, სად რა უნდა ააშენონ, რა გარემოში და გარემოებაში. ევროპულ პარკებში წარმოუდგენელია კაფე-სასადილო-რესტორნები...

რესტორანი ხომ რესტორანია, მაგ-რამ ჩვენს პარკში, თუ მოინდომებთ, სკოლასაც ნახავთ, ფეხბურთის დიდ და ჩოგბურთის მცირე ზომის მოედნებსაც...

პარკის ერთი ნაწილი საელჩოებსაც აქვთ მითვისებული – ჩაუმწკრივებიათ მშვე-ნიერი საცხოვრებელი სახლები; თავიანთ ქვეყანაში პარკში საცხოვრებელსა და ოფისებს ვინ ააშენებინებდათ, ჩვენთან კი სტუმრებისთვის რატომღაც თითქმის ყველაფერი დასაშვებია.

ერთი სიტყვით, აი ასე ზრუნავენ ჩვე-ნი ქალაქის მესვეურები ქალაქის გამწ-ვანებაზე. პარკში სამუშაოები რომ წა-მოიწყეს, გაგვიხარდა, მაგრამ ნახევარი წელი გავიდა და გადათხრილ- ატალა-ხებული ადგილების გარდა ვერაფერს ვხედავთ. ერთი კი გამოიკვეთა, ყოფილი რესტორნის მიმდებარე ხეივანში სა-ცალფეხო ბილიკებისა, ნაძვებისა და სხვა მცენარეების ჩარგვისა და დამატების ნაცვლად ასფალტს აგებენ. ეს არც უნდა გვიკვირდეს მას შემდეგ, რაც შვიდსართულია-ნი სასტუმროს შენობის პროექტი გამოამზადებინეს ან უკვე დანგრე-ული რესტორნის ტერიტორიის ლობზე. ყველაფერი გასაგებიაო, ამბობს ხალხი. აი, თურმე, რა აწუხებდა ჩვენს მერიას: პარკის რესტავრაციის წა-მონყება ის სარჩულია, ალბათ, რომელ-ზეც გარეთა პირი, ანუ მთავარი – მშვე-ნიერი შვიდსართულიანი სასტუმრო უნ-და ააშენონ!

მერია და მისი წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, რომ ნაკვეთი, რომელზეც სასტუმრო უნდა აშენდეს და ხალხს „რა-ტომღაც“ პარკის ტერიტორია ჰგონია, პარკისა არ არის, ის, დიდი ხანია, კერძო პირის საკუთრებაა და რა უფლება აქვს მერიას კერძომესაკუთრის უფლებე-ბი შეზღუდოსო. თუნდაც ასე იყოს, იმ ავადსახსენებელ ნაკვეთს ჰყავდეს პატ-რონი-მესაკუთრე. არ ვიკითხოთ, ამ შუა პარკში ვინ აურჩია ამ მეპატრონეს პარ-კის ეს ფართობი და ვინ დაუკანონა? იქ-ნებ, აქ ადრე მოსახლეობა ცხოვრობდა და მემკვიდრეობით ერგო ეს ადგილი? ყველაფერი შეიძლება, მაგრამ დანარ-ჩენი, პარკში შეჭრილი შენობების მესა-კუთრენი საიდან გაჩნდნენ? აქ, ძვირ-ფასო მკითხველებო, გავიხსენოთ თუ როგორ იქცა ვაკის პარკის ერთი ნაწილი ვინმე ამერიკელის კერძო საკუთრებად და როგორ მოეწყო იქ გოლფის მოედა-ნი. მერე კი კვლავ დაიბრუნა მერიამ და მედიათეკა ააშენა. ამ მაგალითით იმის თქმა მინდა, რომ ყოვლისშემძლე მერიას რა გაუჭირდა, მესაკუთრისთვის (თუ ის მართლა მესაკუთრეა!) ნაკვეთი გაეცვა-ლა და პარკის სიღამაზე და მთლიანობა შეენარჩუნებინა?

მართლაც, ძალიან შეგვანუხა თბილი-სელები ვაკის პარკის მიდამოებში (თითქ-მის შუაგულში!) ახალი, შვიდსართულია-ნი სასტუმროს მშენებლობის წამოწყების მცდელობამ. დიახ, შეგვანუხა იმიტომ, რომ ქალაქში ახალი რესტორნებისა და სასტუმროების ბუმი, სამაგიეროდ, ბევ-რი პარკი, სკვერი და ბაღი გაქრა ... რა დროს პარკი, გაიკვირვებს ზოგი, ქვე-ყანა თავზე გვემხოზო! დიახ, ქვეყანა ამ თვალსაზრისითაც გვემხოზო თავზე. არ არის ძნელი, მივხვდეთ, საით მივყავართ ან უკვე ბუნებაში შეჭრილ „პოლიტიკურ თამაშებს“. თბილისი გამწვანებისა და პარკების მხრივ ერთ-ერთი გაღატაკე-ბული ქალაქია, არადა, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ ჟანგ-ბადგამოცლილ ქალაქში ცხოვრობს. რას ფიქრობენ ქალაქის მესვეურები, როცა ასეთ ვერაგულ ტერორს უწყობენ საკუ-თარ მოსახლეობას?

ნარსულის ზემოქალაქობა

წინამდებარე სტატიის დაწერისკენ მიზნად ერთი შეხედვით ღიმილის მომგვრელმა გარემოებამ: ინტერნეტის საშუალებით გერმანიაში შევუკვეთე ჩემთვის საჭირო წიგნი და პასუხად მივიღე, რომ საქართველოზე არ ვრცელდება მომსახურების ზონა, ანუ მე წიგნს გერმანიიდან საქართველოში ვერ გამომიგზავნიდნენ. ვაჰ, ჩვენო „შალახოს“ ფონზე შესრულებული ხელმოწერა! წიგნი რა არის, ამასაც არ აგზავნიან, ესე იგი, არ გვენდობიან, სახელმწიფოდ არ მიგვიჩნევენ და სხვა რისი იმედი უნდა გვქონდეს?! მაგრამ, იქნებ, სხვანაირადაც დავსვათ კითხვა, გულზე ხელი დავიდოთ, როგორც ილია იტყოდა, და ისე ვიკითხოთ: ვართ კი ღირსნი ჩვენ რაიმე ნდობისა?! განა ახლო ნარსულში არ იყო, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან რომ ერთმანეთს ვჟღერდით დაუნდობლად?! სამართლიანად იხსენებს, თუ „როგორ საქართველოში ვცხოვრობდით ამ ოციოდე წლის წინათ“, საქართველოს მწერალთა აკადემიის პრეზიდენტი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, ბატონი თამაზ ნივნივაძე, ადგილ-ადგილ მისთვის ჩვეული იუმორით:



სამტრედია

„დაყაჩაღების შემთხვევები ჯერ კიდევ გვხვდება, მაგრამ უკვე აღარ გვხვდება ექსპრეზიდენტის მომხრე ფორმირებანი!“

ხონი

„სამთავრობო ჯარების აქ შემოსვლის შემდეგ არაკანონიერმა ფორმირებებმა უკმაყოფილოდ დატოვეს ქალაქი!“

ნალენჯიხა

„ჩვენს სამთავრობო ჯარს კვარით ხელში დაბა ჯვარისკენ თურმე ჯაბა იოსელიანი მიუძღოდა! ამათი შემხედვარე, მოხალისე ჩეჩნები ჩაჩნებივით უკან დახეულან! ახლა ნალენჯიხას მთლიანად პოლიცია აკონტროლებს!“

ფოთი

„სამეგრელოს ტყეებში ახლა მხოლოდ არაფორმალური სამხედრო დაჯგუფების ნაშთებია მიმობნეული...“

გურია

„სამოქალაქო ომის შედეგად მიყენებულ ჭრილობებს ადგილობრივი მოსახლეობა ნელ-ნელა იხორციებს!“

ვერავინ უარყოფს, რომ სამხედრო შენაერთმა „მხედრონმა“ აფხაზეთში ომის დროს დიდი მსხვერპლი გაიღო. რვაასამდე ქართველი მოხალისე საქართველოს ინტერესების დაცვას შეეწირა იქ. და რა დიდი უმადურობაა, თუკი ვინმე მთელ „მხედრონს“ „ბოროტების მხედრობად“ მოიხსენიებს, როგორც ეს გააკეთა ერთი პატარა გაზეთის დიდად პატივცემულმა რედაქტორმა. დალოცვილს დაუწყია მხედრონელთა თუ „მხედრონის“ სახელით მოქმედი კრიმინალების დანაშაულთა ჩამოთვლა ისე, რომ საპირისპირო მხარეს სიტყვას არ აძლევს და ცალმხრივ ინფორმაციას ეყრდნობა. დავუშვათ, ყველაფერს აბსოლუტურად სწორად გადმოსცემს „მხედრონის“ მაგინებელი, მაგრამ ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ შენაერთის ბიჭების მამულის-

ვის თავდადებაზეც ილაპარაკოს. განა ომში დაღუპულთა რამდენი ჭირისუფალი ინახულა მან? დასახმარებლად რამდენს გაუნოდა ხელი? მაგრამ მკითხველიც ხვდება, რომ ეს უკვე ფუჭად დასმული კითხვებია...

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ახლო ნარსულს, ან უკვე მიხილ სააკაშვი-

ლის ბატონობის წლებს. ჯერ კიდევ 2006 წელს ვწერდი (იხ. კრებული „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“, თბილისი 2006, გვ. 142): «როგორიღაა დღევანდელი ხელისუფალი, მ. სააკაშვილი?! მართალი მოგახსენოთ, მისი მოღვაწეობა მრავალმხრივ ბადებს ეჭვს: მისი ნარსული სამსახური საბჭოთა სასაზღვრო ძალებში, მისი ჩეჩისტი ბიძა, რომელზედაც ასე ხმამაღლა გაჰკვივის ოპოზიცია, მისი თითქოს თავდადება „ვარდების რევოლუციის“ დროს, მაგრამ პარლამენტის დარბაზში შეჭრისას კარებთან მისი შეყოვნება, მოტროსილება, ოპოზიციონერთა მოხმობა და მხოლოდ მათი რიცხოვნობის გაზრდის შემდეგ ყვირილი „გადადექი!“ და, რაც მთავარია, დარბაზში მაშინ არ იმყოფებოდა (არადა, პროტოკოლით უნდა ყოფილიყვნენ!) არც ერთი უცხო სახელმწიფოს ელჩი და არც ჩვენი პატრიარქი. ხომ არ იყვნენ ისინი წინასწარ გაფრთხილებულნი? მაშინ ამ „თავდადებასაც“ ფასი ეკარგება, რადგან ყველაფერი წინასწარ ყოფილა დაგეგმილი. შემდეგ: აჭარის „შემოერთების“ უდავოდ დადებითი უსისხლო „ოპერაცია“, მაგრამ აქაც თითქოს ყველაფერი იგონივით ზედამხედველობით და მასთან შეთანხმებით ხდებოდა. შემდეგ სამარცხვინო კრაზი ცხინვალთან დაკავშირებულ საკითხებში, ჩვენი ჯარისკაცების დაღუპვა, უკუსვლა, და ქართველი ჯარისკაცების დარბაზი... და, რაც მთავარია, ამ უბედურებაზე კაციშვილმა არ აგო პასუხი, არ აგებინეს... ახლა, როდესაც ამ სიტყვებს ვწერ, ორთაჭალის ციხეში ჩახოცეს პატიმრები, როგორც მათ აბრალებენ, „ბუნტის“ მოწყობის გამო. მაგრამ საბჭოთა დროს, თუკი ამდაგვარი რამ მოხდებოდა იქ, ე. წ. მე-8 პოლკს მიუშვებდნენ ხოლმე ხელკეტებით და ყველაფერი წყნარდებოდა. დავიჯერო, რომ მხოლოდ ავტომატის ცეცხლია ამ ხელისუფლების ხელში „დასაწყნარებელი საშუალება?“»

ისე კარგი დაგემართოთ, რაც სააკაშვილზე ჩემი წინასწარმეტყველები ყველაფერი შემზარავად აგვიხდა. დღესაც ძალზე მღვრიე ანწყობი ვიმყოფებით.

ვეულისხმობ არა მარტო ნაცმოძრაობის ე. წ. „საქმიანობას“, არამედ უამრავი პარტიის არსებობას, რომელთაგან ყველა როდი გამოხატავს ხალხის ინტერესებს. მაგრამ ამ მხრივ საქართველო არ ყოფილა გამონაკლისი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში უპოპულარულესი მემარჯვენე სოციალისტი და

ისტორიკოსი ჟან ჟორესი წერდა: «ისტორიაში არსებობს არა მხოლოდ კლასთა ბრძოლა, არამედ პარტიათა ბრძოლა. მხედველობაში მაქვს, რომ ეკონომიკურ მიზიდულობასა და განზიდულობასთან ერთად ყალიბდებიან ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ვნებებით, პატივმოყვარეობით, გამარჯვების სურვილით, რომლებიც, ინანილებენ რა ისტორიის არენას სამოქმედოდ, არცთუ იშვიათად, დიდ რყევებს იწვევენ» („საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“, IV, გვ. 158).

მაგრამ კითხვა მაინც პასუხგაუცემელი რჩება: თუ რატომ ვიხარებთ ასეთ ანწყობში, ე. ი. ამ ოცი წლის წინათ (რომელიც ასე კარგად წარმოგვიჩინა ბატონმა თამაზ ნივნივაძემ) და გვიანდელ, სააკაშვილის არანაკლებ სადისტურ დროში?

პასუხის გასაცემად ძალზე მოკლედ ზოგიერთი ფილოსოფიური გააზრების მოხმობაა საჭირო. ამ შეხედულებათა მიხედვით (ანრი ბერგსონი, სემიონ ფრანკი, ნიკოლაი ლოსკი), ნარსული არ ქრება, იგი შენარჩუნებულია ანწყობში, იგი ზემოქალაქობს მასზე. ბერგსონის მიხედვით, ისტორია თოვლის ზვავის მსგავსია, რომელიც მოგორავს და სულ უფრო და უფრო იზრდება და ინარჩუნებს თავის თავში ყოველივე გზად შექმნილს. ამ ცნობიერებისთვის ისტორიული ნარსული არ არის მკვდარი ნარსული, არამედ იგი წარმოადგენს ცოცხალ ძალას, რომელიც ზემოქმედებს ანწყობზე და განსაზღვრავს მომავალს. ამის საილუსტრაციოდ ნიკოლაი ლოსკის მოჰყავს ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ კარგად დასამახსოვრებელი მაგალითი. დავუშვათ, ახალგაზრდა მამაკაცს ჰყავს შეყვარებული, რომელზეც რამდენიმე დღეში დაქორწინებას აპირებს. ერთ დღესაც იგი მოულოდნელად ესტუმრება სატროსს და მონმე გახდება უსიამოვნო სცენის – გაანჩხლებული ქალბატონი მოახლეს როგორ ტუქსავს. ეს იმდენად ამაზრზენი სცენაა, რომ მამაკაცის მეხსიერებიდან არ ქრება. რამდენჯერაც შეყვარებულთან დააპირებს მისვლას, მეხსიერებაში ეს სცენა ამოუტივტივდება.

ვიქტორ რსხილაძე

ბა. ამის გამო იგი ნიშნობას აუქმებს. აი, ასე ზემოქმედებს ნარსული ანწყობზე და განსაზღვრავს მომავალს. ამიტომ არის, რომ მრავალი მოაზროვნე, განიხილავს რა ერის სულს ან სულაც კაცობრიობის მეხსიერებას, ბერგსონის გამოთქმით, „კოსმიურ მეხსიერებას“, იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ნარსული შენარჩუნებულია ანწყობში“. სემიონ ფრანკს წიგნში „ნათელი ბნელში“ მრავალი მაგალითი მოჰყავს იმისა თუ როგორ შეუმჩნეველად ზემოქმედებენ ჩვენზე ან გამქრალი ისტორიული კულტურები. მათი კვალი, ამბობს სემიონ ფრანკი, შეუმჩნეველად მოქმედებს შთამომავალთა სისხლსა და სულზე. მაგრამ ყოველივე ზემოქმედული მაინც ვერ ხსნის ბოროტების იდუმალებას, რადგან მაშინვე გაისმის კითხვა ბოროტების საწყისის შესახებ: სად ვეძებოთ სათავე ბოროტებისა? ან განა მარტო საქართველოში ტრიალებს იგი, მიუხედავად მისი გამოვლენის ქუფრი ფერისა?! პირველი შეკითხვა მეტაფიზიკის სფეროს განეკუთვნება და, ამდენად, ამ წერილის ფარგლებს სცდება. რაც შეეხება მეორე კითხვას, პასუხი ასეთია: დიახ, ბოროტება არა მარტო საქართველოში ტრიალებს, ის ტრიალებს სხვაგანაც და ძალზე მძიმედაც, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენისთანა პატარა ერს გადაშენება რეალურად ემუქრება.

მაინც რა მოიპოვება ჩვენს ეროვნულ მეხსიერებაში ისეთი, რაც დღეს ნალექვით გვემუქრება? – ბევრი, ძალზე ბევრი რამ. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ისტორიაში, ისევე, როგორც ყველა ერის ისტორიაში, ორი ნაკადი არსებობს. ერთი – მოწუხილ ანკარა წყარო, წმინდანთა ცხოვრება, რომელთა მადლითა და ვედრებით ერს გადარჩენა უწერია, და მეორე – ბოროტების ღვარცოფი (საქართველოში განსაკუთრებით ძლიერი!), რომელიც ერს უფსკრულსკენ მიაქანებს.

გადასარჩენად საჭიროა, დავენაფოთ ანკარა წყაროს, საჭიროა დიდი ზნეობა, რწმენა და გმირების პატივისცემა – როგორც დაღუპულების, ასევე გადარჩენილების. საჭიროა ერის მეხსიერების დაძაბვა და ყოველივე კეთილის მოხმობა. დაბოლოს, საჭიროა ინტელექტი, გონიერება, რათა გავარჩიოთ მოყვრის სამოსით მოვლენილი დამლუპველი ნამდვილი მეგობრისგან.

აქ ურიგო არ იქნება სიორენ კირკეგორის გახსენება, რომელიც, მისი ბიოგრაფის თქმით, მკაცრად იცავს ორთოდოქსულ მოძღვრებას პირველ ცოდვაზე, რომელმაც გადაწყვეტი გამოხატულა ჰპოვა ავგუსტინესთან, მის კამათში პელაგიუსთან, რომელიც პირველ ცოდვის რეალობას უარყოფდა და ზედმეტად ამახვილებდა ყურადღებას ნების თავისუფლებაზე. მეორე მხრივ, კირკეგორი იმის აუცილებლობას ხედავს, რომ ხელი შეუშალოს ისეთ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც პირველ ცოდვა ცალკეული ადამიანის პასუხისმგებლობას თავისი ცოდვების მიმართ ხსნის. არ შეიძლება საკუთარი დანაშაულის ადამზე გადაბრალება, არამედ კაცობრიობის მოდგმაში ყოველი ინდივიდი ხელახლა ხდება დამნაშავე, თავისი ცოდვის მეშვეობით ხელახლა ხდება მემამბოხე ღვთის წინააღმდეგ.

ბ-ნ გურამ ყორანაშვილს მრავალი ათეული კრიტიკული წერილი აქვს მიძღვნილ-გამოქვეყნებული თავისი არაკეთილმოსურნე თუ კეთილმოსურნე კოლეგებისადმი. ამ მხრივ მას ვერც ძველ, ვერც ახალ და ვერც უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში მცირე კონკურენციასაც კი ვერავინ გაუწევს და ისე გამოირჩევა მათში, როგორც კეთილმოსურნე ბაროსი ტომების ბელადთა შორის. ამას წინათ მეც მერგო პატივი, მის მიერ გაკრიტიკებულთა მრავალრიცხოვან არმიას შევერთებოდი (იხ.: გურამ ყორანაშვილი, „შენც, ბრუტუს?!“, „ლიტერატურული საქართველო“, 31 იანვარი, 2014). მისი კრიტიკის ობიექტი ამჯერად გახდა ჩემს მიერ გაზეთ „უიქენდში“, 18-25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე“.

წინასწარ არაფერს ვიტყვი გურამ ყორანაშვილის წერილის ხასიათის, ხარისხისა და კვალიფიკაციის შესახებ, მკითხველს სამუალებას მივცემ, თვით გამოიტანოს დასკვნა. არც წინამდებარე წერილის სათაურია ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, თვით გურამ ყორანაშვილი უწოდებს ჩემდამი მომართულ თავის წერილს „მკვახრე რეპლიკას“. ამ საკითხსაც ბოლოსთვის გადავდებ, რომ მკითხველს წინასწარი ობიექტური განწყობა არ დაეფუძვლოს.

ჩემი წერილის დასაწყისში ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: უკანასკნელ წლებში არაერთი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებს. ვასახელებ კონკრეტულ მეცნიერ-მკვლევარებს: შოთა ბადრიძეს, გივი ჟორდანიას, გურამ ყორანაშვილს, თენგიზ სიმაშვილს, ნოდარ გრიგალაშვილს „და სხვ“. პირველი ოთხი ავტორის ნაშრომები რომ ილიას მკვლელობის გარემოებებისა და მკვლელების ვინაობის დადგენისადმი მიძღვნილი, ეს მშვენივრად მოეხსენება გურამ ყორანაშვილს. მხოლოდ ნოდარ გრიგალაშვილის ფართოდ გააზრებული ორტომეული-მონოგრაფია ილიას მთელი ბიოგრაფიისადმი მიძღვნილი, რომლის მეორე ტომში, ავტორი, საგანგებოდ ჩერდება ილიას მკვლელობის გარემოებათა პრობლემაზე.

ჩემს წერილში განვმარტავდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ილიას მკვლელობის გარემოებათა კვლევის ინტენსიურმა პროცესმა თვით „მკვლელობის პოლიტიკური მოტივების პრობლემატიკისადმი ინტერესი თითქოს შეანეღა“. განა ეს ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ავტორები ვერ ან არ იაზრებდნენ მკვლელობის მიზეზებს, ილიას დიდ დამსახურებას და მსგავს ელემენტარულ რეალობებს? რათქმა უნდა, მსგავსი რამ არსად მიწერია და ვერც გურამ ყორანაშვილი აღმოაჩენს ჩემს წერილში. მაგრამ მან მაინც სრულიად დაუსაბუთებლად შეგვნიშნა, თითქოს ჩვენ სადმე ვწერდით ან ვგულისხმობდით, რომ, როგორც ჩვენი კრიტიკოსი წერს: „მთელი რიგი ავტორებისა, თურმე ოდენ უშუალოდ ილიას მკვლელობის ფაქტის თანამდევნი ფაქტებით შემოფარგლულან...“ ან კიდევ თითქოს ჩვენი ნაწერიდან გამომდინარეობდეს, რომ ზემოაღნიშნულმა ავტორებმა „მიივიწყეს, მიადგურჩეს გარემოებანი, რომელთაც გამოიწვევს უდიდესი ტრაგიკული შედეგი“.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს, ჩვენი „პრობლემისადმი ინტერესის თითქოს შენელება“ და გურამ ყორანაშვილის „მივიწყება, მიფურჩება“ და „ოდენ“, ე. ი. მხოლოდ მკვლელობის ამბით „შემოფარგვლა“ ადვილი გასარჩევია, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მცირე – თანაც, საგანგებოდ აღვნიშნავ, „ავტორებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. გაჩენილი – რეალური ტენდენციის არსებობას, მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში ხაზი ესმება ზემოაღნიშნული ავტორების ღვაწლის დაუფასებლობას, უგულვებლყოფას.

მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ეს ასე არ არის და მხოლოდ ჩვენი კრიტიკოსის გადაჭარბებული ფანტაზიის ნაყოფია. ორიდან ერთია: ან კრიტიკოსმა ვერ გაი-

გო ტექსტი, რეალურად ვერ აღიქვა საკმაოდ გასაგებად ჩამოყალიბებული აზრი, ან კიდევ მშვენივრად გაიგო, მაგრამ განგებ გაბუჟა მოვლენა, ბუზიდან სპილო გამოიყვანა და შემდეგ – დაჩაგრულ მკვლევართა ღირსების დასაცავად კრიტიკოსის ჩვეული კალამი მოიმარჯვა. მოდით, ნაჩქარევ დასკვნას ნუ გავაკეთებთ, ნუ მივბაძავთ კრიტიკოსის ფიცხ მანერას და პირველი ვარიანტი დავკმაყოფილებთ, ტექსტის ვერგაგება უბრალო გაუგებრობად ჩავთვალოთ და „მკვახრე რეპლიკის“ შემდეგი შენიშვნა ვნახოთ, რაში მდგომარეობს.

შემდეგი შენიშვნა უადრესაგა, უმისამართოა. კრიტიკოსი მიმართავს ვი-

გურამ ყორანაშვილის გკვახრე რეპლიკის პასუხად

ლაცას, რომელიც თითქოს უგულვებლყოფს იმ ფაქტს, რომ ილიას წინააღმდეგ მიმართული იყო ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ბანაკი – რუსეთის მეფის ხელისუფლება და სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები. ამ შენიშვნას პასუხს არ გავცემთ, რადგან კრიტიკოსი ჩვენ არ გვასახელებს ამგვარი უგულვებლყოფის ავტორად და, თუ შემდგომში გააკეთებს ამას, მაშინ მივაგებთ საკადრის პასუხს. შემდეგი შენიშვნა ნამდვილად ჩვენდამი მიმართული, თითქოს განგებ გადამაქვს ილიას მკვლელობის მიზეზთა აქცენტები „აბსტრაქტულ მომენტზე“. ჩემი სიტყვები და ყველგან და ყოველთვის გავიმეორებ დაუღლებლად, რომ: „ილიას კონკრეტული მკვლელი რომელიმე პარტია, ხელისუფლება თუ პირთა ჯგუფი იმდენად არ იყო, რამდენადაც ის ატმოსფერო, ის განხეთქილება, რომელიც პოლარულად აპირისპირებდა ქართული საზოგადოებისა და ქვეყნის მოსახლეობის ორ დიდ ბანაკს“.

აქ უკვე ძნელია, გაუგებრობა უწოდო კრიტიკოსის ამ უწინადადო შენიშვნას. აქ უკვე ტექსტის შინაარსის გაგების დეფიციტთან უფრო გვაქვს საქმე. აქ არსად არ არის რომელიმე პარტიის, ხელისუფლების თუ პირთა ჯგუფის დანაშაულის უგულვებლყოფა, არამედ ნამონეული უფრო დიდი უბედურება, რაც მაშინდელ ქართულ საზოგადოებას სჭირდა – შიდა ურთიერთდაპირისპირება. გავიხსენოთ, რომ ჩემი წერილის მიზანი არ იყო მკვლელობის გარემოებების კვლევა, არამედ მისი პოლიტიკური მოტივების გამოკვეთა და სისტემატიზაცია, რასაც ჩვენი კრიტიკოსი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს. თვითონ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი – სხვებიც დაეხმარებოდნენ – უსჯობდნენ სამწუხარო რეალობას ხაზს, რომ საქართველოში, განსხვავებით რუსეთის იმპერიის სხვა მხარეებისგან, ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართველი მოსახლეობის ორი ბანაკი – რევოლუციური და ეროვნული მოძრაობები. როგორც არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა, თვით ქართული დემოკრატია გაიყო ორ ნაწილად – ეროვნული ძალები და სოციალ-დემოკრატია. ეს იყო ეპოქის მთავარი ტკივილი. ხოლო იმას, რომ ილიას უშუალო მკვლევლები სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ჩვენ წერილში არ ვხედავთ, რადგან ეს არ არის ჩვენი წერილის მიზანი, ეს ისედაც კარგადაა ცნობილი ზემოაღნიშნულ მკვლევართა ნაშრომებში, მათ შორის, ჩვენი კრიტიკოსის ცნობილი მონოგრაფიის წყალობით – რა ვქნათ, ეს ხომ უკვე წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ახლა ყოველ აბზაცში ვიმეორებთ?.

ჩვენი კრიტიკოსის მიერ მოყვანილი ამონარიდი ჩვენი წერილის მთავარი და განზოგადებული დასკვნაა და ნიშნავს, რომ ერთი პარტიის თუ პირთა ჯგუფის დანაშაულის მაცოცხლებელი წყარო აღმოჩნდა შიდა დაპირისპირება. ჩვენ 1905-1907 წლების ქართულ საზოგადოებაში

არსებული ურთიერთდაპირისპირება დავუკავშირებთ იმ სამოქალაქო ურთიერთდაპირისპირებას, რომელმაც თავი იჩინა 1980-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ეს თუ ვერ შენიშნა ჩვენმა კრიტიკოსმა ან, ფაქტია, რომ ნაუყრუა, სერიოზული ნაკლია, რომელიც მეცნიერ-კრიტიკოსს არ ეპატიება და მის აშკარა ტენდენციურობაზე მეტყველებს. დიას, ბ-ნო გურამ ყორანაშვილო, მე 1905-1907 წლების ტრაგედია ბევრად უფრო ფართო მასშტაბით ვცადე გამაზრებინა, ვიდრე ერთ კონკრეტულ ისტორიულ ეპიზოდს მიჩრებულმა კრიტიკოსმა შეიძლება იფიქროს. მე გამოვყავი მეოცე საუკუნის საქართველოსთვის, ქართველი საზოგა-

დობისთვის უკვე სწეულებად გამხდარი შიდა ურთიერთდაპირისპირება, რომელსაც 1900-იან წლებში ილიას მკვლევლობით ჩაეყარა საფუძველი, რომელმაც კვლავ იჩინა თავი 1980-იან წლებში და მთელი მომდევნო პერიოდის განმავლობაში თან სდევდა ჩვენს საზოგადოებას, როგორც ჯერჯერობით უკურნებელი სენი.

მართალი ბრძანდება ჩვენი კრიტიკოსი, რომ მაშინ ამ განხეთქილების მთავარი ინსპირატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ და ამაში არავინ ედავება მას. მან უბრალოდ ვერ ან არ გაიგო ჩვენი მთავარი დასკვნა, რომ, თუ ასე გრძელდებოდა და გაგრძელდებოდა, ამგვარი ვითარებაში, როგორც ვწერდით და ესეც არ მოეწონა ჩვენს კრიტიკოსს: „ყოველთვის ჩნდებოდნენ და გამოჩნდებოდნენ სხვადასხვა ჯურის ბერბიჭაშვილების მსგავსი შემსრულებლები. ესაა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მთავარი გაკვეთილი“. თუ უნდა, კრიტიკოსს დაეუფლებოდა ბერბიჭაშვილებისა, მახარაძეებისა, ორჯონიკიძეებისა და სხვათა და სხვათა მემკვიდრეებს ჩვენი ახლო, 30-წლიანი წარსულის პერიოდიდან, რომელთაც ჩვენი თაობიდან ყველას გვაკავშირებს რამენაირი, მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი, გამართლებული თუ გაუმართლებელი დამოკიდებულება და გამოცდილება.

შემდეგ: ჩვენმა კრიტიკოსმა, ეტყოდა, არ იცის, რომ ნოე ჟორდანიას 1890-1900-იანი წლების მიჯნაზე, ილიასთან წარმოებული გააფთრებული პოლემიკის შემდეგ, 1905-1907 წლების პერიოდში და შემდგომაც, გარდა ცალკეული „მკვახრე

„კმარა, კატალინა, კმარა!“ (რეპლიკა გურამ ყორანაშვილს)

გურამ ყორანაშვილი ჩემი ახლობელია. ახლა კი არ გამოცვნი, აგერ, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვიცნობ. ნამდვილად საყვარელი და პატივსაცემი კაცია: ნიჭიერი მეცნიერი, შრომისმოყვარე, პატრიოტი, კარგი თანამეიხანე და მეგობარი... მაგრამ იმის ბედი ვინ მომცა, უნაკლო კაცთან მქონდეს ნაცნობ-მეგობრობა. ჰოდა, ამ სანიმუშო კაცსაც აქვს ერთი ნაკლი, როგორც ჩანს, თანდაყოლილი: თუ აიკვიატა რამე, მერე ხატი რომ ჩაუსვენო ხელში, ვერ გადააკვიატებინებ და იქნება ეგრე აკვიატებული.

მისი აკვიატება სპეციფიკურია. გამოჩენილი და წარმატებული კაცების განკიქება აქვს მუდამ უზურში. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, იმ კაცებს განსაკიქებელი აქვთ რაიმე თუ არა. ბავშვობიდან ასეთი იყო, თანაც ერთობ ახირებულიც: რასაც თვითონ იტყოდა, მხოლოდ ის ეგონა მართალი. ძველ ბოლშევიკებს ჰგავდა ამ მხრივ.

რეპლიკებისა“, აღარაფერი დაუნერია ილიას წინააღმდეგ. ქარის კრიტიკოსს მივმართავ, მიპოვოს 1905 წლის შემდგომ ქართულ პრესაში ჟორდანიას დაწერილი თუნდაც ერთი წერილი მაინც, რომელიც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ არის მიმართული და მაშინ მე გადავსინჯავ ჩემს ამ თეზისს, თუ არადა, ნულარ ენდობა თავის წარმოდგენებს და თვალი გაუსწოროს ისტორიულ რეალობას. მე ვწერ: ნოე ჟორდანიამ „ამ პერიოდში თავი ანება ილიას წინააღმდეგ კრიტიკას“. განვუმარტავ ჩვენს ოპონენტს: ჟორდანიამ ილიას წინააღმდეგ კრიტიკული, ცილისმნამებლური წერილების წერას ანება თავი, და არსად არ მიწერია, ნოემ შეხედულებები შეიცვალა ან ილიას თავყვანისმცემელი გახდა-მეთქი. კრიტიკოსმა ხომ უნდა სცადოს მაინც, თითოეულ წინადადებას და სიტყვას სათანადო ყურადღება მიაქციოს და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს თავს შენიშვნის გამოთქმის უფლება.

გურამ ყორანაშვილის მრავალ კრიტიკულ წერილს გაცნობივარ, აზრიც ბევრი მომიხმენია, ხშირად გამიზიარებია მისი პროტესტანტული განწყობა და, ისევე, როგორც ყოველთვის, არ დავთანხმებებ ვარ მის გადაჭარბებულ შეფასებებს. მისი ამგვარი მცირე მოცულობის წერილი და ამგვარად დაუსაბუთებელი კრიტიკა არ მახსენდება. ახლა ისიც ვთქვათ, როგორც გურამ ყორანაშვილი უწოდებს თავის წერილს, ან თავის თავს, ან სხვას რატომ აკადრა „მკვახრე რეპლიკა“? ასე წერს ზუსტად: „დაბოლოს, ვიმედოვნებ, „ბრუტუსთან“ - მაინც დასაფასებელ პიროვნებასთან დაკავშირებით, ამგვარი მკვახრე რეპლიკა აღარ დამჭირდება“.

მკვახრე – განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით და გადატანითი მნიშვნელობით „უკმეხს“, „უხეშს“ ნიშნავს. უკვე აქედანაც ჩანს, ჩვენს კრიტიკოსს ზომიერებისა და მეცნიერული ეთიკის საზღვრები გადალახული აქვს. უკმეხს-უხეშში მაშინ ხდება ადამიანი, როცა გაბრაზებულია. მაინც რამ გააფიცვა ჩვენი კრიტიკოსი. როგორც ვნახეთ, ჩვენს წერილში არც ერთი აზრი, თეზისი, სიტყვა არ არის, მისგან საფუძვლიან კრიტიკას რომ იმსახურებდეს. ჩვენ ასე ავხსნიდით კრიტიკოსის ამ უცნაურ სიფიქსებს – გაკრიტიკების და დაუკავებელი სურვილით, ყინით, რომელსაც ადამიანი ვეღარ ერევა, როცა კრიტიკოსს იმდენად ჭკუშირების დადგენა კი აღარ აინტერესებს, არამედ მისთვის უპირველესი ღირებულება ვინმეს გაკრიტიკების ყინი ხდება.

ზურაბ ხაშირაძე
მკითხველი

ლოქსის ახალი ყრბეყოლიდან „შინს“ „სივი“



რაულ ჩილაჩავა

ამანათი

რომ ეს სანუთრო მუხანათია და გვიტევეს, გვიტევეს გაბოროტებით, შენ დაგარწმუნებს მუხა, ნათია, რომ დალენვია უკვე ტოტები. ნუხელ გრიგალმა ისევ იავა და მეც მომადგა დასალენავად, შენ კი შორს იყავ, როგორც იავა და მე მეგონა, შენთან მეცა ვარ. როგორ დამიგო ბედმა, ოჰ, მახე, როგორ მარბია და მანოკა, როცა ვტოვებდი ძვირფას ქობმასებს, სუნთქვაშეკრული, როგორც იოგა. მე პოეზია დამცველად მახლავს, (ლამეც ჩემს გამო ამან ათია) და ტვირთი, მხრებით რომ მომაქვს ახლა, რითმებით სავსე ამანათია!

ჭური

ჭურში ჯდომასაც ჰქონია ხიბლი: არავინ გისმენს, არავინ გხედავს. ხარ კმაყოფილი საკუთარ იღბლით და არ გადარდებს სამოთხის ხეთა სიმწვანე, ჭკნობა, ფოთოლცვენები... თიხის წიაღში, ვით ემბრიონი, ზიხარ და ტკბილად გითრთის ვენები, და სადღაც, შორეთს მტკვარი, რიონი ვნებით ლოკავენ მაღალ ნაპირებს, ხან აპრილია, ხან დეკემბერი და არე-მარის თრობას აპირებს სმარხლენილი ქარი-რეპერი. ხშირად მშველელი მხოლოდ ჭურია, მით უფრო, თუკი მატულობს თქორი... აქეთ ნაბადა, იქით ჭურია – სხვა დანარჩენი ჭურია, ჭორი!

შორია ცამდა

ლაქაშებიდან აფრინდა იხვი და მისი ფრთების ტლაშუნი შორი ერთვის ტბის პირთან ფაშატის ჭიხვის, რომელმაც დაჰკრა პირველი ტორი. აქვე, სულ ახლოს, წვავენ ნაჩალარს, კვამლიც და ნისლიც ერთმანეთს ერწყმის. ხმელ ტოტზე ჩხავის ყვავი-ყვანჩალა, ლამის ხახაში გაუშრეს ნერწყვი. მაღალი ძაბვის ვეება ბოძთა მხრებზე მავთულებს გააქვთ გუგუნი. სითბოს აქ უკვე არ უნდა მოცდა, სწრაფად ეშვება ღამე უკუნი. „ღამე უკუნი!“ – ადვილად ითქმის, მაგრამ მარტამდე გაძლება სცადე!.. ეს ერთი წელიც გავიდა თითქმის და მაინც... მაინც შორია ცამდე!

ნარსულის ფარფლი

სხვა არაფერი გულს ის არ ღრღნის, არ ეუფლება ტვირს და გონებას, როგორც დუქანში ტირილი არღნის და უდარდელი დღის მოგონება. ცხოვრება სანთლის ერთი ღერია და სანამ იგი იწვის და დნება, თვით ქსოვრელები შენთვის მღერია, შენთვის სრულდება საუფლო ნება. და უცებ, თითქოს დახშეს კარები, დაისადგურებს სიჩუმე ავი. მიხვდები, წლები თავანკარები გაცურდნენ თურმე უხილავ ნავით. მოავლებ მზერას ჯავრით მუქ გზებს, როგორც ნანგრევებს მიწისძვრის მსხვერპლი... არღნის ტირილში და სანთლის შუქზე უკეთ იცნობა ნარსულის ფერფლი!

ხელნაწერი

არ გამომადგა აქ ანდაზები, ეპითეტების ჭრელი ხალიჩა. ბუხარში ჩადნენ აქანდაზები, სადაც ჯერ კიდევ ცეცხლის ალი ჩანს. მე კვლავ სარდაფში ყოფნა ვინატრე, სადაც მეფობენ მუდამ სხვა დრონი და რომლის მკვიდრი და მობინადრე არის სართულთა ბატონ-პატრონი. ვინატრე, მაგრამ შენი გრძნეული სუნთქვა განიბნა ირგვლივ აურად, იატაკს ველარ მონყდა სხეული, რომელმაც ცაში იმოგზაურა. ფანჯრიდან ვხედავ ნაძვებს აწვერილს, სახლში შემოდის სურნელი წინვის და მაგიდაზე ძვეს ხელნაწერი, რომელიც იქნებ კიდევაც იწვის!

STATUS GUO

ჰაერში თითქოს შედედდა ბოღმა, წყველამ, გინებაც ცა დაამძიმა. სივრცე მოიცვა სიბრიყვის დოღმა, ვრლუნგდებით, არვინ გვეტყვის სამძიმარს. მწვანე მუხნარი ერთბაშად გახმა და გამოუჩინდა ფსკერი მდინარეს. ვიცოდე, ნეტავ, რა ხდება გაღმა, ნუთუ ის მხარე თავს იმძინარებს? რაზე ატირებს ნიავს ისლებს, ჩემო პეტრე და ჩემო ივანე! ან რად არ ვკითხავთ საავდრო ნისლებს, ჩვენს მთებზე რატომ ჩამოვივანეთ? უსასობამ შეჩვევა იცის და თუ ხვალ-ზეგაც გაგრძელდა ასე, ჩვენ გავიგონებთ დემონის სიცილს და ანტიქრისტეს ვიხილავთ ცაზე!

კვირის საღამო

თუმც არ უხდება ელარჯს „მუსკატი“, დალევა მაინც გულს გაუხარდა. „აშო ჩელა“ და „ვიშო ბუსკატი“ კვირის საღამო გამყავს ბუხართან. არავინ იცის, დღეს რატომ თბილა, (ვარ ბუნებასთან ჩუმად შეკრული) და ცეცხლი ისე ღულუნებს ტკბილად, თითქოს ესმოდეს ჩემი მეგრული. ყოველი ბგერა, ყოველი ჰანგი, ჟამმა ხსოვნაში ისე შეფუთა, არ გააკარა ხავსი თუ ჟანგი და მე მომიძვნა ძვირფას ეფუთად. მალე საცაა მთვარეც ამოვა, ამ ცისქვეშეთში ბევრის მნახველი და მოთუხთუხე ბებერ სამოვარს ორთქლად დასცდება ჩემი სახელი.

შავი „პაკარდი“

უნდა იფიქრო ათასი რამე, სანამ არ გაქრი, არ გარდაქარდი. გვირაბში ისე შემოდის ღამე, როგორც ბერიას შავი „პაკარდი“. აქ ვინ იქნება შენი მხლებელი ან ვინ აგინთებს ჩამქრალ ნათურებს? კუმტი აჩრდილი, ვით ფელდფებელი, შენს შემკრთალ სულში ხელს აფათურებს. რომ წვრილმანებზე ხარ დახარჯული, დრო მოწმობს, ასჯერ გადაქექილი. სიბნელე არის შენი მსაჯული და სინათლეა შენი ვექილი. „ვინ ვის?“ – ეს კითხვა არის კვლავ ღია და სანამ ჰყოფნის ენებს ლაქარდი, შენ გითვალთვალავს ვიღაც ავყია და გელოდება შავი „პაკარდი“.

საზღაური

რა ცოტა დარჩა, საოცრად ცოტა, ხალხი, ვისთანაც ავწევდი სასმისს. გონებაც, ალბათ, იმიტომ ძრწოდა, ჟამი საკითხის ამგვარად დასმის, რომ ახლოს იყო... სამრეკლო თეთრი სულ უფრო ხშირად არისხებს ზარებს, რომ გვთიბავს, გვთიბავს უღმობლად კეთრი და მუქ ჩრდილებში გადადის მზვარე. რა ცოტა დარჩა სახლი თუ ბინა, რომელთა ზღურბლზეც ფეხს დავადგამდი, თითქოს მათ სარკმლებს ჩაემსხვრა მინა და ნაბიჯია ბოლო ბათქამდი. დრო ახლოვდება მყინვართა დნობის და მე წარღვნაზე ფიქრი არ მტოვებს. ყველა შეცდომის და ყველა ნდობის საზღაურია ეს სიმარტოვე.

სმარტფონი

ზამთარი – ცივი, ზაფხული – მწველი, შუალედებში – მცირედი შვევა. მივაქვესკნელე ეს ერთი წელიც და ირგვლივ ისევ ბურუსი წვევა. მე ვუშვებ ფარდებს, მე ვანთებ ბუხარს, მე განდევნი ვხდები მარტამდე. თოვლიან ამინდს სიმშვიდე უყვარს, უნდა იჯდე და ფიქრს განმარტავდე. უნდა იჯდე და ელოდე მარხილს, რა იცი, გამჩენს გულში რა უდევს! არც ერთი საქმის დაწყება არ ღირს, შედეგი თუ არ ივარაუდე. რიჟრაჟის მაცნე ბინდს გადარეკავს, ჩაეხვევიან ერთურთს სატრფონი და სხვებზე უწინ ჩემთან დარეკავს გაღვიძებული მიწის სმარტფონი.

ორმუზდის ლოდი

გაუჭირდება, ალბათ, ორ მოზრდილს გადაგორება ვეება ლოდის, რომელზეც მოჩანს თვითონ ორმუზდის ხელით ნაკვეთი სამყაროს კოდი. შემორჩენილა აქა-იქ თითქოს სიკეთე, ჯერაც განუბოძველი, რომელსაც დიდი ხანია ითხოვს წმინდა კოცონთან ჩუმად მლოცველი. და მდუმარების კოშკი ეული ჩანს მირაჟით უდაბნოს გულში. ქვიშაზე დნება ათასწლეული და აღარც ახსოვს, რა იყო გუშინ. ცოდვის ტრიალში რა გადარჩება, როცა ნიადაგ გმირობა გინევს?.. ძვირფას პერგამენტს გაშლის არჩიბალდ და გაიხსენებს ირუბაქიდეს.

ქრისტეს ჯვარცმის მისტერია თითოეული ჩვენგანის სულისმომიერი მისტერიაა. ვინაიდან ქრისტე სინდისია, – ჩვენთვის სინდისი გოლგოთაა! ჩვენი ცხოვრებით გოლგოთისკენ მივდივართ და ყოველი დღე – ჯვარია, გოლგოთაზე ასატანი. ზოგს ჯვარი არც ახსენდება. ზოგს გზაში ეკარგება, მხოლოდ მცირეოდენი აღწევნა მიზნამდე – გოლგოთამდე. იქაც ზოგი აღმართავს ჯვარს, ზოგიც ვერ აღმართავს, ანუ თავად შეუდგება ზურგიით ჯვარს, რომ თავზე არ გადმოემხოს. პოეზიაც ქრისტეს ჯვარია, სინდისით სატარებელი. ამდენად, ამ გზა-ბილიკზედ შემდგარ კაცს ამ გზის მიზანი თავიდანვე უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული და გასიგრძელებული. განა შემთხვევით ამბობს წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი-ღვთისმეტყველი: „ილაპარაკე, თუკი მდუმარებაზე უმჯობესი იცი და სათქმელი გაქვს, მაგრამ გიყვარდეს დუმილი, როცა ის თქმას ჯობს“.

სრულია, უბრალოებით დახვეწილი, სისადავით შემკობილი და სინრფელით ამაღლებული – : „უფალო, ბზიფის მარჯვენა ტოტი მარგალიტით სსოვნაში ჩამრჩა, ზღვა იყო, როგორც დედოფლის ძონი, აბრეშუმი და ნაკეცი ფარჩა. წმინდა კედელთან ვიდევით ორნი – მე და მაცხოვრის ობოლი კრავი, ის მალლა იდგა, ვით ცათასნორი და მიცურავდა ტაძრისკენ ნავი“. ეს სტროფები როგორი სახისმეტყველური სახე-ხატების შემცველია და თან როგორი სიმბოლიკით სუნთქავს, თავისთავად ნათელია. აქ უმთავრესია სინდისის სულიერება, უფრო მართლად, სულიერების სინდინდე. ანუ (თუ!) როგორ განიცდი, ხედავ და წარმოსახავ, წარმოსაქმნელს. გალაკ-

მალლით ახალი სიმალის წარმოჩენა. პოეტები ხომ თავის თავს ეჯიუტებიან და ეჯიბრებიან უპირველესად, საკუთარ თავს უმტიციებენ საკუთარ შესაძლებლობებს... და, თუ ზღვარსაც გადასცდებიან, ეს უკვე უკვდავებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯებია: „უფალო, მთელი წელია ვცდილობ, როგორ გაგიტხო ლოცვებით გული, თვით ნათელქმნილი ძეო და ძირო, თავად ცხოვრება ყოფილა რთული. წარსული, აწმყო – მომავლის თასი – სასვება მენი ციური სხივით, დიადი ფიქრით, ნათელით მავებს საკურთხეველი და წმინდა ნიგნი“. როდესაც წამიერად მიიცი დაფიქრდები ჩვენს ამსოფლიურ ყოფიერებაზე, ყოველთვის დააფასებ ნებისმიერი პოე-

თეატრ შავლაძე

ადამიანი უფალს? რა თქმა უნდა, როდესაც ძალიან უჭირს! სხვა დროს შეიძლება არც(კი!) გაახსენდეს. მაგრამ უფალი მოწყალეა, შემნდობი, გულთამბილავი და მოსიყვარულე და ჩვენც, სრულიად უბრალოდ გვმართებს, როგორც დიდი წმინდა მამა იოანე დამასკელი ბრძანებს, – უბრალო გონებით ვეთაყვანებოდეთ და განვადიდებდეთ ღმერთს: „უფალო, დილა იწყებოდა ლოცვით, საკურთხეველთან გაშლილი წიგნით, მკერდზე ამბორით და ხელზე კოცნით, შენზე, მამულზე, ძეკაცზე ფიქრით. მახარობელი კარებ-

აღსარების სჯარა

... და მაინც, როდის მიმართავს ადამიანი უფალს, რატომ? რისთვის? დავანებოთ თავი დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნებს“, ანდრია კრეტელის თუ დავით აღმაშენებლის „გალობანს...“ და დავსვათ ასეთი შეკითხვა: ვიცი თუ კი, საერთოდ, რა გვსურს და რას ვინაობთ? ალბათ, ყველაზე რთული – სიზიფეს ლოდზე მტანჯველი და აღსასრულებელი – აღსარების თქმაა, განდობა უფალთან. ყველას, რა თქმა უნდა, არ შესწევს საამისოდ ძალა, სურვილი კი, იცოცხლე! მოგვსენებათ, პოეტი მაინც სხვანაირად უმზერს სამყაროს, ანუ, როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა – „მე ვხედავ სიზმრებს, არათქვენებურს“-ო. არც „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“ იყო მისთვის უცხო, და მაინც: „უფალო, თოვლი მოსულა ღამით, რა სიმშვიდეა, რა სილამაზე! თითქოს ათასი ციმციმებს კვარი, – შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე. ისეთი მზე და გარემო სუფევს, ისეთი მნათი ანათებს საყდარს, თითქოს იები მოგართვეს წუხელ წმინდა მამებმა სიონის კართან“. ეს სტრიქონები გენო კალანდიას კუთვნილებს, ხოლო მის პოეტურ ოსტატობაზე, უფრო სწორად, ტროპულ-ვერსიფიკაციულ არსენალზედ მსჯელობა, უბრალოდ, უხერხულია. იგი პოეტი-ხელოვანია და ამით, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი. უფალი კი ყოველთვის ჩვენთანაა, ჩვენს გვერდით, ჩვენს სიახლოვეს, უბრალოდ, ეს ჩვენ უნდა მივხედოთ მას, თავი ვიგრძნოთ მის გვერდით და მის სიახლოვეს და, მეტი არც არაფერი: „უფალო, ძველი ჩონჩხის სიმებს დედის ცრემლები აწვიმს და ათოვს, მუხის ჯარგვალთან შრიალებს სიო – მისი ხელივით თბილი და სათნო. ბალახმთვლილი ირწყვავს კბე და ოწინარი – ბამბუკის წერო, მიცურავს ქედზე ღრუბელი ლიბრი და მზეა, როგორც მახვილის წვერი“. ნებისმიერი ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება თავისთავადი აზრობრივი სივრცის შემცველია, სადაც აზრი, გრძობა და ემოცია გამოხატვის ერთიან-იდუმალ-ჰარმონიულ წესრიგს ექვემდებარება. ეს თვით პოეტისთვისაც გაუცნობიერებლად ხდება, ინტუიციის დონეზე, თუმცა სწორედ ეს ინტუიციია ის გასაღები, რომლითაც სრულიად ახალი სამყაროსეული კარი იღება. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი გვმოდგრავს: „მადლი ეძლევა არა იმას, ვინც კარგად ლაპარაკობს, არამედ, ვინც კეთილად ცხოვრობს“. თურმე, კეთილ-ცხოვრებაშია მადლი და არა ამო მჭევრმეტყველებაში, რაოდენ სასიამოვნო მოსასმენიც არ უნდა იყოს იგი. პოეტისთვისაც უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომ სიტყვა ამაოდ არ გაექცეს, ამაოდ არ გაავრდოს სიტყვის მერანი. სიტყვიერი სიყალბე უდიდესი საცთურია, რომელსაც სწორედ ლექსით განხატებული პოეზია არ გაპატივებს, მით უმეტეს, საგალობელი. თავისთავად უფლისადმი მიმართვა არაფერს ნიშნავს, ვინაიდან სწორედ უფალმა წინდანინვე უწყის ჩვენი ზრახვანი, ამიტომ მის წინაშე წმინდა გულის გარეშე ვერც წარსდგები და ვერც იმეტყველებ. სწორედ ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობაა საინტერესო ამგვარი ორსტროფიანი ლექსის წყობისთვის, აღნაგობისა და სიტყვიერი მორფოლოგიისთვის. საერთოდ, ამ საგალობელთა ფენომენოლოგია უმარტივესად

ტიონი, როდესაც სიყვარულის და სილამაზის ღვთაებრივ ამაღლებულობას გვაზიარებდა, მშვენიერების უკვდავ ხატსახეობრიობასაც იმგვარი ამაღლებულობით წარმოაჩენდა, რომ სიყვარული, მართლაც არამინიერ და მართლაც ღვთაებრივ გრძობად განფენილიყო ჩვენს ცნობიერებაში: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუნჯდომელი, როგორც ედემი...“ რა თქმა უნდა, არც ვადარებთ, არც ვაპირისპირებთ, მაგრამ ამგვარი „სიყვარულის დღესასწაულს“ გენო კალანდია, ჩვეულებრივ, ძალზედ მინიერ საფარველში ხვევს და, ამავე დროს, მართლაც ძალზედ ჩვეულებრივად ადამიანური განწყობილებით გვაზიარებს მშვენიერებას და ამაღლებულობის სახე-ხატთან, სადაც თვითონ ტრფობის ობიექტი წარმოჩინდება მინიერ სინდინდეთა სიმბოლოდ, ნამდვილი ადამიანური სიყვარულის სამშენისად, ნიმუშად, გენებათ, არსად თუ შინა-არსად: „უფალო, თინა აშუბა მიყვარს, დღემდე მიყვარს და მოკითხვას ვუთვლი, არ ვიცი, გულში ცივა თუ ტკივა, მე დღემდე მიყვარს და სალამს ვუთვლი. ასი ლურწამის შვენიოდა ფერი, ასი ნეკერჩხლის დარდი და სევდა, ის იყო ჩემი ზურმუხტის ველი ბედნიერ დღეთა, დამეთა, თვეთა!“ ზოგაერთმა, შესაძლოა, ნაკლადაც კი ჩაუთვალოს პოეტს უფლისადმი აღსარებაში ჩვეულებრივ მინიერ გრძობაზე საუბარი, მაგრამ პოეტი ხომ თავადვე მინიერად ამაღლების სიმბოლოდ წარმოჩინდება, რომ სწორედ ამგვარი სიყვარული წარმოსახავს მას მალლად – ღირსეულად და წრფელად – მშვენიერად. აქვე, ნება-უნებურად არ შეიძლება არ გაგახსენდეს სტრიქონები ბიბლიური „ქებათა ქებადან“, უფრო სწორად, მიმართება განცდის უბრალოებისადმი. ეს და ამგვარი სტრიქონები მიგვანიშნებს და (თან!) შეგვაგონებს: – ადამიანური-მინიერი ხომ ციერით ფასდება, ადამიანურ-მინიერში ხომ ციერი ლოველივებს. მთავარია ამ დაფარულის შემჩნევა, აღმოჩენა და ამ აღმოჩენით(ვე) ნეტარება. ან, განა მართლა მეტი(ც) რა არის „ჩვენი ყოფა-წუთისოფელი“? „უფალო, ვაშლის, ალუბლის ფერით იღვიძებს ძველი მარტივლის დილა, კისკისებს... მღერის ტეხურის ჩქერი, ვით მზეჩანწლი მეგრელი ცირა. ჭობავარჩხილიც აქ არის, აქვე, არყის ჯაჭვივით, ცოცხალი ჭავლით, ცა არის, როგორც სამთხის ქარვა, ოქრომრავალი არესის ჭავლით“. საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ორსტროფიანი და ათამარცვლიანი (ამგვარი!) მეტყველები ფორმით გამოხატა სათქმელი ავტორმა? იქნებ, სწორედ ამგვარი ლექსემურ-ვერსიფიკაციული და ფერწერულ-მუსიკალური გამა-ტონალობა შეესაბამება საგალობელთა შინაარსს, განწყობილებას, სივრცობრიობას. კითხვობა და რწმუნდები, რომ აქ მართლაც ე. წ. „ოქროს შუალედია“ გამოძერწილი, არც მეტი და არც ნაკლები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სრულიად ზედმეტია და უხერხულიც კი (!) გენო კალანდიას პოეტურ არსენალზე მსჯელობა-საუბარი... და არც ვაპირებთ. მაგრამ უთქმელობაც არ შეიძლება: ამ „საგალობელთა ციკლით“ იგი წარმოჩინდა (მართლაც!) მალალი ნიშნულის პოეტად, თუმცა ეს პატივი არც ადრე აკლდა, მაგრამ მაინც სულ სხვაა სი-

ტის ლტოლვას შეუცნობელისკენ, მაგრამ, ამავდროულად, იმასაც გააცნობიერებ, რამდენად მძიმეა და მტანჯველი ამგვარი მდგომარეობა, ამაღლება ჩვეულებრიობაზე, ამაოებაზე. და არც „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“-ს სოლომონისეული სიბრძნე განებებს თავს, პირიქით: „უფალო, ცხენის წელია ჩემთვის, მეფე დავითის წელია ჩემთვის, მეფე ერეკლეს წელია ჩემთვის, მათი ცხენების ჭიხინი მესმის...“ ამ სტრიქონებით ცოცხლდება წარსულის „ქვათა ღაღაღი“, გარდასულ(თა)-სულითა ციალი და (ყოველგვარი!) გულზე მჯდის ცემის გარეშე იხატება პოეტის გულისძგერა, მართალი მამულმშვილური სიტკბობაც და გულისტკივილიც. უბრალოდ ამ ლექსემური კრიალოსანის ღირსება, ყოველგვარი ხიბლისგან, თავმოწონებისგან განრიდებული და თავისუფალი; ის უფალთან არის მარტო, წრფელი და მინიერად ადამიანური. თითქოს, როდესაც აღსარებას ამბობს, იქვე ჩაესმის საკუთარი(-ვე) საგალობელი: „უფალო, შენი მალალი ნებით მიხმე დიადი ნათელის წიაღ, ამავე შენი შაბათის შვებით საყდრის ჩიტივით სუსტი და ფრია. ამავე კვირის უმანკო ლოცვით, მიშველე მარად ყარის და შიშველს, ჩემსავით ერთგულს და ჩემებრ მორჩილს ვეღარ შეხვედები ოდიშის ცის ქვეშ“. და მართლაც, ამ ლექსებს, არცერთს, არ სჭირდება მალაღფარდოვნება, რადგან, ყოველ სტრიქონში ერთდროულად(ვე) იკითხება სინანულიც და სიხარულიც, ღირსებით სიამაყე და ქარტეხილებრივი გულისტკივილი. და ის არამარტო უფალს, მკითხველსაც, მსმენელსაც აბარებს აღსარებას, მაგრამ არ ღალატობს სინრფელს, უშუალოდ, უანკარობას. დიახ, ეს ასეა და ნურც-ნურავის გაუკვირდება, რომ ეს ასეა!, რადგან – „უფალო, მუშლი ეხვევა მუხას, ავად მყეფვართა მრავლება რიცხვი და საქართველოს – მაცხოვრის სურათს წყალი ჟონავს და მიშრება პირი. ხელმოცარული კაცივით ვდგავარ მეტეხის კართან თუ ალაყფათს... და მაინც მისთვის ვაგრავებ ქართავს“. საერთოდ, მრავალჭირამოვლილ პოეტს ძნელია ურჩიო რამე, მით უმეტეს, თუ თვალწინ დაეგრა სახატე-კუთხე აფხაზეთი, სიკვდილს ჩახედა თვალეში, იგემა დევნილობის სიმწარე, ჭუბინის უღელტეხილის ჯოჯოხეთი და... ახლა: „უფალო, ცრემლი მისველებს თვალეებს, ყოველდღე დარდით, ნალველით ვკვდები... მომავლდება ერცახუს მთვარე, ერკემლები და კაჭიჭის ჩხები, დილიდან ვერცხლის ჩანჩქერთან ვზივრებ მე და ოცი წლის ანტიცა სმირი... გამახსენდება ბზიფი და რინა და ღამდამობით ბალღივით ვტირი“. და მართლაც, ერთმა, უფალმა თუ უწყის, რამდენ „რამეს“ იტებს პოეტის „გული, ცნობა და გონება“. და ნუ ჩაუთვლით თვალზედ მომდგარ ცრემლს, ბატონებო, პოეტს სისუსტედ! უფრო – პირიქით! აბა, დაფიქრდით, როდის ტირიან, საერთოდ? ჩვენი გული – უფლის კარია და ქრისტეც იქ სტუმრობს, სადაც გულის კარი ღიაა მისთვის. „დააკაუნეთ და გაგვლებათ“, – აი, სიმბოლო ამ საიდუმლოსი! ქრისტეც ყველას გულის კართან დგას და თავს გვახსენებს, აკაკუნებს კარზე, მაგრამ ვართ კი ჩვენ მზად ამ კარის გასაღებად?! გვესმის კი ეს კაკუნის ყოველთვის და მაინც – როდის უხმობს

ლებს და ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს თითოეული ლექსი თითო საფეხურია იმ კიბისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ზე-ცისკენ, ზე-მიღმიერისკენ მიემართება. ამიტომაც არის გამჭვირვალე და ჰაეროვანი ეს ლექსები, ეს პოეზია, ზოგადად სათქმელი. „მამა, დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად“ – იტყობა თავის დროზე „მერანის“ ავტორი. ღმერთთან სიახლოვეს ყველა ნატრობდა, რომ განრიდებოდა ავსულს, ბოროტს, ნამბილწველს. ლექსით ლოცვა კი ფარი და მახვილია ბოროტების ურჩხულის წინააღმდეგ, უჩინარი ეშმაგან თავის მოსაზღუდად. დიახ, თითოეული ლექსი თითო აღსარებაა, სავედრებელი თუ საგოდებელი. და ყველგან მამულის ხატი ჩნდება და ანათებს. იქნებ, სწორედ ამგვარი პოეზიით იქმნებოდა და იქმნება სამშობლოს ხატი, მამულიშვილური სიყვარულის ხელწერა - თავისუფალი ყოველგვარი ანგარებისა და ბინიერებისგან. და მართლაც, არავინ არ გთხოვს იმაზე მეტს, რაც გევალება. სამშობლო ხომ სწორედაც ერთია ამ-ქვეყანაზედ: „უფალო, მზე რომ გადაღის დიდგორს და დიდი ქედი რომ ჰგავს ალოეს, ჩვენი ძისა და მამის არ იყოს, ვოცნებობ ახალ საქართველოზე. ვიგონებ ნიჩბის... და მეფის კარავს, მეფის სპას, მეფის ყმას და ახლობელს, ჩვენი ძისა და წინაპრის დარად, ვოცნებობ ახალ საქართველოზე“. აქ დავასრულებთ მსჯელობას საგალობელთა შესახებ.

ჩვენ მხოლოდ საგალობელთა ძალზედ მცირე-ოდენ ნაწილს შევხებით, წარმოვავჩინეთ – ზოგადი შთაბეჭდილებისთვის. აქედანაც თვალნათელია თუ რაოდენ პოეტურ დღესასწაულს ვეზიარებ(ნი)თ. არც ერთ პოეტს არ სჭირდება, პანეგირიკი და დიოტირამები, მით უმეტეს, ასეთი! დაველოდოთ წიგნად აკინძულ საგალობელთა კრიალოსანს.

P.S. და მაინც: ყველა თავის თავს სწერს საგალობელს, უგზავნის, უძღვნის; უფალში აცნობიერებს საკუთარ – წარსულს, აწმყოს, მომავალს; რა იყავი? ვინ ხარ? და რა იქნები? აი, კითხვები, დასაბამიდან რომ არ გვასვენებს და ვაფორიაქებს. ზოგი ისე განლევს წუთისოფელს, არც ჩაფიქრდება არც-არაფერზე(დ). მისთვის, იქნებ, სჯობდა კიდევ ასე ცხოვრება? ვინ უწყის, შეუცნობელი არიან გზანი უფლისანი... და მაინც, სულ სხვაა პოეტური საგალობელი – გულწრფელი თხოვნა-აღსარება, განდობა შობილთა: „უფალო, ჩემებრ ღარიბს და ღატაკს შენ არ გასწირავ მზაკვარის ხელით, დასაწერი მაქვს მედვას საგა, გასატანი მაქვს კუთვნილი სერული. მე ჩემი სისხლით, გალობით, ჰანგით ყველა ნამდვილი პოეტის ძმა ვარ, როგორც მოვედი დიდი ხნის წინათ, ახლაც შენივე სახელით წავალ“. და, როგორც ჩანს, პოეტისთვის ყოველი ახალი დღე ახალი საგალობელია, ახალი ლექსი, თავის ახლად დანახვა-აღმოჩენა და წარდგენა უფლის წინაშე. პოეტი-შემოქმედი სრულიად სამყაროს შემოქმედს აბარებს აღსარებას, პოეზიით ეზიარება „სახე ყოვლისა ტანისას“ შემქმნელს და ლექსებით – საფეხურებით მალდება იმ კიბეზე, რომელიც ისევ და ისევ უფალს მიემართება... უფალო, უფალო, უფალო!.. ■

მე მხოლოდ ჩემს აზრს გიზიარებთ

როგორც სათაურში მოგახსენეთ, ეს ჩემი აზრია მხოლოდ. თქვენ შეგიძლიათ არ დაემთხვეთ.

ერთხელ ბროდსკიმ თქვა: „პრეზიდენტობის კანდიდატს პროგრამა კი არ უნდა მოთხოვოთ, ის უნდა ჰქონოდეს, „დევიდ კოპერფილდი“ თუ აქვს ნაკითხული. რას გულისხმობდა, რაზე მიგვანიშნა ამ მონოდებით? ადამიანის ყველა იმ თვისებაზე, რაც მას კეთილშობილებას სძენს და, პირიქით, შეიძლება ურჩხულად და ბოროტების ჭურჭლად აქციოს. ეს გამოინათქვამი მოუნოდებს ხალხს, ისეთი პრეზიდენტი აირჩიოს, რომელიც კეთილს ადვილად გაარჩევს ბოროტისგან. „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველის განათლებას ვენდობი და მორიდებით შევასხენებ ვიქტორ ჰიუგოს რომანის „განკიცხულნი“ შინაარსს.

ჟან ვალჟანმა (ფილმში მას შესანიშნავი მსახიობი ჟან გაბენი ასრულებს) ფუნთუშა მოიპარა – ძალიან შიდა. ამისთვის კატორღა მიესაჯა. გაუსადღისი შრომით – ქვის სატეხზე კლდის ლოდების დატეხვა და დატვირთვა ევალებოდა.

შეძლო – გამოიქცა და ღამე სოფლის მღვდლის სახლის კარზე დააკაუნა. მან შეიფარა, დააპურა, მოასვენა. დილით ვალჟანი სახლიდან ჩუმად წამოვიდა და ხელს გამოაყლო (მოიპარა) ვერცხლის კოვზები. გზაში ჟანდარმებმა დააკავეს, საეჭვოდ მიიჩნიეს და ვერცხლის კოვზების წარმოშობის დასადგენად ისევ მღვდელთან მიიყვანეს, პასტორმა არათუ ქურდობაში ამხილა ჟან ვალჟანი, არამედ უსაყვედურა, მთავარი საჩუქრის – ძვირფასი შანდლების ნაღება რატომ დაგაკინყდაო და შანდლებიც აჩუქა.

რა გადატრიალება მოხდა ჟან ვალჟანის სულში, ფსიქიკაში, მორალში ამის შემდეგ, მკითხველს ეხსომება – იმდენად შეიცვალა, რომ პატარა ქალაქის პატივ-

საცემი მოქალაქე გახდა და მერად აირჩიეს. აკეთა მრავალი სიკეთე, მონყალებას გასცემდა, ობოლი გოგონა იშვილა...

იცით, რატომ დავლაღე მკითხველი ვიქტორ ჰიუგოს ამ საოცარი ნაწარმოების თხრობით?

ერთხელ, ახალგაზრდობაში ჩადენილი დანაშაულის გამოსწორების საშუალება ყველას უნდა მიეცეს.

23 წლის ასაკში, გერმანიაში, უცხო ქვეყანაში, ქართველმა ახალგაზრდამ ნინალმდეგობა გაუნია პოლიციელს – არ უყარა, არ მოუპარავს. ეს დამტკიცდა – მალე გამოუშვეს დაკავებული; ბოლოს პროკურორი გახდა. რა ამბავი შეიქნა მის დანიშვნაზე მთავარ პროკურორად?! იქნებ, პროკურორად მუშაობის დროს ჩაინდინა დანაშაული? არა! ვერ მოუძებნეს. ის ფაქტი არ აპატიეს, გერმანიაში უხეშად რომ მიმართეს 23 წლის ახალგაზრდას და მან წინააღმდეგობა გაუჩინა. დიახ, ეს ვერ აპატიეს საქართველოში.

ჩემი ახალგაზრდობისას გადიოდა ფილმი: დაუჯერეთ გამოსწორებულსო! ფილმის შინაარსი თითქმის იგივე იყო, რაც ზევით მოგახსენეთ: ახალგაზრდობაში ჩადენილი შეცდომა, პატიმრობა, ციხე. სასჯელმთხედის არ ენდობიან – ბიოგრაფია აქვს გაფუჭებული. იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყონ, გამოამუღავნოს კარგი თვისებები, სწორ გზაზე იაროს – არ ენდობიან. ენდეთ გამოსწორებულსო, ამბობს ფილმი: „Исправленному верить“.

სიკეთით, ნდობით, გვერდზე დგომით უნდა დახმარება. არ შეწყვიტეს ერთხელ ჩადენილი შეცდომის შესხენება – გაზეთით, ტელევიზიით დაეისვენენ – ეს სიტყვა თუ გამოხატავს ამ თავდასხმას. მაშინ ატეხა პარლამენტის უმცირესობამ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნიკლაური, მინაშვილი და მისთანები, თუნდაც ბარამიძე. ნუთუ პატარა ცოდვეც არ არის

მათ ბიოგრაფიაში, ან როგორ კიცხავენ სხვას, როდესაც სათავეში მყოფი სამინელ დანაშაულებზე ხმას არ იღებდნენ. „ნუ განიკითხავთ“, ბატონებო.

ალარ უნდა დადგეს ისეთი დრო – „ერთად ძოვდეს ღომი და ხარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხვართა თანა“. მეგობრებო, თანამემამულენო, ქართველებო! ნუ გავნირავთ ასე ადვილად ერთმანეთს. ისედაც იმდენი დანაშაულია ჩადენილი – გაუპატიურებული კაცები გამოდიოდნენ ციხიდან – შეურაცხყოფილი და დამცირებული. ამას მიხედვით, ამის ჩამდენების დასჯა მოითხოვეთ, უფრო სამართლიანი იქნება.

ჩვენ, ქართველები, საოცარი ხალხი ვართ. თან გადავყვებით უცხო, სტუმარს, სხვა ტომს. ჩვენიანს კი გავნირავთ, მაგრამ ცუდის და კარგის გარჩევაც ვიცით. ბატონი ლადო პაპავა რომ კარგი რექტორი იქნებოდა, დარწმუნებული ვიყავით. ამას ფსიქიატრობა არ უნდა, რომ შეამჩნიო მისი კეთილშობილება, განსწავლულობა. დამშვიდდა, დაწყნარდა უნივერსიტეტი. ბატონმა ლადომ პედაგოგების და სტუდენტების დიდი სიყვარული დაიმსახურა. ჩვენ, მოქალაქეებს, გვიხარია და აღფრთოვანებით ვხვდებით ასეთი ადამიანების გამოჩენას. მის სტუდენტებს რექტორის სახით მისაბაძი ადამიანი ჰყავთ, პატივს სცემენ. საკუთარი ხელფასის დანამატს რომ მოიხსნი და წარჩინებულ სტუდენტს დაუნიშნავ. ამით მაგალითს აძლევს სტუდენტებს და სწავლის, ცოდნის მიღების სურვილს ალუძრავს.

ჩვენ ძალიან მოგვწონს ახალი მთავრობის შემადგენლობა, მაგრამ უფრო მეტი კეთილშობილება უნდა გამოიჩინონ და მიღების საათები და ტელეფონის ნომრები გაზეთით და ტელევიზიით უნდა გამოაცხადონ. დიდი სურვილი მაქვს,

შეხვედეთ ჯანდაცვის მინისტრს, მორიდებული და წესიერი კაცია, დიდ სიმპათიას იმსახურებს, მაგრამ ასეთი შეზღუდვა მედიკამენტების გაცემაში – ცოტა მეტი მოუვიდა. 1961 წელს მივედი ფსიქიატრიაში, დღემდე მაკითხავენ ჩემი ყოფილი პაციენტები და მათი პატრონები. ჩვენ უკვე ვმეგობრობთ. მე მხოლოდ სიტყვით დავეხმარო, წამალი ვერ დავუნიშნო? არ კმარა ჩემი პირადი ბეჭედი. საქართველო პატარაა, ერთმანეთს ვიცნობთ, ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციას. ტრიპტანი და ჰოლოპერიდოლი არც ერთ ნარკომანს არ უხმარია არასოდეს. ერთიც და მეორეც ძალიან ეფექტური მედიკამენტებია სულით ავადმყოფთათვის. თუ მონდობა ნარკომანმა, ისეთ ნივთიერებებს იხმარს, ვერც კი წარმოადგენთ. ჰიპოტენზიური და საეგულე საშუალებების თავისუფალ გაცივებას ნუ აკრძალავთ. ეს ნამეტანია. კარგად მოზომეთ წამლებზე ვეტოს დადება.

„ლიტერატურული საქართველო“ ის გაზეთია, რომელსაც, ალბათ, ჩვენი მთავრობის ნევრებიც კითხულობენ. იმედი მაქვს, ჩემი მოსაზრება არ დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაზნოსა შინა“.

დავებრდი – „სიბერე მჭირს სხვა უფრო ჭირთა ძნელია“. თუმცა ყველაფერი უფრო ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის“, მაგრამ მე ზამთარი მიდგას უკვე და ამიტომ ჩემი ქვეყნის სიყვარული უფრო გამიმწვავდა. „მოდგმა გადაგვირჩინე, ღვთისმშობელო მარიამ“, – თქვა რეზო ამაშუკელმა, მუსიკა დანერა ჩემმა მეუღლემ, გურაბ ბზვანელმა და საქართველოს ტკბილ ლოცვად აღუვლინა ნანი ბრეგვაძემ. ამინ!

ძველი ბავშვისხსენით!



„გუპეის“ ჯაზკვარტეტმა ეპოქა შექმნა ქართულ ესტრადაზე – ხშირად გაიგონებთ მუსიკოსების წრეში და ამ აზრს იზიარებს საზოგადოებაც. ქართველებს მრავალხმიანობით ვერ გააკვირვებ, ვერც მელოდიების სიუხვით, მაგრამ ფაქტია, გურამ ბზვანელის მიერ შექმნილი ჯაზკვარტეტი პირველი იყო, თუმცა გურამის სიმღერებს ასრულებდა არამარტო კვარტეტი, არამედ ცალკეული მომღერლებიც.

კვარტეტის ოთხმა მომღერალმა ქართული მელოდიზმი საფუძვლად აიღო და ხმები ოთხად ისე დაშალა, რაც მანამდე საქართველოში არ ყოფილა.

ამ ოთხი „ბიჭის“ შეხვედრა, ალბათ, ღმერთმა იწინა – ქალაქი, ქუჩა, ასაკი, ინსტიტუტი, სკოლა და, რაც მთავარია, აზრთა და ხმათა თანადამთხვევა, საკუთარი კომპოზიტორი – გურამ ბზვანელი. ერთ ინსტიტუტში სწავლობდნენ, სადაც დახვდათ ორკესტრი ბ-ნი სოსო ტულუშის ხელმძღვანელობით.

სტუდენტობის პირველ წლებში დაწერა გურამ ბზვანელმა ცნობილი სიმღერა „ჩაფაქრე სანთელი“. ამ სიმღერით გამოვიდა ლეგენდარული და უბერებელი ნანი ბრეგვაძე პირველად ესტრადაზე გუპეის ორკესტრის თანხლებით და დაიწყო მისი ტრიუმფალური სვლა.

მოგახსენეთ, ხმათა სიმრავლით ქართველებს ვერ გააკვირვებ, მაგრამ ქართული მელოდია ჯაზური ელემენტებით, ხმების ახალი და საოცარი მიმზიდველი, ქართული სიმღერისთვის მიუჩვეველი დაყოფით კიდევ უფრო იზიდავდა ხალხს. ხმების უცნაური შერწყმის სიახლე აღფრთოვანებებს და გაოცებას იწვევდა.

ეს სიახლე იყო, ძველი ქართული ჰანგების ფონზე „დევინილი“ ჯაზმა დიდი პოპულარობა მოიპოვა.

საოცარი რამ მოხდა. გურამ ბზვანელის „ნუკრიამ“ ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია დაარღვია –+ საქართველოს ახალი, 1956 წლის დადგომა 12 სთ-ზე მრავალჟამიერის ნაცვლად დები ჩაფიჩაძეების მიერ შესრულებული „ნუკრია“-თი მიულოცეს.

ის საოცარი, კეთილხიანი აღრევა ქართულ-იტალიურ-არგენტინული მუსიკისა, ისეთი უშუალოდ, მიმზიდველი სიახლით და ხმათა შერწყმით გამოირჩეოდა, რომ ცნობილი სიმღერა „ნანა“ – ბავშვი გელოვანის ნაპოვნი, გურამ ბზვანელის დამუშავებული და კვარტეტის მიერ შესრულებული ხალხმა მაშინვე თავისად მიიღო და შეიყვარა.

1957 წ. მოსკოვში ტარდება მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალი. მას წინ უსწრებდა საკავშირო ფესტივალი. აქ თუ გაიმარჯვებდი – მაშინ მსოფლიო ფესტივალზე უნდა წარმოგეჩინათ თავი. ასეც მოხდა!

მსოფლიო ფესტივალის მაღალმა ჟიურიმ – უტიოსოვი, ცვასმანი – ეს გვარებიც კმარა შესაფასებლად – გუპეის საესტრადო ორკესტრს, ე. ი. „ბზვანსკის კვარტეტს“ ლაურეატის წოდება მიანიჭა. დარბაზები გადავსებული. ზოგ დარბაზს ცხენოსანი მილიცია იცავდა, იმდენად დიდი იყო მსმენელთა რაოდენობა, ინტერესი და მოწონება ამ ლაურეატებისადმი.

განსაკუთრებულ განცვიფრებას იწვევდა სიმღერების ჯაზური კომპოზიციები.

ასეთივე მდგომარეობა იყო თბილისშიც, ტევა არ იყო ყველა იმ დარბაზში, სადაც კვარტეტის სიმღერები სრულდებოდა. იმ თაობის საზოგადოებამ შეიყვარა და სათავისოდ, სამღერად და სალილინოდ აქცია გურამის ის სიმღერები, რომელსაც კვარტეტი და სხვებიც ასრულებდნენ.

როდესაც გურამის საავტორო კონცერტზე ორკესტრმა „შენი თვალების დაღლილი ემუსი“ შესრულდა დაიწყო, ხალხი ტაშით შეხვდა, ფეხზე ადგა. მსმენელს ცრემლი მოსდოდა. ეს ცრემლები ჩანდა „ვედრების“ შესრულების დროსაც. მელოდიური ლაღადი „მოდგმის გადასარჩენად“ (ღვთისმშობელ მარიამისადმი) იქცა ლოცვად და განგებასთან გასაუბრებლად.

ამ პერიოდში მიმდინარეობდა კინოფილმ „ქალიშვილი გიტარით“ გადაღება. გადამღებმა ჯგუფმა, მუსიკის ავტორებმა, კომპოზიტორებმა საუფსკიმ და ოსტროვსკიმ მიიჩნიეს, რომ ფილმს მეტ მომხიბლველობას შემატებდა „4 ბიჭის“ მო-

ნაწილობა და ბზვანელი, ცინცაძე, ბაკურაძე და ხარაბაძე ფილმში გადასაღებად, უფრო სწორად, სამღერად, მიიწვიეს.

კვარტეტმა მხოლოდ ოთხი წელი იარსება, მაგრამ მის ეპიზოდურ გამოჩენას სამოცი წლის შემდეგაც ხალხი დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდება.

2002 წ. კვარტეტი „დაობლდა“, მას გამოაკლდა მთა ხარაბაძე.

სიმღერები: „ნუკრია“, „ბორჯომის ხეობა“, „დააჩქარე“, „ჰანანინა ყვავილები“, „დამელოდე“ და სხვა მრავალი გადაიქცა იმ თაობისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლანდელი ახალგაზრდობის საყვარელ მელოდიებად.

საქართველოში პირველად დაიწერა სიმღერა „რეკვიემი“, რომელიც გურამმა დალუპულ მეგობრებს და ახლობლებს უძღვნა.

ცალკე სიტყვას მოითხოვს სიმღერა „ძველებური თბილისური“ ტექსტი ძველ და ღირსეულ თბილისელს ჯანსუღ ჩარკვიანს ეკუთვნის, მუსიკა გურამ ბზვანელმა დაწერა. ასრულებდა გოგი დოლიძე.

გურამმა არა მარტო საესტრადო სიმღერები შექმნა; მას ეკუთვნის საფორტეპიანო პიესების კრებული, სიმფონიური ორკესტრისთვის კი „ქართული ჩანახატები“, სავილინო კონცერტი, კანტატა გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისთვის და სხვა.

წელს ღვანლმოსილი მუსიკოსი, კომპოზიტორი გურამ ბზვანელი 80 წლისა ხდება.

მისი ღვანლი სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ჯილდოებით აღინიშნა. იგი არის სტუდენტთა და ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; ღირსების ორდენის კავალერი; და ბოლოს, მას გადაეცა მეტად სასიამოვნო ჯილდო – ქ. თბილისის ერთგულების მედალი (!!!).

თამილა მაკარიძე



შალვა პაპუნაშვილი

წყაღვალდიდან მოიწერო... (რეკვიამი)

„ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად,
სხვას არა წაუღია რა“.


ჟამი მოდის გაცილების-მარადიულ ჩვეულების – კვირტში გადახანჩლების, რტოში გადასხეულების. ეთხოვები ზვრებს და ყანებს, რაც რო ხანი, რაც რო თესე-რასაც დღემდე ეთავყვანე, ეფერე და ეალერსე. დილის ცვარი მოჟიჟმატე – ღვთის ნებით რო მოსავს ქედებს, გულისწყვეტას მოგიმატებს, უკან ბევრჯერ მოგახედებს. ია გამოგეტირება – მერხის სითბოს გაგახსენებს, წარსული რომ გეტკინება – ღანვს კურცხალი დაასველებს. გინდა ნახო დილის ციხე – შეღმართები აიარე, თეთრი ნისლით გადაიხვევს ბებერ ტანზე ნაიარევს. ძუძუმტეა შორაპანის, მისი ხორცი, მისი სისხლი, ბევრი ცრემლით მონაბანი-ისტორია ასე გვიხსნის. იქვე – სარკიათის ფერდი, თავზე ამილახვარია, შენ რომ წერდი – „აქ ყოველთვის სხვა დღეა და სხვა ღამეა“. გული წამოინატრულეხს ქარში გაშლილ თხემლიანებს, სათითაოდ ინახულებ, როგორც ძმებს და შენიანებს. გილიმიან გორებიდან ჩინარები – შორი დები, ჩუმად ეამბორები და ხელს გაიშვერ მორიდებით. შორს ლივლივებს ხანისწყალი თუ „ლეკური“ მიმობრილი, ნაპირ-ნაპირ ნასიცხარი ბორცვებია მიმოყრილი. თვალწინ-შენი ნაბლილე, ნაკარვები ოქროპირის, ნანვიმარზე ნაიმღერებს, შქერით სხეულმოლობილი. „მიაქროლებს გოგო ულაცს“ – ნისლი გაძლევს ამის ნებას, თვლემს მთებს შორის გოგოულა, ქარი ცდილობს გაღვიძებას. ეს ამხელა მწვანე ველი, ზედ რო ხათრად აბიჯებენ, „ციდან ჩამოგზავნილ წერილს“, რო ჩამოგვავს – დაგიჯერე. გოგოულას მაღლაც ტყეა, შუაზე ხევით გაყოფილი, პირ-სახეზე გახატია, რო ხარ მზერით კმაყოფილი. შენს საყვარელ სერზე დგახარ – სივრცე მართლა ამას ჰქვია, დიმიდა თავად დაგინახა, როხმა თავბრუ დაგახვია. თოხოურზე – კვალი თოხის, ნაისლარზე – ისლის კვალი, „წუთისოფლის ვალის მოხდით – რას ვისტუმრებთ, ის მითხარით?“ – რეფრენივით ტოვებ კითხვას, გზას აგრძელებ შენი ნებით, ველიმები ჩემს თავს დიდხანს, შენ რო შენს თავს ელიმები. მზერით გულზე გადაწერე ფშანები და ჭორომები, აფხანაურს გაგახსენებს ძელქვის მწვანე კორომები. როკითამდე დიდველიდან თვალი როგორ დაისვენებს – ცოტას მაინც გიშველიდა, იმდენ რამეს გაიხსენებ. აჯამეთი ზღაპარია, ოცნებას რო გვიადვილებს, უღრუბლო ცა აფარია ამ საქვეყნო სინამდვილეს. ვარციხედან წამოფრინდა, ძერაა თუ ქორი არის: „ეს ცხოვრება“ – ბევრჯერ ითქვა – „ცრემლიანი მღერა არის“. ნითელხევით წამოინწევს მზე და ფერსათს მოადგება, შაშვი კვენსას წამოინწყებს, გული ითხოვს ყურადღებას. სანაოს ნიავს უქებ-ფრფოლა ბანგავს ბებერ წნორებს, ეპეპი, სიჭაბუკე, რამდენ რამეს მოგაგონებს, მზე თოხისტარს გადაშორდა, ტანი ჩრდილებს მიანება, არ იფიქრონ, არ გახსოვდეს შუბნის გამომხიანება. გაოჩნდება ოჩნილე – რიგითა და წესით ვყვები, – ფერსათს უკვე მოვრჩით, მერე – რომელს გამოესიტყვები. რამდენ რამეს გამოარჩევს მზერა, როა შემაჭრული – საიმედოს გამოარჩენს სოკოები ჭრელა-ჭრული. მოტრფილად გაუხდები ზვარს და ყანას ამისთანას, ქარმა სუნთქვა ნაგუთნების ეწერამდე აიტანა. ამხელს ეწერს მარნის სუნი, წამღერებას გული ცდილობს – ბევრი, ბევრი დანიშნული ემზადება საქორწინოდ. ტყიდან ტურა დაიკვილებს – ესეც არის მისი ნება, ოლონდ იმას გაიკვირებ – ჰანგივით რო ისმინება. გზა მაცვლებით აიბარდა, ჩაიბურა აწლისლელეც, თენებოურს აიარ და ობჩას გაიმასპინძელე. ლალიძეთა, კახიძეთა – დააქვს მზერას ის აქამდე – სიმღერა რომ გაღვიძებდა – პირჯვარს გადაისახავდი. „გამოღმა ბურჯანაძე, გაღმა არის ჯუღელი“ – კაცს უღელი უღევს მხარზე – „ხარს სჭირდება უღელი“. გვირგვინივით ვის მიართმევ, ამ სოფელს რო ფერი შევინს, მინდორ-მინდორ ნისლია თუ გოგო მოდის ფეხშიშველი. „შემოგოგდიც“ გაიგონე – სმენა მზერას გაადვილებს, გზა – გორგალი გაიგონე, თავი გადაიადგილე: ჩაღხაეთი! – სახლი სამი. შუშის სამი ფანჩატური თუ სიზმარი მარტის ღამის, უფლის ხელით დახატული. დააქვს ტანი დამფრთხალ შველის, კურცხალ-კურცხალ მარაგდება, საკრულას მართლა შევინს ყელის ნახად გადაგდება.

გაღმა – ჭალა ხუზიარის – ბევრი ყანის მქონებელი – საკუთარი თუ ზიარი თვალის მომაფონებელი. აჰა, აგერ, ზეგნის სერიც, ცოტა ჯანლი მორევი, რო ბუტბუტებს ჩანგის ენით დოგრაშვილის მორევი. ჩაყურებულ ნებიერეთს, მთვარეც ხათრად ემალება, ნიფას გაანებიერებს მარტის გამოტყემალება. გორგოძეთა, კოხოძეთა (გვარი გვარზე მიაწყვილე) – „ჭურში დევი ხორხოცებდა“ – სიზმარი ცვლის სინამდვილეს. გამოკეთდა შედარებით გზა და მშვიდად დაეშვები, ჩირგვებია კედარების ჯუჯა ხელის ფარეშები საჭილის ხიდის ახლოს (გადავარცხნის ქარი ტინებს) ერთი მეგობარი სახლობს – შევლას გაითვალისწინებ. ქარი კიკნაველეთური, ორი ზეგნის გაზრდილია, ელეთურით, მელეთურით ჩამოაღწევს „ბრაზილიას“. ბალაგანით ნაიგრძელებს ხელს და ხრამებს ახმაურებს, აკვენებს ჩალიდერებს, ამ არქაულ სალამურებს. ნიავების მეკავშირე მალე იგრძნობს შებერებას, სალამს მისცემს ჭრელაშვილებს და ზედა დიშს ეფერება. ხენეშა-ხენეშით გამოიქცა, შუკა-შუკა ნალიკდება, რომ მოიღვეს ნაფოიცარს, მერე მართლა ღარიბდება. ასავსავებს უკვე ხელებს, რალა დარჩა – ზომე თვალთ, დობილომდეც ჩავა, მერე – აღარ გინდა კომენტარი. არც უქაროდ არ ეგების – არემარეს ქარით იგრძნობ, ნიავს ფეხქვეშ გაეგები, რომ ხელახლა გაიღვიძოს. პეპელას ფრთა გამოისხა ფოთოლმა და ცახცახს იწყებს, თავზე ხელებს ჩამოისვამ და თმებს შუბლზე ჩამოინწევ. მონატრებულ მზერით მწყემსავ ცაში წასულ მაღალ სერებს და იხსენებ – რა გითხრეს და – თავად შენ რა ჩაინწერე. ციდან ნისლი ჩამოცურდა საირმის მთის დანახვაზე – დამხვდურთა და ჩამოსულთა ხორხოცი რომ აღამაზებს. ნათავის კლდეზე ნაძვი ცალი, თუ ანძა ძველისძველი – ნათავის-ნასხვისარი ხმები მართლა შეიგრძენი. გზა-გზა მინდვრებს – ტყის სარჩულებს,

შენის ფუტკრის ქალაქები, ბაგე დუმილს ინარჩუნებს – გულით ელაპარაკები. კაცი პირჯვარს მოისახავ, იმნაირი შნო აქვს სერებს, აგერ წყაროც, რომლის სახელს ხმამალა რო ვერ ახსენებ: გარემემო – ხავის ბნელი და შუაში – პირი ღია, „ეჰ, რამდენი, ეჰ, რამდენი მისგან სიტკბო მიმიღია“. კაკასხიში წამოგცდება და ზეკარში დაასრულებ: „როა ხანი საოცრება – ელაობაც ადასტურებს“. გასართობად სად ეცალა – დგება, როცა მთვარე ჩადის, ხანელს დღესაც მატებს ძალას ლანდი ვანო ტაბეშაძის. აიმგზავრებს ყანა თვალებს, თუ ქათქათა მოლანდება – დღეს თუ არა, ალბათ ხვალე, საგზლად რო გამოგვადგება. ვინ რა იცის, რა მიგვევება, ამოცნობას მაინც ღამობ, გვეპატიოს გაბრიყვებაც ორჭოფული ფიქრის გამო. ფოთოლს ქარი აიტაცებს და ნიავსაც გული უცემს და წუხს წიგნი მაგიდაზე, ბოლო დღეს რომ გადაფურცლე. თავს ინონებს სველი თავშლით ცა და აფრთხობს ღია ტბორებს და წუხს თოხი სვრელის თავში, ბოლო დღეს რომ მიატოვე. ამოვარდნას გული ცდილობს, როცა ელდა ნერვს აჩერებს და წუხს ლექსი, გუშინწინ რომ დაინწყე და ვერ დანერე. ეს დღე თავად მიგიმსგავსებს, მზერაში რო მზე ბანცალეებს და წუხს თასი ღვინით სავსე – ბოლო დღეს რომ ვერ დაცალე. შეინწყვიტა დილამ ღილი – ცვრიან ვარდებს მწყემსავს თვალი და წუხს ვაზი რქა-ნაყარი – გუშინწინ რო ვერ გახსალი. დღეს პირ-სახე შეებურა, მზერა მაინც ათბობს ჭალებს და წუხს ბადე, ძველებურად მორევი რომ ვერ გაშალე. სინანულით ეტანები ნაადრევად შემჭქნარ ულოს და წუხს ცხადი, ნეტარებას სიზმარშიც რო ვერ ნახულობ. თვალი, თვალს არ ნადირობს, აღარც ხეტიალი ხელად და წუხს მუხლი, მარნამდი რო ბილიკს ფეხი ველარ თელავს. ემჩატები ცას სხეულით, ძარღვს სისხლი რო ვერ ახელებს და წუხს ხელში ნაქცეული ბოძი, მაგრამ ვერ აყენებ. წამნამზე რო ტირი წამო, ტანშიც მაშინ მოვეშვებით და წუხს გული იმის გამო, რო გინდა და რო ვერ შევები. ტრაგედიაც „ვერა“ – შია, ეს ამდენი „ვერა“, „ვერა“... შველა – გედის მღერაშია, ბოლო დღეს რო გვმართებს ყველას. ცრემლიანი გულით მღერის გაფოფრილი ხანისწყალი – საზიარო სადარდელით ერთმანეთი წაისწართ. „ვერას“ მერე, ამიხსენი, – ვის და რაზე ვეხვეწებით, ჩემგან თავი დაიხსენი – მიდიხარ და ვერ გეწევი. წყალთაშუა-კორიშიდან, გურთა-ალისმერეთიდან, სიტყვამ გული მოიმშვიდა – ორთავეს რო შეგვეხიდა. მაღლა, სამოლოქიიდან, კაპან-ძიროთ-ლიანთხიდან, ნიშანი რომ მოგივიდა, უფალს ლოცვა მიართვი და მერე ალვის კელაპტრებით დაფენილი მოიარე, ახლა ბაღდათს ენატრები – ლექსში გაიმსხმოიარებს. ნერგეთიც მიაქვს თვალებს, ფერდობებით დანახული, მთას რომ ბარი მიეთვალა, გახდა ტექსტი დანადმული. ხელზე გიზის ნამიერი, გასაფრენად იხსნის ღილებს, გრძელი მრავალუამიერი მიდიხარ და მიგაცილებს.

P.S.
თითქოს გული მოიჯერე – რო გინდოდა, გამოთქვი და...
წყაღვალდიდან მოიწერე, რა წაიღე გამოღმიდან.

პოეზია



ზურაბ თორია

ბავშვი შუალაშიდან ჭირვეულობდა, დილაუთენიაზე კი ხმამაღალი ტირილი გააბა და დედის დაყვავება-ალერსმა შეგება ვერ მოჰგვარა.

პალატში, ხის ტახტზე მწოლ მოხუცს ზედა სართულიდან გარკვევით ესმოდა პატარის ტირილი, რძლის ნაზი ნანინა და ვაჟიშვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბუხუნი.

მოხუცი ოთახში მონრიალად რძლის ფეხის ხმას მოთმინებით აყურადებდა. როცა ბავშვი ვერა და ვერ დამოშმინდა, წამოდგა და ჩითის თხელი ხალათი სწრაფი მოძრაობით ჩაიცვა.

კიბე რომ აათავა, აივნის ბოლოში, მოაჯირზე დახრილი ვაჟიშვილი შენიშნა.

– რა იყო დედა, რა დეემართა ბოვშს?! – შორიდანვე ჰკითხა შემფოთებულმა მოხუცმა ნახევრადმთვლემარე შვილს.

– ვიცი?... მთელი ღამე თვალი კი არ მოგვახუჭინა და...

– შენ შენს თავზე ჩივი დედა, თუ ბოვშის გამო! – საყვედური დასცდა მოხუცს.

– თქვენ რო ბოვშს ვერ მოუაროთ, ესეც ჩემი ბრალი გახადეთ!.. საცოდავი თვალებით მოგვჩერებია და, კივა!..

– მერე, ვერ დამიძახეთ? ამ ნეკისხელა ბოვშს რას ანვალეხთ, არ ვიცი?!

– ვენახში ტრიალისაგან ფეხზე ჩამონყდაო და ერიდებოდა ნატოს...

– ნეტაი მოცლილები არ იყოთ! – ხელი ჩაიქნია მოხუცმა და საძინებლისკენ გაემართა.

ბავშვებატებული რძალი კარებთანვე შეეგება. მოხუცმა მის უძილობისა და განცდებისაგან ფერმიხდილ სახეს თვალი შეავლო და მიუახლოვდა.

– რა იყო ბებიო, შენ შამოგველოს ჩემი სიცოცხლე, რას ჩივი ჩემო მარგალიტო, ჩემო თვალის ჩინო, ჩემო პანია ვაჟკაცო! – მიუალერსა პატარას, დაიხარა და შუბლზე ტუჩით შეეხა, – უი, დედა, რა ცხელია! – შეიცხადა და საკუჭნაოს მიაშურა.

განჯინის უჯრიდან წამლის შუშები და სახვევები ამოანყო, საძინებელში დაბრუნდა, ბავშვი დედას გამოართვა, გააშოშვლა, საწოლზე დაანვინა, უფერული სითხით ფუნჩულა ტანი, ხელისგულები და შუბლი დაუზილა, ჩააცვა და რწევარწვევითა და გაურკვეველი სიტყვების დუდუნით ოთახში სიარულს მოჰყვა.

რძალი გაშეშებული იდგა და დედამთილს თვალს არ აცილებდა.

რამდენიმე ხანში ბავშვი მიყურდა. მოხუცმა იგი საწოლზე დაანვინა, ზენარი გადააფარა და სახეზე მადლიერებააღბეჭდილ რძალს მიუბრუნდა.

– რამდენჯერ გითხარი, დედა, რო ასეთ დროს რიდი და ლოდინი არ შეიძლება. ამისი ტვინი ხომ ასეთ თაკარას დიდხანს ვერ გოუძლებს...

– რა ქენით? – მოესმა მოხუცს ვაჟიშვილის ხმა.

– ჩვენი ნამლით ვუაქიმე, საყმანვილო-სიც შოველოცე. სიტხე მალე დოუფარდება, ძილში გამოშუშდება, მარა ექიმი მაინც უნდა მევიყვანოთ...

– ექიმს ფული რო უნდა?

– ვინ თქვა, არ უნდაო?

– რაფელ მევიქცე არ ვიცი, მთელი სოფელი რო შამეირბინო, კაპიკს ვერ იშოვი.. გოგისთან ხო არ გადავიდე?

– მეც ეგ ვიფიქრე, პენსიის მოტანას თუ ველოდეთ, დაგვაბერებენ კიდეც, მარა, მირჩენია თითონ ნევიდე.

– ვითამ, რატო შენ?

– ყველაფერი გამიშვით და გამოშვითზე რო მიდგეს, მერე?

დედა-შვილმა უშფოთველად მძინარე პატარას დახედეს და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ.

– კაი... ნადი და იმას უთხარი, რო...

– თითონაც ვიცი, რაც უნდა ვთქვა. ორი თვეა, ჩვენთან ფეხი არ დოუდგია. ნეტა რამე ხომ არ მეინია, ასე მიდღემჩი არ უქნია. ფული ყოველთვის დროზე მოქონდა...

– შენი გულკეთილობით სარგებლობს დედა და ეგაა.

– გულკეთილობა გულკეთილობათ, მარა, ჩემს ნანვავ-ნადაგს ასე მოტყუებით ვერავინ ნამცინცლავს. ახლა, ის ფული რომ მოქონდეს, ნიკას ექიმსაც მოუყვანდით და პანა სულსაც მევითქვამდით, მასხრობა არი ას ოცდაათი ლარი?!..

– აპა, ორმოციო?! – გაიოცა შვილმა. მოხუცმა მას მზერა მოაჩინა.

მრავალკოთხედი ერთი

– მაცალეო, მეხვეწებოდა და ვაცლიდი. რავა გგონია, იქიდან თითონ რას გამორჩებოდა, წველაზე ჰა-ჰა, ორმოც-ორმოცდაათ თეთრს, – სიცრუეში გამოჭერილი უწლოვანი გოგონასავით ნაჩქარევად დაამატა მოხუცმა.

– ფული თუ არ მოქონდა, მაინც რაღას ატანდი?!..

– გითხარი, მეხვეწებოდა, მპირდებოდა, ერთბაშად დაგიბრუნეფო.

– რისი დამბრუნებელია, დედა, ეგ გაღლეტილი გოგია?

– მატყუებდა ვითამ?!

– რა გამოდის, აპა?!

– არა მგონია, თლათ მასე ნამხთარიყო. ჩემს სიძეს, შალვას, სულ საამაყოთ ქონდა მისი სულგანათლებული დედ-მამის მოყვრობა. მაგათ პატიოსნებას ყოველთვის შეიძლება ენდოო, იჩემებდა.

– როინდელ ამბებს ყვები, დედა თუ იცი?!. თვალი გაახილე, ვერ ხედავ, ორი გროშის გულიზა ოჯახებს რომ იკლევინ?..

– ვხედავ, შვილო, მარა, რაფელ იცხოვრეფ თუ აღარავის ენდევ...

– რა ვიცი... ნდობა კაია, მარა!

– მაინც საიდან, ასეთი უმადურობა, არ ვიცი? მამაშენის შემდეგ სამეზობლო-სანათესაოს ხელი რო არ მეემართა, თქვენს გზაზე დაყენებას შევიძლებდი?!

– მე იმის თქმა კი არ მინდოდა!..

– კაი, კაი, სათქმელს რო შეეყვით... ახლავე გევეწმადებდი, თქვენ აქაურობას მიმიხედეთ, – განაწყვეტინა ქალმა და კიბისკენ გაემართა.

ცოტა ხანში, გამოკოპნიავებული მოხუცი ჭიჭიროსკენ მიემართებოდა. ის იყო, ეზოდან უნდა გასულიყო, რომ სახლის მეორე სართულის აივანზე ხუთიოდეწლის ქერათმიანი გოგონა გამოიჭირა.

– ბებია, მეც წამიყვანე, რა! – დაიყვირა, კიბე ჩაიბრინა და ტირილით გაეკიდა მოხუცს.

– ნათია, დაბრუნდი, ბებია საქმეზე მიდის! – დაუძახა გოგონას მამამ. ბავშვმა ყურით არ ათხოვა, ბებიას მიეჭრა და კაბის კალთაზე ჩამოეკონჩინა.

– მეც წამიყვანე, რა! – ისევ შესტირა მოხუცს.

– უი, შენ შამოგველოს ბებიაშენი! – მიესიყვარულა მოხუცი, თეთრი ნაჭრით თავმოკრული მომცრო მწვანე ვედრო ძირს დადგა, ბავშვი აიტაცა, სახე დაუკოცნა და ჩაიხუტა.

ბავშვის მამა მათკენ გაემართა.

– სად მიდიხარ, ბებია?! – იკითხა გოგონამ.

– მოსკოვში! – დასცდა ბავშვის სიჯიუტით გაღიზიანებულ მამას.

– მეც წამიყვანე რა, ბებიო, მოსკოვში!

– ვერა, ბებიო, დეილღები, შორია, – ბავშვის დაყოლიებას შეეცადა მოხუცი.

– შენთან ერთად არ დევილღები, წამიყვანე რა, ვედრას მე წამევიღებ და სუ ასკინკილით ვივლი! – ჟინიანობდა ბავშვი. ბავშვის მამა შედგა და ღიმილით მიაჩერდა ორივეს.

– კაი ახლა, სოფელს ნუ შემიყრი ბებია!..

– ვედრასი რა გაქ, დედა?! – ჰკითხა უეცრად შვილმა მოხუცს.

იგი შეკრთა. ბავშვი ძირს ჩამოსვა, ვედროს ხელი შეავლო და თავისკენ მისწია.

– ცოტა ტკბილისკვერი და ორი წველა ყველია, აპა, ხელცარიელი ხო არ მივადგები იმ გაჭირებულებს...

– ვალის დამბრუნებელი ხარ ახლა შენე? – მოჩვენებითი ბრაზით ჰკითხა შვილმა.

– ვალი ვალათ, ეს ორი წველა ყველი და ტკბილისკვერი კი მის ბოვშებს...

– მისი ბოვშების ჯავრი არ გასვენებს მაინც...

– კაი, დედა, იმ გაჭირებულებს ამ ერთ ფინჩხა ყველს ნუ დაამადლი ახლა!

შვილი კიდევ რაღაცის დამატებას აპირებდა, მაგრამ დედის სიტყვებმა გზა მოუჭრა, მოტირალი გოგონა აიტაცა და ჩაიხუტა.

– შენ ხო ჭკვიანი ბაჭია ხარ, აი, ნახავ, ბებია მალე დაბრუნდება, – დაუყვავა და გოგონა სახლისკენ წაიყვანა.

მოხუცმა შვებით ამოისუნთქა. ვედროს თეთრი ნაჭერი თავზე გულდასმით მოუსწორა, ჭიშკარში გავიდა და გზას დაადგა.

ეზოს კარგა მანძილზე რომ გასცდა, კუდბუთქუნა, ყლალი ფერის ძალდი აედევნა.

– ჯეკა, ახლავე დაბრუნდი სახში! – შეუწყრა მოხუცი.

ძალდი შედგა, ჯერ სახლის გზას გახედა, მერე მობრუნდა, მოხუცს მიუახლოვდა და ლაქუცი დაუწყო.

– შენდა მაკლტი ახლა! – უსაყვედურა მოხუცმა.

ძალდი საბრალო გამომეტყველებით მიაჩერდა.

– კაი აპა! – დათმო მოხუცმა.

ძალმა ომახიანად შეჰყვავა, კუდი დააბათქუნა, წინ გაიჭრა და მოხედა. მოხუცს გაეღიმა. ძალის დამწვევი ან გამსწრები სად იყო, მაგრამ ამ სულიერს მასზე ასეთი წარმოდგენა რომ ჰქონდა, ესეც დიდ ნუგეშად მიიჩნია.

– ამ დილაუთენია საით, ბაბილინა? – მოესმა ნაცნობი ხმა.

მარჯვნივ დადგის მწვანე ტოტებმა გაიშრიალეს. აკაციის სარებს შორის ძონძროხა ქალი დალანდა.

– გალმა, გოგისთან, პანია ბიჭი ავით გაგვიხდა, სახში გახვეტილი გროში აღარ გვიგდა და, იქნება რაცნა გამეიმეტოს-თქვა.

– რას მეუბნები! ამ არგასანყვეტ ხბოებს გადავდენი და ბოვშსაც შავხედავ... ისე, გოგის თამარამ შამოთვალა, ვალს როის დაბრუნეფ, წელიწადი გადის, არ მალისე-თქვა. იმ აღმართზე ჰლოტიალი სა შემიძლია, მუხლები თლათ დამეხუთა, გოგია აქეთ არ ჩამოშავდა და ქენი სიკეთე, უთხარი, ასეა მაგის საქმე-თქვა...

– აუცილებლათ ვეტყვი, – დააიმედა მეზობელი.

– მეტი არ იქნა ჩემი მტერი, რო მაგან ამდენი ვალი ერთბაშათ გეისტუმროს. ამბობენ, ნახევარი სოფლის მაინც მართებს, ან რით აპირებს ყველას ერთბაშათ

გასტუმრებას, არ ვიცი!.. – ესმოდა თავის თავთან ხმამაღლა მოსაუბრე მეზობლის დუდუნი, სანამ შუკაზე გადაუხვევდა.

– იქ გზა ორად იყოფოდა: ერთი „ეკლებში“, მოკლებზე გადიოდა, ხოლო უფრო შორი, წყაროსთან. „ეკლებში“ სიარულს წყაროსთან ჩამუხლავდა და ცივი წყლის დალევა ერჩია. წინ მიმავალი ძალდი წარამარა ყურებს ცქვეტდა, ჩირგვებში მოფრთხილავ ჩიტებს ყვეფით აფრთხობდა, ჩერდებოდა და მოხუცს კმაყოფილების ნიშნად ამოხედავდა ხოლმე.

წყაროსთან შეისვენეს, ცივი წყალიც იგემეს, შემდეგ ბოგირი გადაიარეს და მეზობელი სოფლის აღმართს შეუყვინენ. მოხუცი სვენებ-სვენებით მიაბიჯებდა. საცალფეხო ბილიკი შუკას რომ გადაეხდა, სახელდახლოდ გამართულ ძელსკამზე ჩამოჯდა. ძალდი მის ირგვლივ მოუსვენრად წრიალებდა, პატრონის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა, მერე გაიქცა და მათკენ მომავალ, ჯოხზე დაყრდნობილ ბერიკაცს ყვეფით შეეგება.

– ჯეკა, მოდი ჩემთან! – მიიხმო მოხუცმა და ძალდის ყვეფაზე შემდგარი ბერიკაცი გაამხნევა, – ნუ გეშინიათ, ბატონო, არ იკპინება!

ძალდი მოხუცისკენ გამოემართა, შორიხლოს შედგა და ბერიკაცს უნდობარი გამომეტყველებით მიაჩერდა. ბერიკაცი ძელსკამს რომ მიუახლოვდა, სახე მოიწრდილა და მოხუც ქალს დააკვირდა.

– ბაბილინა ხარ შენე? – დაეჭვებით ჰკითხა.

– გახლავარ, – დაუმონმა მოხუცმა და შავებში გამონყობილი, ტანთხელი ბერიკაცი ყურადღებით შეათვალიერა.

– უი, დუხუნა! რავა გიკითხო, შენი ჭირიმი, რამდენი ხანია, რაც შენთვის თვალი არ მომიკრავს... ისე, ძან კი შეცვლილხარ. თითონ რო არ გამომცნაურე-მოდო, ქე ვერც გიცნობდი! – შეიცხადა მოხუცმა ქალმა, წამოღება, ბერიკაცს მიეგება და ხელი ჩამოართვა.

– შენ ისევ ისე გამეიყურები, ვითამ წლები არც შეგხებოდეს, – მომღიმარი სახით დაამატა ბერიკაცმა.

– რას შობი ჩემო დუხუ, რავა გყავს ცოლ-შვილი, – სიტყვა ბანზე აუგლო მოხუცმა ბერიკაცს.

– ვწვლობთ მე და ჩემი დედაბერი! ახალგაზრდებმა გუდა-ნაბადი კაი ხანია აიკრეს. ზოგი საზღვარს იქითაა, ზოგიც ქალაქში. რავარც ახერხებენ, ხმას გვანვდენენ და ვართ ასეთე... შენ ის მითხარი, თითონ რავა ხარ? შენც ხომ არ მიგატოვეს შევლებმა?!

– ეჰ, რალა გითხრა, ჩემო დუხუ, უნცროსი ბიჭილა შამომრჩა. იმასაც თვალს გაქცევაზე აქ. უმადლესი სოფლის ტლახის სახელად დამამთავრებდიო? მსაყვედურობს. სამსახურში შეამცირეს, ქალაქში არსებობაც ხო უნდათ?.. სხვებს კილო, შემოდგომამდე არც ველოდები, აქ დასვენებას არ კადრულობენ. თითქოს აქაური არც ჰაერი იყოს მარგებელი და არც წყალი.

მოხუცი შეეყვინდა და მათ ქვემოთ გადაშლილ, სიმწვანეში ჩაფლულ, მთებით შემოგრაგნილ თვალწარმტაც ველზე გაშლილ სოფელს გახედა.

– მითხარი ერთი, აქაურობის პატრონი სხვაგან უნდა გარბოდეს?..

– შენ ჩვენსას უნდა ნახო, დედაბუდინათ ისე გეიკრიბნენ, გეგონება, აქაური მინა გაბელნდა და მათ რჩენაზე ხელი ეილო. ამბობენ, ბევრი უცხოეთში გადაეხვენა, რალაც გროშების ფასად, საბერძნეთსა და თურქეთში აქ რო არც იკადრებენ, ისეთ სამუშაოზე ყაბულდებიანო.

– ეს მინა მიდღემჩი რამდენ ხალხს ინახავდა. რა მოხდა, ნეტა, რატო არ უჩერდებოდა აქ გული. რავა, მარტო სხვისი ბედნიერების ცქერაში უნდა ვიყვირო, სხვისი ნასუფრალით ვარსებობდეთ?.. ამას წინათ სალაციდან ჩამოსულმა მეზობლის ბიჭმა მითხრა, იქაურს არც წყალს, არც პურს და არც ხილს ნაირიანი გემო არა აქო... სასწაულია პირდაპირ, უცხოეთში მოსახვედრათ მაინც რამდენს წვალობენ.

– ეტყობა, გადაგვარდა ჩემო დაია ქვეყანა, – ხელის ფშვენებით უპასუხა ბერიკაცმა და დაღონებული სახით გორაკებზე შეფენილ სოფელს გახედა. გახსოვს, ეს გორაკები რავარი ვენახებით იყო დაფარული? იმ კარ-მიდამოებში რახანია

►► 80-11 გვერდიდან

სულიერს არ გოუჭაჭანია. ეზოებში თითო-ორი საუკუნეგამოყრდილი ცაცხვი თუ მუხაბა გაბარჯული, ეს არი და ეს. მითხარი, დავარდნილი მოხუცების ამარა დარჩენილი სოფელი, სოფელია?! ნეტა რას უყურებს ეს თავრობა. თუ ასე გაგარძელდა, ამ არე-მარეს უცხო ხალხი დაეპატრონება. ამასწინებზე შვილიშვილმა მითხრა, სადღაც, ცხრა მთას იქით, გადოუნყვევით, საქართველოში მოსახლეობა უნდა შეამცრონ და ამიტომაცაა, თავრობამ ყველაფერზე ხელი ეილოო.

– ღმერთო, წუ მინყენ და, იმ დღეს წუ მოსწრებია წურც ერთი თავრობა!

– ამინ. მეც მაგას ვჩივი. მეზობლები ოუხირდენ ბიჭს, რავა ჭორებით გამოგვიჭედე ყურიო, მარა, რო დოუკვირდე, ქე გავს სიმართლეს... ის თავრობა რა თავრობა არი, დაპირებებსა და ქადილს რომ ვერ გაცილდა. ა, ბატონო, თვალი მოაფრე ჩვენს სოფელს და თქვი, პატრონის ხელი თუ ატყვია...

– შენ თუ გგონია, ჩვენთან უკეთესობაა...

– ვიცი, ჩემო იმანო... ისე, კაი დროისაა, მარა, აქეთ საით გავინვივია.

– საქმე მაქ გოგიასთან.

– გოგიასთან?! – დაეჭვებით იკითხა ბერიკაცმა, – რა საქმე უნდა გქონდეს მაგ დოყლაპისთან. ჩვენთან რო შამოვილიდე, კაის იზამდი. აგერ, უშობელი მყავს აქანა საბალახოთ, გამოვდენი და ამ წუთში გვახლები.

– ნამეტანი მერქარება, ჩემო დუხუ... – მინადორას ძან გაახარებდი.

– სხვა დროს იყოს, მინადორა მომიკითხე. გოგიას ცოტა ვალი აქ დასაბრუნებელი, და...

– რა ვალის დამბრუნებელი არი ეგე ჩემო დაია!

– ვითამ არ ღირს, დავბრუნდე?

– არა, დაბრუნებას ვინ ჩივა, ერთი ქე უნდა შეაჯანჯლარო ის ლენჩი...

– წვრილშვილის პატრონია-თქვა და...

– ე, მაგითი დეიხვია თითზე თელი სოფელი...

– რავარც ვხედავ, არ ღირს, მარა, სხვა ჩარა რო არა მაქ?

– უსათუოთ მიდი, ამხელა გზა ტყვილა ხო არ გამოგივლია.

– კაი, ჩემო დუხუ, რისი დამბრუნებელია, იმას მაინც ვერტიყოფ, – უპასუხა მოხუცმა ქალმა ბერიკაცს, დაემშვიდობა და შუკას აუყვა.

ეკალ-ბარდით გადავილი ეზოებს თვალს არიდებდა. ამ ეზოებიდან ძაღლის ყფაც კი არ ისმოდა. ადამიანთაგან დაცული სოფელი გამოციებულ სასაფლაოს აგონებდა.

„ნეტაი შინ დავტყულებიყავი, ვითამ ამათი სიდუხჭირის ნახვა მაკლტა, მარა ჩემი პანია ბიჭი, ჩემი თვალის ჩინი ავათ რო მყავს? იქნება ამ გოგიამ ორი გროში გემეიმეტოს და ბოვს ექიმი მაინც მოვუყვანოთ...“ – ფიქრობდა მოხუცი.

გოგიას სახლ-კარი რომ გამოჩნდა, რატომღაც იმედი მიეცა, რომ ამოდ არ დამშვრალა. ფეხს აუჩქარა. ჭიშკართან მისულმა მისი ეზო-ყურე ყურადღებით მოათვალიერა. წარსულში მამამისის მიერ ლაზათიანად გამართულ აგურის ორსართულიან სახლსა და წინა ეზოს მოვლა-პატრონობა ეტყობოდა, თუმცა ვაზნარი და საყანე სარეველით იყო გადავილი. ეზოში ფრთაშეკვეცილი ორი ვარია დაკინკილებდა. ჭიშკართან სკვინჩისდარი ჭრელი ლეკვი კუდის ქიცინით მიმობოდა.

– მაინძელო! – დაიძახა მოხუცმა და სახლის დაგმანულ კარებს მიაჩერდა.

გამეორება არ დასჭირვებია. ლაფაროდან მომცრო ტანის დედიშობილა ბიჭი გამოტანტალდა, ცალი ხელისგული სარცხვილზე აიფარა, ჭიშკართან მდგომ მოხუც ქალს და ძაღლს თვალი შეავლო და კარებში გაუჩინარდა. წამში კარი გაიღო და სხვადასხვა ასაკის ოთხმა, თითქმის ტიტულიკანა ბიჭმა გამოიხედა. ერთი ისევე შებრუნდა. ბიჭები ადამიანის უნახავებზე შეჭყურებდნენ ჭიშკართან მდგომ ძაღლს, რუხი ფეხის თავსაფრიან, კოპლებიანი კაბით შემოსილ სანდომიან მოხუცს, ხელში ლამაზი მწვანე ვედრო რომ ეჭირა, ხოლო კუდებუთქუნა, ყვალვი ფერის აცეტებული ძაღლი ეზოში მოკინკილე ვარიებზე ინევიდა და ჭიშკარს ამაოდ აწყებოდა.

– ბოვშეხო, გოგია სახშია? – ჰკითხა მოხუცმა ბიჭებს.

– კიე! – დაუმონმა მათ შორის მაღალმა.

– უთხარით, გალმიდან ბაბილინა მევიდა-თქვა.

– მობძანდით, მამიკო ახლავე გამოვა, – შეინვია მოხუცი იმავე ბიჭმა.

როგორც კი მოხუცმა ჭიშკარი შეალო, ძაღლმა იხელთა და ვარიებისკენ გაქანდა.

– ჯეკა, ჩემთან! – მკაცრად შესძახა სტუმარმა ძაღლს. ისიც შედგა, პატრონს გულდამწყვეტით ახედა, მისკენ ნაცემივით გაემართა, ჩაიმუხლა და წკმუტუნით მიწას გაერთხა.

ბიჭები თვალდაჭყეტილები შეჭყურებდნენ ეზოში მდგომ ამ უცნაურ მოხუცს და მის ფეხთით მოწკმუტუნე ძაღლს და, ალბათ, დიდხანს იქნებოდნენ ამგვარად გალურსულები, კარის ჭრიალისთვის ყური რომ არ მოეკრათ.

– იმე, ბაბილინა, ამხელა გზაზე რავა შენუხებულხარ. შამობანდი ჩვენს ქოხში, შენი ჭირიმე! – მოისმა კაცის არაბუნებრივად მიკნავებული ხმა, მერე თვითონაც გამოჩნდა: საშუალოზე მაღალი, უზომოდ გაჩხინკული, თავზე თმაშეთხელებული, წვერგაუპარსავი, ერთიანად გარუჯული, მარტო თვალბად ქვეული კაცი, რომელსაც არც ახალგაზრდა ეთქმოდა და არც მთლად ხნიერი. მუხლისთავებზე დაკეცილებული, რეცხვისაგან გაუფერულებული შარვლის ტოტები კოჭებამდე უწევდა, ფეხები დამსკდარ ბოტასებში ნაყყო, მის შესაბრაღის გარეგნობას კი რუხი ფერის შელანძილი პერანგი აგვირგვინებდა.

მოხუცი ქალი დაკვირვებით მიაჩერდა დამხვდურს.

ძაღლს კუდის ქიცინი და წკმუტუნის შეწყვიტა და კისერმოღრეცილი, გალურსული შეჭყურებდა კარებში მდგომ ამ მოჩვენებას. უეცრად წამოიჭრა და თითქოს პატრონის ავი სულისაგან დაცვა სურდა, ორჯერ დასაქქა და მუქარით დაიდრინა.

– ხმა ჩინყვიტე! – დაუცაცხანა მოხუცმა.

ძაღლი ჩაცუტქდა, მორჩილად მიწას გაერთხა და სახეზე გაცეცხისმაგვარი გამომეტყველება შეეყინა.

კაცი წელში მოიხარა, მიეახლა სტუმარს, ხელი ჩამოართვა და ნაბიჯით უკან დაიხია.

– რატო ვდგავართ აქანა, სახში შამობანდი, ჩემო ბაბილინა! – შეიპატიჟა.

– ბოვშეხო, მოდი თქე! – მიიხმო მოხუცმა კარებთან ატუხული თვალბადაჭყეტილი ტიტლიკანები, – ა, ეს თქვენ, – მიანოდა ვედრო, – მანდ ცოტა ყველი და ტკბილისკვერებია. ჭიქა წყალი მომიტანეთ, აგერ ჩამოვჯდები და ამევისუნთქავ პატარას, თუარა, ამ აღმართმა...

– ე, მაგას ვჩიოდი ბაბილინა, ამ აღმართზე აქოურებსაც ქე გვიჭირს ბობლვა. ისე, ხვალ-ზეგ კი ვაპირებდი თქვენთან, აპა?

მის სიტყვებზე სტუმარს იმედი მიეცა და ტყუილა როდი მოვსულვარო, თავი გაიმხნევა.

ბავშვებმა ვედროს ხელი დაავლეს და ყრიაშულით გააქანეს სახლისკენ. მერე მობრუნდნენ, ცაცხვის ჩრდილი სკამი დაუდგეს, ჭიქით ცივი წყალიც მოართვეს, მოშორებით დადგნენ და ტკბილისკვერების ჭამაში გართულნი მათ თავზე ასე მოულოდნელად დატყვილი სიხარულის მომტან მოხუცსა და მის ქანდაკივით გატრუნულ ძაღლს თვალს არ აცილებდნენ.

– მე კი დაგასწარი და... – აპა, ეგა თქე! ისე, ჩემი ბაღნებიზა რავა შენუხებულხარ, მადლობა მომიხსენებია ჩემო ბაბილინა, ღმერთმა ქნას, რომ ეს პატივისცემა ერთიანად გადემეხადოს... – არ ცხრებოდა მასპინძელი.

– ეგ რა სახსენებელია, შე კაი კაცო. შენ ისა თქვი, რავა ხართ, რავა მიგდის საქმე... ა, ახლა მოგვიკითხავს ან ახლაო, თავს ვიიმედებდი, მარა... მეზობლებმაც შამოგითვალეს, იქნება გვენახოსო.

სტუმრის სიტყვებზე მასპინძელს ნირი წაუხდა. დამნაშავეს იერით თავი ჩაჰკიდა და გაიტრუნა. მოგვიანებით ქვემოდან ამოხედა.

– ცოტაც დამაცადეთ, სულ ცოტაც და, ყველას ერთბაშად გავისტუმრებთ! – წამოიძახა უეცრად, მხრებში გაიმართა და სტუმარი შინ შეინვია.

მოხუცი წამოდგა და რატომღაც ავიწინაგრძობით შეძრული სახლში შეჭყვა მასპინძელს.

* * *

მოხუცმა ქალმა სახლის კარი გამოიჯახუნა. არავის გამოუცილებია. ჭიშკარში რომ გადიოდა, სახლსა და ეზოს თვალი მწყრალად მოავლო, – დაღუპულები! – წამოიძახა, ხელი ჩაქნია და მისი ასაკისთვის უჩვეულო ჩქარი ნაბიჯით გზას გაუყვა.

არსად შეჩერებულა. არც მიტოვებული ეზოებისკენ გაუხედავს, მიწას დასჩერებოდა და გულის კვნესას ძლივს უმკლავდებოდა. ყურებჩამოყრდილი ძაღლი ძუნძულით მიჰყვებოდა. ზოგჯერ წინ გაუსწრებდა, თუმცა, როგორც კი მის გამეხებულ სახეს თვალს შეავლებდა, ისევ ჩამორჩებოდა და ცდილობდა საკუთარი არსებობა არ შეეხსენებინა.

წყაროსთან ცოტა ხნით შეყოვნდნენ. ცივ წყალსა და წყაროსპირა სიგრილეს მოხუცისთვის შეება მაინც უნდა მოეგვარა, მაგრამ, – ეს რა გამიბედა იმ ღვთის გლახამ! – წამოიძახა და ფეხზე წამოიჭრა. ძაღლმა დანაშაულში მხილებულივით თავი ჩაჰკიდა.

– არა, ასე როგორ მეისპო ეს ქვეყანა, კაცი კაცათ არ ვარგა და ქალი ქალათ! – დაამატა და გააღმასებული, სახლისკენ ამაველ შუკას აუყვა.

გადასახვევთან თავმყერილი ახალგაზრდები არც კი შეუმჩნევია. მოხუცის უყურადღებობით უკმაყოფილოებმა თვალი გააყოლეს და მისი სახის გამომეტყველებაზე ერთხმად აყაყანდნენ.

– ბაბილინა, რაიო, გოგიამ?! – გააგონა დაფნის ბურქებს იქით საქმით გართულმა მეზობლის ძონძროხა დედაკაცმა.

– ჭირი და არგადარჩენა მაგას! – მწყრალად შეეპასუხა მოხუცი და ისე წავიდა, არც კი შემდგარა.

– იმე, დაგვიკარქია ჩვენი ფული და ეგ არი! – დაასკვნა მეზობლის დედაკაცმა. იქვე გაიოცა, ამ დარბაისელი და ტკბილი ქალისაგან ასეთი მწარე სიტყვები მისდღემში არ მსმენია, ნეტა რამ უქბინაო, და საქმე ანგარიშშიუცემლად გააგრძელა.

სახლს მიუახლოვდნენ თუ არა, ძაღლი დანინაურდა, მოხუცს თვალი შეავლო, ფეხს აუჩქარა და მაცნესავით ადგილს მოწყდა.

მოხუცი ჭიშკარს რომ მიადგა, ძაღლი ტალავერის ჩეროში, მისი ვაჟიშვილისა და რძლის შორიახლოს ჩაცუტქულიყო და გატრუნული გზას გაჰყურებდა.

ჭიშკრის ხმაურზე ვაჟიშვილი ფეხზე წამოიჭრა, პატარაატატებული რძალიც წამოდგა, ხოლო კნაჭა გოგონა ბებიასკენ გაიქცა.

– ბებიკო, რა ჩამომიტანე მოსკოვიდან?! – შეაგება ბავშვმა.

მოხუცს სახე გამეხებოდა. ბავშვის სიტყვებს მის ყურთასმენამდე აღარ მიუღწევია.

– დედა, რა იყო, ვინმემ რამე ხომ არ დავიშავა?! – აიძახა ვაჟიშვილი.

– წყალი! – ამოიკვნესა მოხუცმა და იქვე ჩაჯდა.

ვაჟიშვილმა დოქით წყალი მიურბენინა.

– სახეზე შემასხი!

– ცივია! – გააფრთხილა შვილმა.

– კაია, კაი! – დაამშვიდა მოხუცმა.

შვილმა წყალი პეშვზე დაისხა და დედას სახეზე შესახურა. ქალს გააჟოფოდა. ზანტი მოძრაობით თავსაფარი მოიძრო, სახეზე ჩამოისვა, ძილ-ბურანიდან გამორკვეულივით ირგვლივ მიმოიხედა და მის წინ ჩამუხლულ შვილს, რძალსა და შვილიშვილებს თვალი მოავლო.

– დოუნია ბოვშს სიტყემ? – იკითხა მოხუცმა.

– თურმე კიჭებს ამოუჭრია, – მიუგო რძალმა.

– რაი, კიჭები?! – სახე გაუნათდა

– ბებიკო, ბებიკო, რა მომიტანე მოსკოვიდან? – სულწასულივით წამოიძახა გოგონამ.

– გადამრევს ეს ბოვში, რა მოსკოვი დეიჩემა! – განყრა მამამისი.

– შენ თითონ არ უთხარი, მაგან რა იცის აპა, მოსკოვი?! – გაიკვირვა მოხუცმა და პატარა შვილიშვილისკენ ხელი გაიხვიდინა.

რძალმა ბავშვი კალთაში ჩაუგორა. გოგონაც მიეტმანა. მოხუცმა ორივე მკერდზე მიიხუტა.

– დედა, დაქანცული ჩანხარ, შინ შევიდეთ და მეისვენე! – მიმართა მოხუცს შვილმა.

– ამათ შამეველოთ ჩემი თავი, ესენი კარგათ მყავდენ და რალა მიჭირს! – უპასუხა შვილს და შვილიშვილები ჩაკოცნა.

– დედა, მაინც რა მოხდა იქ... რაო, გოგია, გავისტუმრებთო? – ფრთხილად ჰკითხა შვილმა.

მოხუცი წამით გაყურდა, მერე შვილს მიაჩერდა და წყრომით თვალი დააკვესა.

– კიო...

– მაინც, როდისო?

– ცოტა მაცალეთ, სულ ცოტა... აგერ ეს ქალი მორჩება, ბოვშს გავყიდით... და ყველას გავისტუმრებთო...

– რაიო?! – წამოიძახა შვილმა და ფეხზე წამოიჭრა.

– ბოვშს გავყიდითო!.. – გაიმეორა მოხუცმა და შვილიშვილები მკერდზე ისე მაგრად მიიკრა, გეგონებოდა მათ წართმევას უპირებდნენ.

– ეს რამ ათქმევინა, კიდე კაი, იქ არ ვიყავი თუარა, ვერ გადამირჩებოდა! – წამოიძახა აღმფოთებული შვილმა.

– ნეტა, კაცი რატომ არა ვარ-თქვა, ვინატრე.

– დალაგებულად მოყვი, რავა იყო.

– რა არი მოსაყოლი, დედა... გინდა თუ არა, შინ შევიდეთ. რა ფარცავიც დამხვდებოდა, ქე ვხვდებოდი და ფეხი უკან მრჩებოდა, მარა უარი ვერ ვაკადრე. მტერს და ავს, რაც მე იქ ნახე... სახლი ერთიანად გამოუსვარსვალეზობათ, თუ რამე საბაკ-ხუბაკი ჰქონიათ, გოუყიდათ და ახლა იატაკზე ყრიან... შამეყვანა ის უბედური დედაკაცი, ფეხზე ძლივს იდგა, თავი ზეით არ ოუნევი, სირცხვილისაგან იწოდა...

– გოგიაი?! –

– არგადარჩენა მაგას! იდგა და კნაოდა, ჩემია და რავარც მინდა, ისე გამევიყენეო... ღმერთო, რამდენს წლობით ენატრება, ხშირათ არც უჩთება შილი. ამ ღვთის პირიდან გადავარდნილს კიდო ერთმანეთზე უკეთესი, ჯანიანები ახვევია და... გავყიდითო!.. დევემუქრე, ამ ამბავს თელ სოფელს მოვდებ და მერე როგორც იკნავლეფ, იმასაც ნახვავ-თქვა.

– მერე, რაიო!

– მუხლებში ჩამივარდა, არ გამამხილო, ჩვენე სხვა გზა არ გვაქო... იმ უბედურმა ქალმა ისე უკვილა არაო! ლამის ჭერი დავგამხო...

– და შენ გგონია, არ ჩეიდენს ამას?

– მთლად მაგდენს ვერ ვფიქრობ, მარა შეიძლება ქალს ვერ მეერიოს...

– თუ მეერია, მაშინ რას იზამ, მართლა საქვეყნოთ გამოაჭენეფ?

მოხუცი დაიხნა. შვილს თვალი მოარიდა და გაიტრუნა.

– სირცხვილია, დედა! – ამოიგმინა კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

– რა არი სირცხვილი, ამის გამხელა, თუ გაკეთება?

– მოგვეჭრება თავი, დედა!..

– მაგისთანებს იმის იმედი აქო, რაც არ უნდა ჩეიდინონ, სოფელი გაუზრმდება.

– იქიდან რო გამევედი, ამაზე ვფიქრობდი. იმაზეც, რა დღეში ჩავცვინდით, ნეტა საითკენ მიექანება ეს ქვეყანა-თქვა... ნეტა ამ უბედურ ადამიანებზე არავინ უნდა იზრუნოს?..

– ბებიკო, ბებიკო, მწვანე ვედრა რა იქნა, მოსკოვი დაგრა? – კაბის კალთა ჩამოქაჩა გოგონამ ბებიას.

– უი, სულ არ დამვიწყდა?! – გაიკვირვა მოხუცმა, – იმ ვედრას შენი ჭირი ნოულაა ბებიკო, ქალაქში რო წავალ, ახალს გიყიდი, ჩემო თვალის ჩინო! – დაუყვავა მოხუცმა შვილიშვილს.

ბავშვმა ბებიას დაპირება მათკენ მომავალ დედას მიახარა. ძაღლი ბავშვის ირგვლივ ყვირით დარბოდა და ელაქუცებოდა.

– რა გვეშველება, დედა? – შეჭირვებული გამომეტყველებით ჰკითხა მოხუცმა შვილს.

– რა ვიცი! სანამ გულშემატიკვიარი და ნამდვილი პატრონი არ გამოუჩნება ქვეყანას, არაფერი.

– როის მერე, ან გამოუჩნება კი?

– რასაკვირველია, დედა.

– იმ ღვთისგარეგან გოგიას თუ დაადგება საშველი?

– უეჭველად.

– შენს პირს შაქარი! – უპასუხა გამხნევებულმა მოხუცმა, წამოდგა, პატარა შვილიშვილი მკერდზე მიიხუტა და გაემართა სახლისკენ.

- მეც ამ სოფელში უკმარობის გრძნობით დავდივარ, გამოგზავნილი მზის ქვეშეთში უფლის თავდებით; ნუთისოფლისთვის დაწერილი ერთი ლექსი ვარ, წამიკითხავენ ლოცვასავით და გავთავადები!

- როგორც ირემს, მთაში გაზრდილს, რაღაც ჩამოაგდებს ბარად, დაფეთებულ გულით დადის და თავს ვერ გრძნობს იგი წყნარად.

მეც ასევე ჩამავაკა, ბარში გზამ თუ ბედისწერამ და დღე ისე არ ჩაივლის, არ გამეცქცეს ცისკენ მზერა...

ისევ მთებში ვხეტილობ და გასაფრენ ადგილს ვზევერა!

მიჭირს

ვასო მაისურაძეს

ვიცი, როგორ ვესაუბრო მტერს, შემოსულს მოყვრის ნიღბით, ან მეგობარს, ან მეზობელს, ვისთან ყოფნაც რამედ მიღირს.

ვიცი ხალხთან საუბარი, ამის ნიჭი ღმერთმა მომცა, მაგრამ მიჭირს სამძიმრის თქმაც, შვილმკვდარ მშობელს ვხვდები როცა...

ამას ვინმე დამიჯერებს?

*„დაცხრი, გულო, –
წასაღები
წაუღია უკვე ძერას!“
მურმან ლებანიძე*

ჩემი გულიც შენს გულსა ჰგავს, დამინდობენ, ძმაო, მე რას? რაც გამაჩნდა წასაღები, ჩემიც წაუღია ძერას!

და ცხოვრება სიტკბოს ნაცვლად, შხამს და მწარე წამალს მანვდის; ყალბ ღიმილს და დაპირებას, არაერთხელ გადავანყდი...

წინ რამდენი საომია, ფიქრს ანონის კაცი მერე? კარგად ვარ-თქო, რომ ვიძახო, ამას ვინმე დამიჯერებს?!

ჩემი გული ხომ ჩემი ნიგნია

ჩემი გული ხომ ჩემი ნიგნია, შემორჩენია სუფთა ფურცლები და ჩემი გზები სადაც მიდიან, გზაა სწორი და გზაა უცვლელი.

და სანამ ჩემთვის ცაზე მზე მზეობს, სუფთა ფურცლებზე რაც გინდათ, წერეთ; ისეთი რამე არ დააწეროთ, ამოსახევი რომ გახდეს მერე!

რადგან ქალაქი ყველაფერს იტანს, ზედ წყევლასა წერ თუ უფლის ლოცვას; მაგრამ გული ხომ, ეს გული, იმნამს, უკეთურობას შეიგრძნობს როცა

ამიჯანყდება ისედაც ბევრჯერ, განამებული დროის ამინდით; მისგან ლაღატი არ ვიცი მე ჯერ, რა, რომ ამქვეყნად ფეხი ავიდგი.

წერეთ სიკეთე, მხოლოდ სიკეთე, რადგან სიცოცხლე სიკეთით ხარობს; ხეზე ჩიტუნა ბუდეს იკეთებს და სიხარულით გალობს და გალობს.

სანამ ჩემთვისაც ცაზე მზე მზეობს, სუფთა ფურცლებზე რაც გინდათ, წერეთ; ისეთი რამე არ დააწეროთ, ამოსახევი გაგიხდეს მერე!

„ჩვენთან არს ღმერთი!“

*სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II*

უნეტარესო, გულზე ხელს გეკიდებ, ლოცვით რომ უხმობთ უფალს საჩვენოს; ეძებთ და ეძებთ, პოულობთ კიდევ, ღვთისკენ სავალ გზას, ერს რომ აჩვენოთ!

თქვენი იმედით უკეთესს ველით, გრაცხავთ მოძღვრად და ერის მესიად; თვითონ დაადეთ წყალობის ხელი, რომ ერი მრუდე გზას ააცილოთ!

თქვენი ლოცვაა დასტური ამის, ამ ლოცვას მრევლის ღალადიც ერთვის; თქმა კურთხეულის და პატრიარქის, აღგვსრულებოდეს: „ჩვენთან არს ღმერთი!“

თქვენს დარგულს უკვე მადლი მოუბამს, თქვენი წყალობით დროს ვეჭიდებით; დიდება, ქრისტეს ენით მოუბარს! თქვენ საქართველოს მუდამ სჭირდებით!

- გავჩნდი ქვეყნად, ვით განგებას სურდა, სამი განცდა დამანათლა დედამ: რომ თან მახლდეს ცხოვრებაში მუდამ,, სიყვარული, სიხარული, სევდა.

მწყინს, ვინც იყო ცოცხლებს შორის გუშინ, ვისაც უკვე ჩემს გვერდით ვერ ვხვდავ; დამრჩა მათგან ჩარჩენილი გულში, სიყვარული, სიხარული, სევდა.

ვშრომობ მკლავით თუ გონების ნიჭით, გვერდით მიდგას პოეზია მწედ, და თავს მახსენებს მე გარეშე იჭვის, სიყვარული, სიხარული, სევდა.

თავს ვიძიმებ ათასნაირ ფიქრით, თვალი კიდევ წინ ბევრ რამეს ხედავს; აქ დავტოვებ, როცა წავალ იქით, ჩემს სიყვარულს, სიხარულს და სევდას.

შემოდგომა


ხევს ნიავე ნისლით ავსებს, ხე იცლება ფოთოლ-ფოთოლ; წვიმს, ბუხარი თავს იფასებს, სადაცაა, ალბათ, მოთოვს.

ფერგადასულ მთებს და გორებს, მინდა ისევ გადვურბინო; დრო თავის თავს იმეორებს და ქვევრებში ბორგავს ღვინო.

ტყე დატოვებს მგალობელთა, არე-მარე დარჩათ ქარებს; ქალს მაგონებს შემოდგომა, ლამაზ, მაგრამ სევდანარევს!

გიორგი XI ღალატით სიკვდილი

დრო დროს ჰგავდა, როგორც წყლის წვეთს, წყლის წვეთი; არ ვკარგავდით ხალისსა და სილაღეს, ხან პროკრუსტეს სარეცელზე ვინექით, მაგრამ მაინც ვერ წავგვართვეს სიმაღლე.



შოთა ტობონია

იქ, სპარსეთში, შაჰ-აბასის ნაშიერს, ბედს რა ვუთხრა, მტერს მტრებს ვუგერიებდით, უქარქაშო ხმლები არ მოვამშვიეთ და დიდების მწვერვალამდეც მივედი.

მაგრამ მთებზე როცა ცხელი მზე იწვა, მირ-ვეისის ლალატისგან ძლეული, ჩააცივდა ავღანეთის ცხელ მიწას ქართლის მეფის გოლიათი სხეული.

ვერ ვისწავლეთ დღემდე, ვისაც ვენდობით, ის გვღალატობს, ველარ მივხვდით, ქართველნი?! ახლა ვწვალობთ, ღობე-ყორეს ვედებით, რომ გადავრჩეთ და არავინ გავგეთლოს!

თავს მაინც ჩათვლის მეფე-არწივად

ვაი, თუ გორმა ველარ იგოროს და რუსის ტანკმა ისევ იგოროს.

ველარ ვცნობ ტყვიავს, ეს გრაკალია? შემოგვსევია მტერი კალიად.

არეულია შავი და თეთრი, ვატყობ, გვინყრება ქართველებს ღმერთი.

ქართლში ტოროლა ისევ ცას უტევს, მაგრამ ვერ ვუძლებთ ჭირ-ვარამს უტევს.

ხომ მიაღწია ამ რუსმა მიზანს, არავინ იცის, კიდევ რას იზამს...

ეს კი იძახის, გავიმარჯვეთო, მტერს ვინ დახვდება ასე მარჯვეთო!

მაგრამ შენ ნახე, აწი რას უზამს ქვეყანას, თუკი მოუვა მუზა

ამ კაცს და ვიცი, მამულს განირავს, თავს მაინც ჩათვლის მეფე-არწივად!..

მამის შებონება

მითხრა მამამ: რჩევა არ გეწყინოს, გქონდეს ნიჭი გზის და თავის მართვის, არ ეომო არაყსა და ღვინოს, ჯერ არავის უჯობნია მათთვის.

და იცოდე ზომა-წონის ფასი, დაიხსომე, ლხინთან ჭირიც ხშირობს, ჭაბუკობით აცდენილი ყანნი, სიბერეში გაქეიფებს, შვილო!

საზოგადოებაში ხშირად გვსმენია: „ასე გაუსაძლის პირობებში მყოფ მხატვარს, რატომ ილიამ მაინც არ მიაქცია ყურადღება, ის ხომ თავისი დროის ერის მამა იყო“. მინდა შევნიშნო, რომ ამგვარი საყვედურები უსაფუძვლოა დიდი მწერლისა და მოღვაწის მიმართ.

საეჭვოა, რომ ილია ჭავჭავაძეს იმ დუქნებთან, რომლებიც მხატვრის მიერ იყო მოხატული და სადაც ნიკო ფიროსმანაშვილი ტრიალებდა, რამე საერთო ჰქონდა. 1913 წლიდან, როცა მხატვრის სახელი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, ერის მამას სამშობლოს მტრების ტყვეობით სიცოცხლე მოუსპეს... რაც შეეხება ნიკო ფიროსმანაშვილს, მართალია, ილიასთან ახლო ნაცნობობა არ ჰქონდა, მაგრამ კარგად იცნობდა მწერლის შემოქმედებას, როცა 1916 წელს მხატვარი საზოგადოებაში მიიწვიეს, მან განაცხადა: „მე პატრიოტი ვარ, მე ვიცი ჩემი სამშობლოს ისტორია, ვიცნობ შოთა რუსთაველის პოემას, ვიცი და მიყვარს აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე. ვაჟა-ფშაველა. მე მათ ჩემებურად ვხატავ, სხვები იცინიან. იცინონ, რამდენიც უნდათ, მე ჩემი გზა მაქვს“. რა თქმა უნდა, ამ ფრაზაში პირად ნაცნობობაზე არ არის საუბარი, არამედ შემოქმედებაზე და ამაში ნათლად დავრწმუნდებით, თუ მხატვრის შემოქმედებას საფუძვლიანად გადავავლებთ თვალს. თავის დროზე ღირსეულმა პოეტმა ტიცინ ტაბიძემ განაცხადა: „ფიროსმანი ილუსტრაცია იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა, ნიკო ფიროსმანის

თანასწორი ნება ამ თვალუნდენელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაენწყობა?.. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიო. კაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ. ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერაც გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადაუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოკ-

ვდაც გადაექცნენ. უნდა ჰნახოთ, ის ამაყი, თავისუფალი ნადირი რა-რიგად უღრტინველად და მშვიდად კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლევო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ადგილი მეჭირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს, მანამდინ დედამინა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა და როცა შეიშრობდა, მეც კი მომაგონდებოდა,

ანერდა თავის ნამუშევარს თარიღს. ამათგან ერთ-ერთი გამოჩინების გახლავთ „მონადირე“, რომელიც 1907 წლით არის დათარიღებული. ეს წელი კი მეოცე საუკუნეში ავბედით მეკვლესავით მოველინა საქართველოს და მტრის ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს ის, ვინც საქართველოს მოჭირნახულე იყო. ამ ამბავმა ხომ მთელი საქართველო შეძრა. აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟამ თავისებურად დაიტირეს ერის მეზაირახტრე...

ფიროსმანსაც თავისი გამოსათხოვარი სიტყვა თავისი ფუნჯით აუმეტყველებია და, როგორც ზემოთ შევნიშნე, სწორედ 1907 წელს შეუქმნია ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი „მონადირე“ (მუშაბა, 140X103), რომელიც ეკიდა ბეგოს დუქანში, მოიხია დ. კაკაბაძემ, შემდეგში ეკუთვნოდა ი. მაჭავარიანს; ახლა დაცულია აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. სურათზე იკითხება უღრანი ტყე. ტყის ფონზე ირემი, ხეებს მოფარებულია მონადირე თოფით, რომელსაც ბუნების ლალი შვილი დაუჭრია და სისხლი სდის ჭრილობიდან (მხატვარმა ამ ფორმით დაიტრია ერის მამა. თან მარჯვნივ ქვედა კიდეში საგულდაგულოდ მიაწერა 1907 წ. და სურათის სახელწოდება „მონადირე“).

ეს შესანიშნავი ნამუშევარი შეიქმნა ილიას „გლახის ნაამბობის“ მიხედვით. თან საგულდაგულოდ წარმოაჩინა ის ავბედითი თარიღი, როდესაც ერის მოამაგე, ქართველი ხალხის გადარჩენაზე მზრუნველი, წმინდა ილია მართალი საქართველოს მტრის მარჯვნივით გასროლილ ტყვიას ემსხვერპლა.

ანზორ მაქლარაშვილი
ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი, დიმიტრი ყიფიანის პრემიის ლაურეატი, კულტურის დამსახურებული მუშაკი

ილია და ფიროსმანი



საღებავები იძლევა იმას, რასაც ილია იძლეოდა ძლიერი სიტყვით“.

1907 წელი საქართველოსთვის მეტად მძიმე იყო; სამშობლოს მტრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს წმინდა ილია მართალი, დააობლეს ისედაც დაობლებული ერი. ბაგრატიონების შემდეგ საქართველოს ისეთი გულმზურვალე ჭირისუფალი აღარ გამოსჩენია, როგორც სამშობლოს უგვირგვინო მეფე, დიდი ილია იყო. მისმა სიკვდილმა მთელი საქართველო შეძრა, ვისაც როგორ შეეძლო, ისე დაიტრია ერის მამა.

ამ შემზარავ ამბავს გულგრილი ვერ შეხვდებოდა ნიკო ფიროსმანაშვილი და მან მართლაც თავისებურად დაიტრია „ერის გულდამწვარი ჭირისუფალი“... ალბათ, ცრემლიანი თვალი ერთხელ კიდევ გადაავლო მწერლის შემოქმედებას და „გლახის ნაამბობზე“ შეჩერდა. კერძოდ, იმ ადგილს ჩაუღრმავდა, სადაც მწერალი ნადირობის მომენტს აგვიწერს. თავს უფლებას მიეცემ და იმ ადგილის ვრცელ ამონაწერს შევთავაზებ მკითხველს, რათა მან შეძლოს, შეადაროს მხატვრის ნააზრევს.

„მე, სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ. საკვირველად მიყვარს დაბურულს, ხმაგაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულის გულისცემით ლოდინი ნათვალევის ნადირისა. არის რაღაცა მოუწყინარი სიამოვნება იმ ხალხიან გართვაში. თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანახადია, ყველას აქვს

ყვეს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის სანყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძალზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდანვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურმახვილ მონადირესა; ესმის და მისი მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენლობისა გამო. აი, მოვიდა თოფის მანძილზედა, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი დაღონებული, ნაღვლიანი თავი, ძაღლი დაუახლოვდა. იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, ავიქცევს გზას და მიეცემა საყვარელის ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა, მაგრამ არა, – დაუშტვენ. მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა-რიგ საოცარ მშვენიერებით იღერებს კისერსა, რა გაფეთებით და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის თვალევის ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით სუნის აღებასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და იმ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყიცაა, რომა გგონია, რაც ბუნებისაგან მიჩიქებული მაღლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთით და სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო! მაგრამ კაცის სუნი აიღო, ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალს, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს, რომ სამუდამოდ გამოესალმოს. ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლა-

რომ ჩვენ თითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინი, ჩვენ თითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა, – რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველი კაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია, მაშინვე დამიძინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე, ჩვენ კაცები ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“.

ნიკო ფიროსმანიშვილი იშვიათად

ნიკო ფიროსმანის ფერწერა, მისი თითოეული ფერწერული ქმნილება პოეზიაა, უფრო ნათლად, პოეტური ნაწარმოების შთაბეჭდილებას ახდენს. ასე რომ, მისი ფერწერა პოეტური აზროვნების ნიმუშია. კერძოდ, ამ ნახატის, „მონადირის“ შემთხვევაშიც ფერწერულ პოეზიასთან გვაქვს საქმე. ნიკო ფიროსმანს, რა თქმა უნდა, ნაკითხული ან მოსმენილი (მაინც!) ექნებოდა „გლახის ნაამბობის“ შესავალი, სადაც ილია უწრფელის ადამიანური განცდით აღწერს ბუნების იშვიათი ქმნილების, ირმის, სწორედ ბოროტი და ვერაგი ადამიანის მიერ მოკვლის წუთებს, თუ როგორ ეთხოვება იგი ამქვეყნიერებას. ასე იმსხვერპლეს ილიაც – ულამაზესი, უიშვიათესი და უდიადესი ქართველი ქართველთა შორის – სწორედ ბუნებისა და საქართველოს მტრებმა. ამ სურათზე ირემი – სილამაზისა და

კეთილშობილების სიმბოლო, სწორედ ილიაა, მონადირე კი – საქართველოს სიმბოლური მკვლელი, გნებავთ, იმდროინდელი ინტელიგენტი და, გნებავთ, ბოგანო-უბირი-უვიცი ვინმე. აი, ამგვარია ამ ნახატის იდეური შინაარსი, რომელიც 1907 წელს ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ნიკო ფიროსმანმა შემოგვთავაზა. ამ ნახატს შეიძლება ვუნოდოთ ფერწერული გამოცანა-მეტაფორა, ანუ, პოეტურ-სახისმეტყველებრივი-ფერწერული ტილო... ანუ დიდი ილია მოკლეს, იმსხვერპლეს პატარა კაცუნა მონადირეებმა.

აი, რა უნდა ეთქვა ამ ნახატით ნიკალა ფიროსმანს.
ირემი – დიდი ილია!
მონადირე – პატარა კაცუნა მტრები ილია-საქართველოსი!

თამარ შავლაძე

მინიაცურები

რეჟისორი

რეჟისორი მრავალგვარი ნიჭით ცხებულ კაცია, ვინც დილის მადლს გაცემს ხოლმე საღამო ჟამს. მსახიობივეთ წვერგაპარსული, იგი ხანდახან თვითონაც იქმს სახიობას. ფერმწერია და ფერით არა წერს, კომპოზიტორია და არ თხზავს მუსიკას, პიანისტი, მაგრამ არ უკრავს პიანინოზე, მღვდელია, მაგრამ ეკლესიაში არ ქადაგებს, მომღერალია, ვინც არ მღერის; იგი უფრო კრიტიკოსია, უგვანობის უღმობლად განმაქიქებელი. პუბლიკას მინცივ სულში სწვდება და მის აზრებს კითხულობს, თვით მათ აზრებსაც, ვინც არა ფიქრობს. თავად მფლობელი აზრების დიდი საუფჯისა დიდ საქმეს ეჭიდება და ხვეწს მაყურებლისთვის შეთავაზებულ ყოველ წერილმანს... ვერაფერს გამოაპარებ მის ყოვლისჩამწვდომ, ჩუბინ მზერას – ხედავს უხილავს; მის ყურს სწვდება ამოება კულისებს მიღმა გაჩქამებულ მიეთ-მოეთის. კინოხელოვნებას ჰაერივით სჭირდება რეჟისორი ყოვლისმცოდნე, ყოვლისმხედველი, ყოვლისშემძლე, თუმცა ხანდახან არცთუ გულკეთილი და არც ძალიან სამართლიანი, რამეთუ ადამიანური, ფრიად ადამიანური ფენომენი მისთვისაც აქილევსის ქუსლს წარმოადგენს, ხოლო მარად ქალური მას ჟამი-ჟამ გაიტყუებს ხოლმე იმ სფეროს კერძ, საცა იუპიტერის გარდა ჯერ არც ერთ ღმერთს არ დაუდგამს ფეხი. ■

ჭაბუკი მუსიკოსისა და ტურფა პრინციესა აგზავნი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ჩაუქი ყმანვილკაცი, ჯადოსნურ მევიოლინედ სახელდებული. ოქროსი იყო მისი ვიოლინო – ოთხსიმინი ვიოლინოს პირველი სიმი ფოლადისა ესხა, მეორე – ვერცხლისა, მესამე – ოქროსი, მეოთხე კი ტყის ფერიის ნაზი, ქერა თმის ბუნევი იყო. პირველ სიმზე ხემის შეხება ქარიშხლიანი მეხთა-ტყის დარი იყო, მთებს აზანზარებდა და ბებერ ხეებს აკვნესებდა. მეორე სიმზე ხემის შეხება ჟღერდა, ვით ტყის ბინადარი ჩიტის მოძახილი და ტურფა ასულის ვერცხლისფერი სიცილ-კისკისა. მესამე სიმის ხმინობა, ვით კვირის წარვის უმანკო ზარი და ორღანის ბგერა საზეიმო. სამეფოზე უფრო ლამაზი გახლდათ მეოთხე სიმის გმინვა, სასანაულმოქმედი, მომავადობეზღად ნაზი და გულში ჩამწვდომი. გაისმოდა მთვარის ფერხულზე ტყის ფერიის კრიალა კრინი, მიჯნურ ბულბულის გოდებასა და ტოროლას ყიჟინ-გალობასთან ჩანსული. როცა ჭაბუკი მევიოლინე ოთხივე სიმს ერთად ააჟღერებდა, სმენად იქცეოდნენ ზეცა და ზღვა, მთა და ტყე, ველი და კორდი... ჭაბუკი უკრავდა მხიარულ ვალსებსაც და სევდანარევე ჰანგებდაც. ყოველ სულდგმულს ახარებდა და ყოველ სულდგმულს ატირებდა...

და ერთ შორეულ ქვეყანაში ცხოვრობდა საოცრად ტურფა პრინცესა. მას სურდა, ისეთი კაცი აერჩია თავის ქმრად და ქვეყნის მეფედ, ვინც შეძლებდა და მას გულისგულამდე შეერავდა და გააოცებდა და კიდით-კიდით ნამოვიდნენ და ეახლნენ დიდებულნი, ხელოვანნი და მეცნიერნი, რომ ეჩვენებინათ საკუთარი ოსტატობა პრინცესას კეთილგანწყობისა და მეფის გვირგვინის მოსახვეჭად. ერთმა სასიძომ მზის ბაკმით, ზღვის სილურჯით და კრიალა ცვარ-ნამით სასახლე ააშენა, ცისარტყელას კიბანი. მეორე მთხოვნელი სირბილში გაეჯიბრა მზის სხივებს. მესამემ შეძლო და მარგალიტებად დააფრქვია წვიმის წვეთები. მეოთხემ ფეხბურთი ითამაშა ოქროს ვარსკვლავებთან. მეხუთემ კალამი მოუსვა ტილოს და გამოსახა პრინცესა, როგორც ცოცხალი და მშვენიერი, როგორც ფრია, სილამაზის ქალღმერთი.

ტურფა პრინცესა სამ დღეს ალოდინებდა ხოლმე ყოველ ახალმოსულ სასიძოს, უხვად უმასპინძლებოდა და ჰპირდებოდა, რომ ცოლად წაჰყვებოდა, თუ მესამე დღის ბოლომდე, ვინმე ახალი მთხოვნელი არ მოვიდოდა, ვინც ყველა წინამორბედს აჯობებდა. მაგრამ ყოველდღე ახალ-ახალი მოდიოდა და ახალმოსული სულ მუდამ ჯაბნიდა წინამორბედს. ჩვენი ჭაბუკი მევიოლინე დაადგა გზას იმ ალთქმული ქვეყნისკენ, სადაც ნანატრი ტურფა პრინცესა ცხოვრობდა. ხიფათით აღსავსე იყო სვლა-გეზი, მაგრამ, შეეხებოდა თუ არა ხემი ვიოლინოს სიმებს, მყის დამდოვრდებოდა აბობოქრებული მდინარე და ბიჭი ფონს ადვილად

გადიოდა; მუსიკის ჰანგები ათვინიერებდა მხეცებს და ისინი მოწუსხული მობოდნენ მოსასმენად, ფერიის ქერა თმის ბუნვთაგან წნული სიმის ჯადოსნურ ხმაზე ჩადგებოდა ხოლმე ქარიშხალი... ასე და ამრიგად, უვნებელი და სალ-სალამათი მიადგა ჭაბუკი მევიოლინე პრინცესას ალთქმულ ქვეყანას.

პრინცესას სიტურფით დაბნედილმა მოყმემ ფიცხლივ მიჰყო ხელი და აამუსიკა ვიოლინო. ყველა გაოცდა და აღტაცებული უგდებდა ყურს ჰანგებს... თავად პრინცესასაც მოეწონა მევიოლინე. თითქოს, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ღირსეული კანდიდატი! მაგრამ სამი დღე მაინც აუფრუსუტეს სიყვარულით თავბრუდახვეული მევიოლინე, თუმცა იქ თავმოყრილ ხელის მთხოვნელთაგან მას ვერავინ ჯობდა. ამიტომ მესამე დღის დილიდან ყმანვილი გულის ფანცქალით ელოდა ნადილის ასრულების დამეს.

მაგრამ მზე ისევ ანათებდა ციდან, როდესაც სასახლის კარიბჭეს ერთი კობტა, წერნეტი რაინდი მოადგა და შემოსვლის ნებართვა ითხოვა. რაინდი პრინცესას ნარუდგინეს და ჰკითხეს, რა ხელოვნება ხელენიფებოდა. მან მოახსენა:

– მოცეკვავე გახლავართ, დედამინაზე ყველაზე უკეთესი! თუ პრინცესა კეთილინებებს და მეცეკვება, ნათქვამს დაგიმტკიცებთ, ოღონდ ამისთვის კარგი მუსიკა დამჭირდება!

პრინცესა სიამოვნებით დაეთანხმა, მევიოლინე გამოიძახა და დაკვრა უბრძანა.

წინამხდარი მევიოლინე დაემორჩილა. და როგორც კი დარბაზს მოეფინა მისი ჯადოსნური მუსიკა, მყის აცეკვდა რაინდი, პრინცესა აიყოლია და წყვილი ისე მსუბუქად დაფარფატებდა, თითქოს მათი ფეხები იატაკს არც კი ეხებოდა.

დამთავრდა ცეკვა. პრინცესამ ახლა რაინდს უბრძანა სამი დღე დაიცადეო. დაიხ, მაგრამ მევიოლინეც დაიტოვა, – საცეკვაოდ მუსიკა დამჭირდებაო...

მერე კიდევ სხვა მრავალი ხელოვანი მოუვიდა, მაგრამ პრინცესას მათგან ისე არავინ მოსწონებია, როგორც ფეხმარდი მოცეკვავე. და მესამე საღამოს, როცა ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ, გაჩაღდა დიდებული საქორწინო ზეიმი.

პატარძლის ცეკვა, რა თქმა უნდა, მევიოლინეს დაკვრით დაინყო. ოქროს საკრავმა თავბრუდამხვევი, სულის შემძვრელი ბგერები დააფრქვია: პრინცესა და მისი საბედო ექსტაზმოდებული სიჩაუქით დაფრიალებდნენ. მაგრამ უცაბედად ვიოლინო იატაკზე დავარდა და ჟღერა აღიდა დაიშხრა. მევიოლინეს ხემიანი ხელი ჩამოუვარდა... სახე გაუფიქრდა... თავლები გაუფართოვდა... და სული განუტყვევდა.

ცეკვა შეწყდა. რაინდიც შემცბარი შედგა, ხოლო პრინცესა მიცვალბულ მევიოლინესთან მიიჭრა, ეამბორა და ატირდა. ■



„თქვენი ყოველი წინადადება მარგალიტია, ყოველი სურათი სიცოცხლე, ყოველი აზრი ჭეშმარიტება და ყოველი დაკვირვება სიბრძნე!“

იოზეფ როთი

იოზეფ როთი (1894-1939), ავსტრო-გერმანული ლიტერატურის კლასიკოსი, ქართველი მკითხველისთვის თითქმის მთლად უცნობია, თუ არ ჩავთვლით ალმანახ „საუნჯეში“ გამოქვეყნებულ ჩვენულ თარგმანებს მისი რომანებისა „იობი“ და „სადგურის უფროსი ფალმერაიერი“.

ტექსტები, რომლებსაც ამჯერად ვთავაზობთ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველს, როთის სტატიებია, დაწერილი თითქმის მთელი საუკუნის წინათ. ისინი ავსტრიისა და გერმანიის პრესაში ქვეყნდებოდა 1915-1925 წლებში და ისინი ახლაც ისევე აღიქმება, თითქოს დღეს იყოს დაწერილი.

იოზეფ როთის მიმართ თამამად შეიძლება გავიმეოროთ მისივე სიტყვები, ნათქვამი ანეტე კოლბისთვის:

მუსაიფი

კაზმული სიტყვის ყველაზე უფრო კეთილშობილ და ნატივ უანრებს ისევე ნაკლებ სწყლობს განგება, ვით სიქველითა და სინატივით გამოჩნულ ადამიანებს – მათ ჯეროვანი ყურადღება არ მიეზღვიოთ. უგულვებელყოფენ ღირსეულ ლექსს, უგულვებელყოფენ სატირას. თუ მცირე ღირსეული ლექსი ერთი ციცქნა, გარნა რთული, დახვეწილი და სალუქი ქმნილება პოეტური გულისა, მაშინ სატირა ყველაზე უფრო სრულყოფილი პროდუქტია პოეტის გონისა. სატირა მწატი უნდა გამოვიდეს, კობტა, კოპნია. უხეში სატირა, მტკიცეული დარტყმის უნარის მქონე, უკვე სატირა აღარ არის. თუ კოჟრინ ფეხზე ფეხს დააბიჯებს თავის მეზობელს, ამა ქვეყნის სიკეთეთა მაგიდასთან მჯდომს, იგი შეფიქრიანდება, უხნეობა არ დამწამონო. საღმობას შეგყრის მისი ღმილი, მაგრამ ის ამიტომ როდი იღიმება; ღვთაებრივია და ბოლმა არ აქვს, განდება და მყის მოგინოდებს სიკეთისკენ. დამომდღვრავს ისე, რომ აღმზრდებლობა გულშიც არ გაუვლია. ცდება, ვისაც ჰგონია, თითქოს მაგანს უპირებს სასაცილოდ აგდებას, იცინის იმიტომ, რომ ეცინება. შუაღობითი შედეგი მისი მოვლინებისა შეიძლება ბოროტის დანთქმა იყოს, მაგრამ ამას იშვიათად იქმს. დიახ, და ამიტომაც რჩეობს სიცილს. სისულელე უკვდავი გახლავთ, ვითარცა სიბრძნე: სიმახინჯე მარად მყოფობს, ვითა სიტურფე. სისულელეს, აბა, როგორ მოაკვინებ, თუმცა დაცინვით კი დასცინებ. ჰოდა, სატირა სატირლად გაგხდის, ისე დაგცინებს. თუმცა დიდად გამეცადინებული როდია, მოქიშპეს ჯიქურ დაუტიოს, დანესტროს და გააცამტვეროს. მტერი სიბრიყვემ, მისმა მშობელმა გამოანართო და ისე ხელშეუალი გახადა, აქილევსის ქუსლსაც ვერ უპოვნი. სატირა რძალს მიმართავს, მულო, შენ გაიგონე. თუ სიცილი აგიყოლია, მისი მიზანი მიღწეულია. სასაცილოდ აგდებული დამარცხებულია. აკი, ვისაც მასხრად იგდებენ, იმისი არც ეშინიათ.

რაოდენი სატირაა დაუნჯებული კაცობრიობის ორ უდიდეს ტრაგედიაში „ჰამლეტსა“ და „ფაუსტში“.

ჰამლეტი საქმიანობას თავისი მეოცნებე ბუნების გამო მიელტვის, მოგახსენებენ. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი სატირიკოსია. ალბათ, ყოველი სატირიკოსი მეოცნებეა. ჰამლეტი არ მოქმედებს, რადგან საკუთარი თავისა ეშინია. ეშინია, თავისი თავი ისევე არ გაუხდეს დასაცინი, როგორც დასცინის ცასა და ქვეყანას. როგორ დასცინის იგი პოლინიუსს, მეფესა ჰკადრებს, თვით ჰორაციოს და ოფელიასაც.

ჰამლეტური თვითირონია – სამოსელი სატირისა ამსხვრევს მისი გონების აზრობრივ პლასტებს, რათა იგი კვლავ ხელახლა შეაკონინოს. თვითირონია ხოჭიჭად ექცევა ჰამლეტს, ქმედების შარაგზაზე პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს გადაადგმევენებს და ეჭვის სიმაზე ნააფორთხილებს. თვითირონია აქცევს მას მკვლელად, პოეტად, მსახიობად და შურისმგებლად, მაგრამ არა ძალ-ღონით აღსაყვამირად, იმავ თვითირონიამ შეჰყარა მას ფიქრთა სნება და არ დააცადა მიზნის მიღწევა. ჰამლეტის ტრაგიზმს მისივე სატირა წარმოადგენს.

თუმცა თავი ვანებოთ ჰამლეტისეულ სატირულ ნიშანს, რაოდენი სატირაა, სამართოდ, მთელს ტრაგედიაში, მერე ჰამლეტის საუბრებში საკუთარ ანტიურაჟთან და თვით იმ ანტიურაჟის წიაღ. რამდენია პოლოციუსის ნოტაციებში, თავის ვაჟიშვილს რომ დააბარა: პოლინიუსის სიკვდილში, დედოფლის მეორე ქორწინებაში!

მერე ფაუსტი! სატირაა მისი პირველი მონოლოგი, საუბარი ვაგნერთან, თავად ვაგნერი, გასეირნება, აუერბახის სარდაფი, ალქაჯის სამზარეულო, მეზობლის ქალი მართა და ბოლოს თვითონ მეფისტოფელი! გოეთეს გიგანტური პოეტური შემართება წარმოჩინდა არქანგელოზთა გალობაში, ღვთიურ ძალთა ღმილი გამოსჭვივის დევისტოფელის ნათქვამში:

„დროგამოშვებით ვუცქერ მოხუცს სიამოვნებით

და ვერძები მე კავშირის განყვეტას მასთან.

საამო არის, რომ ასეთი დიდი ბატონი დარბაისლურად მუსაიფობს აქ თვით ემ-მაკთან“.

სწორედ სატირიკოსია სულის აღმადრენათა და ნიაღვრეთა უპირველესი ჭაშნაგირი. თვით მარტვილობაც სატირაა, წყნარი, მდუმარი. „უფალო, შეუნდე, რამეთუ არა უწყიან“, – განა ეს სიტყვები აღმატებული ფენომენის ბრძნული, ღმილნარევი განცდითა და ანგელოზებრი ირონიით არ არის ნათქვამი?! მინიერი დიდი შურისძიების კილოზე გაიცინებს, ზეციური კი იტანჯება, ოდეს იცინის. სატირა მინიერის გაცინებაა. ზეციურის მარტვილობა, სრულყოფილების შურისძიება. იგი პირმშოა ჰუმორის ღმერთის და ადამიანის ძის სასონარკვეთა. ამიტომ გასაგებია, რომ ამგვარი კავშირით ღმერთკაცები და ნიმფები წარმოსდგებიან. ■

თარგმანი
ზურაბ აბაშიძე

კასია - ქარაზანაშვილი?!

ბატონო თამაზ, არცთუ ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ქართველი საზოგადოება გულთანად ახარხარა თქვენს შედეგებს, რომელიც გაზეთ „კომუნისტისა“ და ამჯერად „საქართველოს რესპუბლიკის“ ხინკალიძისა და ჯიბიდან გაგარდნილ თანამშრომელს — გურამ გოგიაშვილს მიუძღვნით.

„კაცია-გოგიაშვილი?!“ — იკითხეთ მაშინ თქვენ და ატირებამდე გვაცინეთ, როცა ოსტატურად დაგვიხატეთ გაქსუებული სახე მუცელმძვრთა გურამ გოგიაშვილისა, რომელიც ლურჯი მელიასავეთ ჩამდარიყო სავარძელში და კაბინეტში მიძღვენივთ შემოსვლას ვერ აუდიოდა. ეს კი არაა, გაზეთში მისალს არ დაბეჭდავდა, თუ ავტორი ხელნაწერთან ერთად ხინკალს, შილაფლავს, ქაბაბს, რახათ-ლუხუმს, ლიბლიბოსა და სხვა სასუსნავს არ შეიყოლებდა.

ბატონო თამაზ, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი, კალამი რომ თქვენსავით მიჭრიდეს, რადგან თქვენ თუ „კაცია-გოგიაშვილი?!“ დაწერეთ, მე „კაცია-ქარაზანაშვილი?!“ დაწერდი და ქართველ მკითხველს გულიანად ვახარებდი იმ ძალადმაცხოვნე ქართველ პრიფესორზე, რომელმაც სისხლის ცრემლები მადინა და დამინვალიდა..!

დღეს გურამ გოგიაშვილი ისევ ლურჯი მელიასავით გახალავთ წამოლაკული „საქართველოს რესპუბლიკაში“, ხოლო ნაციონალების მიერ ეროვნული პრემიით დაჯილდოებული გურამ ქარაზანაშვილი ლამის მისი მოადგილე ლოჯისტიკის დარგში. ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დაიძლიოს სიმატლე და გურამ გოგიაშვილმა რომელიღაც დღეებში გასული ბურჟოაზიის სანაცვლოდ, გაურკვეველი წარმომავლობისა და გვარ-სახელის მქონე ადამიანებს ჩემი დამლუბელი გურამ ქარაზანაშვილის ხოტბა ადავლენინოს..!

დავიდალე, ბატონო თამაზ!.. დავიდალე, ბატონო ჯანდაცვის მინისტრო! ჯან-ღონით საგსე, საღ-სალამათი კაცი უვიცმა ექიმებმა გამაუბედურეს... უროლოგმა გურამ ქარაზანაშვილმა, რომელსაც არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა მსგავსი ოპერაციის დამოუკიდებლად ჩატარებისა, საშარდე მილი გამიწვევითა და ხუთი თვის განმავლობაში მატარებინა თავიდანვე მკვდრადშობილი შვიცარიული აბარატი — ხელოვნური სფინქტერი, რაშიც 16500 ლარი სახელმწიფო დაფინანსება შეიჭამა. ჩემი ნაცოდვილარი 7 ათასი ლარი კაცმა ანტიბიოტიკებში დამახარჯვინა, 2012 წლის 19 მაისიდან 31 დეკემბრამდე მაყურყუტა და ჯვარს მაცვა კლინიკაში და ოფიციალურ საბუთებში მიუთითა, რომ თითქოს მხოლოდ 3 დღე ვიწვექი საავადმყოფოში. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ „კაცია-გოგიაშვილის“ სიამის ტყუებს „კაცია-ქარაზანაშვილის“ სახელმწიფოსთვის გადასახადები დაემალა..!

ნათქვამია, საითაც გავიქეცი, იქით წავექეციო!.. 2008 წელს ჯერ კიდევ კლინიკა „მედი-მერმა“ დამინვალიდა, სადაც პროსტატის გაწმენდის ნაცვლად, **ქირურგმა ალ. ხუსკივაძემ** საშარდე მილის სარქველი ამოქვეთა, ხოლო **გურამ ქარაზანაშვილმა** საბოლოოდ მომიტავა ხელი და იმ ავადსახსენებელი შვიცარიული სფინქტერით საშარდე მილი გამიწვევითა. ვისაც კი მივაკითხე, სადაც კი „კაცია-ქარაზანაშვილის“ უვიცობა, უტიფრობა და უსინდისობა გაგაპროტესტე, ყველგან **„კაცია-გოგიაშვილები“** დამხვდნენ. ასე, მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები **გია თვალავაძე, ვლადიმერ კეპულაძე, გიული მარდიშვილი** დაკავებულნი არიან გურამ ქარაზანაშვილისა და მისთანა მკვლელები ექიმების

დია ნარილი

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ თამაზ ნივნივაძეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ დავით სარგაძეს

„გათეთრებითა“ და ჩემნაირი გაუბედურებული ხალხის აბუჩად აგდებით!..

ბატონო დავით! ექვსი განცხადება ვაახლე ჯანდაცვის სამინისტროს და ერთი წლის მანძილზე ნორმალური პასუხი არ მეღირსა!.. ბატონო თამაზ, თქვენ შეიძლება არ იცით, მაგრამ **გურამ ქარაზანაშვილი ის მკვლელები ექიმია, რომელმაც ქართულ მწერლობას, ჩვენს მომავალსა და დღევანდელსა გალაკტიონის სიკვდილის ადგილი პირისაგან მიწისა ალუგავა და იქ, სადაც 1959 წლის 17 მარტს „ლერკომბინატის“ მეოთხე სართულიდან გადმოფრენილი პოეზიის მეფე დაენარცხა, ყველაფერი ბუღდოზურებს გადაახვნივინა!..**

ქართული უროლოგიის კორიფეები — **ლაური მანაგაძე, თამაზ შიოშვილი** და სხვები „კაცია-

რესპუბლიკაში“ აქვეყნებენ, სწორედ „**კაცია-გოგიაშვილის**“, ანუ ხინკალთქველეთა და მხანაშლაშე გურამ გოგიაშვილის კბილების ღრჭილი ისმის.

მე იხუნიერი კაცი ვარ, მაგრამ დიდი ილია ჭავჭავაძის „**კაცია-ადამიანის**“ შემდეგ მაინც ვერ ვიფიქრებდი, თუ ვინმე „**კაცია-გოგიაშვილის**“ დაწერდა, პოდა, ხომ დაწერეთ თქვენ, ბატონო თამაზ, და ახლა იქნებ ბატონ დავითთან ერთად ჩემი სევედიანი ამოძახილიც მოისმინოთ, რათა ქარაზანაშვილისნაირებმა სხვებზეც არ გააუბედურონ.

ჩემზე ამბობს, მხოლოდ ეგ ერთი პაციენტი მყავს უკმაყოფილო. აბა, კარგად გაიკითხოს ან თუნდაც ცნობილი ქართველი ფსიქიატრი აბელ მამარდაშვილი გაიხსენოს, მისმა არაპროფე-



— შენ, უროლოგი ქარაზანაშვილი დიდი პრემიის დასათრევად გამოსულა!
— რომელი პრემიის?
— ვანო მერაბიშვილმა ორი გვამისათვის რომ დაანესა!

ქარაზანაშვილთან პირისპირ საქმის გარჩევასა და პოლემიკას ერიდებიან. ბატონო თამაზ, იქნებ თქვენ მოიწვიოთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ცნობილ ექიმთა კონსილიუმში და, ბოლოს და ბოლოს, ის მაინც გაარკვიოთ, მე — იხუნიერმა შოთა კაპანაძემ, პარაკირი გავიკეთე და ჩემივე ხელით დავინვალიდე თავი თუ „**კაცია ქარაზანაშვილმა**“ და მისთანა ექიმ-ყსებმა გამიმწარეს სიცოცხლე?..

ვიცი, მოაწყინეთ თავი ამდენი მიმართებით, არადა, ყველა იმ წერილის მიღმა, რომელსაც ვითომდა მაღლიერი პაციენტები „საქართველოს

სიონალიზმმა რომ იმსხვერპლა.

ქარაზანაშვილი დაუჩემებია, ექიმებს გვატერორებენო და მაგალითად მოჰყავს მიცვევიჩის ქურაზე მომხდარი მკვლელობა, როცა ტყვიელებიდან გატანულმა პაციენტმა სიცოცხლეს გამოასალმა ცნობილი ექიმი ზურაბ ბენდელიანი და თვითონაც დაიღუპა.

ბატონო თამაზ და ბატონო დავით, არ დაგიმალავთ და მეც მიფიქრია ამაზე — კაცი თვითმკვლელობას რომ გაივლებს თავში, ხუსკივაძისა თუ „**კაცია-ქარაზანაშვილის**“ სიცოცხლეს მისთვის რა ფასი აქვს?


ვიცი, თქვენს გარდა, ამ წერილს „ლიტერატურული საქართველოს“ მრავალათასიანი აუდიტორიაც გაეცნობა — თავი არავინ დაიღუპოს და **თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე** მდებარე „**კაცია-ქარაზანაშვილის**“ **თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების ჰოსპიტალს** არ გაეკაროს, თორემ ჩემსავით გაუბედურებს თავს. აკი, ამბობდა კიდევ „**კაცია-ქარაზანაშვილის**“ ერთ-ერთი მსხვერპლთაგანი, ახალგაზრდა სპორტსმენი დავით კულაშვილი — სიცოცხლე აღარ მინდა, ჩემს თავზე პასუსს აღარ ვავებო..!

ადეიშვილისა და კომპანიისაგან ასეულათასები აქვს მიღებული ქარაზანაშვილის, რათა „ლერკომბინატი“ დაემწო და კეთილი ინებოს და მიმკურნალოს იქ, სადაც ამ ოპერაციას ნორმალურად აკეთებენ!.. მე ჩემი გამაუბედურებლის საომარად მავიდაზე მეორედ აღარ დავწვები!..

თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონებო, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „**კაცია ქარაზანაშვილი**“?

რაც შემიძლება მე, ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — „**კაცია მუნჯაძე**“ ნამდვილად არ გავხდები და სანამ პირში სული მიდგას, ჩემი სიმატლისათვის ვიბრძოლებ!

ბატვისცემით, იხუნიერი **შოთა კაპანაძე**



მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ქვირფასო ავტორებო!
რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივნივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4
E-mail: litsaartvelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის პარასკეობით